# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 16 ივლისი, 2008 წელი.

№ 131 (5989)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# როცა ფული ყველაფერს ანადგურებს




## გია რონინიშვილი ერთპარტიულ პარლამენტში თავს მშვენივრად გრძნობს

3






## მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ რუსეთი მშვიდობიან თანაარსებობას საფრთხეს უქმნის

10

## მიშა მაჭავარიანი და „კლეოპატრა“

2



### ნომრის კარიკატურა




## განათლების ცენტრი „კოლხიდა“ ეროვნულ სულში ხრწნის შემოპარებას ცდილობს

6–7

ბორის ჩოჩიევი:

## საქართველო ომისთვის ემზადება

3

## როგორ აწესრიგებს კანონი საოჯახო ურთიერთობებს

8

**კანონმდებლები**

# ჯონდი – „ზა ბორტომ“

**საპარლამენტო მუდმივმოქმედი დელეგაციების შემადგენლობა უკვე ცნობილია.**

ევროსაბჭოს საპარლამენტო დელეგაციის ხუთკაციანი კვოტიდან ოთხი „ნაციონალურ მოძრაობას“ ერგო. დელეგაციას უმრავლესობის ლიდერი პეტრე ცისკარიშვილი უხელმძღვანელებს, მმართველი გუნდიდან კი მის შემადგენლობაში იქნებიან ლაშა ჟვანია, ჩიორა თაქთაქიშვილი და გოკა გაბაშვილი, ხოლო სათადარიგო შემადგენლობაში – დავით დარჩიაშვილი, მიხეილ მაჭავარიანი, აკაკი მინაშვილი და გიორგი კანდელაკი.



ევროკავშირის საპარლამენტო დელეგაციას ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ხელმძღვანელი დავით დარჩიაშვილი უხელმძღვანელებს, „ნაციონალებიდან“ კი წარმოდგენილნი იქნებიან აკაკი მინაშვილი, პეტრე მამრაძე და სერგო ქიტიაშვილი, ხოლო სათადარიგო შემადგენლობაში გიორგი გოგუაძე, ეკა ხერხეულიძე, ირაკლი კენჭოშვილი და ზაზა გამცემლიძე იქნებიან.

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელი მიხეილ მაჭავარიანი იქნება, დელეგაციის შემადგენლობაში კი ხათუნა გოგორიშვილი, არჩილ გეგენავა და რუსუდან კერვალიშვილი ხოლო, სათადარიგო შემადგენლობაში აკაკი ბობოხიძე, ბეჟან ხურციძე, ვიტალი კემულარია და მიხეილ ცქიტიშვილი იქნებიან.

ნატოს საპარლამენტო ასამბლეაში ფრაქცია „ნაციონალურ მოძრაობას“ სულ სამი წარმომადგენელი ეყოლება. დელეგაციას ნიკა რურუა უხელმძღვანელებს და მის შემადგენლობაში გივი თარგამაძე და ირაკლი ქავთარაძე იქნებიან, სათადარიგოში კი პაატა ლეჟავა, ზაზა გელაშვილი და სამსონ ქუთათელაძე.

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციას თავად პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე უხელმძღვანელებს, მის შემადგენლობაში კი იქნებიან ლაშა ჟვანია, გიგი წერეთელი და ვახტანგ ბალავაძე. ეუთოს სათადარიგო დელეგაციის შემადგენლობა კი გიორგი არსენიშვილის, გიორგი კანდელაკის, ენზელ მკოიანის და ზურაბ არსოშვილის კანდიდატურებით დაკომპლექტდა.

დავით ბაქრაძე უხელმძღვანელებს საპარლამენტთაშორისო კავშირის მუდმივმოქმედ დელეგაციასაც. ამ დელეგაციის ძირითად შემადგენლობაში არიან გიორგი მელაძე, ზურაბ მელიქიშვილი და დავით ბეჟუაშვილი, ხოლო სათადარიგოში ხათუნა გოგორიშვილი, პეტრე ცისკარიშვილი, კოба ნაყოფია და იაშა შერვაშიძე.

საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანისა და მოლდოვას კავშირის (სუამიძ დელეგაციას სათავეში ვანო ხუხუნაიშვილი ჩაუდგება და მასთან ერთად ამ ორგანიზაციაში წარმოდგენილი იქნებიან ელდარ კვერნაძე, ოთარ ხინიკაძე და კობა ხაბაზი, ხოლო სათადარიგო შემადგენლობას ხათუნა ოჩიაური, აზერ სულეიმანოვი, ბადრი ბასიშვილი და გოჩა კუპრავა წარმოადგენენ.

ფრანგულენოვანი ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეის (ფრანკოფონიაძ დელეგაციის ძირითად შემადგენლობაში „ნაციონალების“ კვოტით არიან დეპუტატები ჩიორა თაქთაქიშვილი და პეტრე მამრაძე, სათადარიგო შემადგენლობაში კი ნუგზარ წიკლაური და შოთა მალაშხია.

საქართველოს პარლამენტში შექმნილ რვა მუდმივმოქმედ დელეგაციაში თითო-თითო კვოტით ოპოზიციური ფრაქცია „ძლიერი საქართველო-ქრისტიან დემოკრატებიც“ არიან წარმოდგენილნი. მიუხედავად იმისა, რომ სურვილი უფრაქციო დეპუტატმა ჯონდი ბაღათურიამ სხდომაზეც გამოთქვა, ის მაინც საპარლამენტო დელეგაციის მიღმა დარჩა.

**ინტერპრესნიუსი**

**პროტესტი**

# მიშა მაჭავარიანი და „კლეოპატრა“

**ლეიბორისტული პარტიის წევრმა ლეილა გაფრინდაშვილმა ირ. აბაშიძის №41-თან, სილამაზის სალონ „კლეოპატრასთან“ ბრიფინგი გამართა. აქვე შეიკრიბნენ №41-ის მაცხოვრებლები, რომლებიც უკმაყოფილებას გამოხატავდნენ უკანონო მშენებლობის გამო.**

– სილამაზის სალონი „კლეოპატრა“ აქ უწინაც იყო, – გვითხრა ლეილა გაფრინდაშვილმა, – მაგრამ ახლახან ეს ადგილი, ანუ ტროტუარი შემოღობეს და მიწისქვეშა სამუშაოები წამოიწყეს. ტროტუარი მიიტაცეს, გამალებით თხრიან, სახლის საძირკველი გააშიშვლეს.

სამწუხაროდ, გვერდითა სახლი ავარიულია, უკვე ნაპრალები გაუჩნდა. 3-4 – ბალიანი მიწისძვრაც საკმარისია, რომ დაინგრეს და ეს სახლიც ქვეშ მოიყოლიოს, რადგან ძირი გამოთხრილი აქვს.

ლეილა გაფრინდაშვილის თქმით, ეს სალონი მაჭავარიანების ოჯახის ერთობლივი ბიზნესით შენდება.

– მე დავურეკე მიშა მაჭავარიანს აპარატში და დავუბარე, დაერეკა და აეხსნა, მართლა თვითონ იდგა სალონის მიღმა თუ არა. მას კი არ დაურეკავს, ესე იგი, დუმილი თანხმობის ნიშანია, – განგვიმარტა გაფრინდაშვილმა.

ცოტა ხანში სახლთან ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელი, საკრებულოს წევრი პაატა ჯიბლაძე მოვიდა.

– ჩვენ, ყველას კარგად გვახსოვს, რამდენიმე წლის წინათ, ბატონი სააკაშვილი როგორ დადიოდა ქუჩაქუჩა და ებრძოდა, ასე ვთქვათ, იმ უკანონო მშენებლობებს, რომელთაც წალეკეს დედაქალაქი. დღეს უფრო დიდი მასშტაბით გრძელდება ეს მშენებლობები. რა თქმა უნდა, ახალი და კარგი უნდა აშენდეს, მაგრამ გააჩნია, სად და როგორ, ამით არ უნდა შეიზღუდოს ჩვენი მობინადრეების საყოფაცხოვრებო ინტერესები.

მოსახლეობამ დამირეკა და მთხოვა აქ მოსვლა. მათი თხოვნით, საკრებულოს სხდომაზე დავაყენებ საკითხს, რომ 2002 წლის მსგავსად ანტიკორუფციული კომისია (თუნდაც დროებითიძ შეიქმნას, რომელიც ასეთ საკითხებს შეისწავლის.

ჩვენ ვიცით, ურბანული დაგეგმარების სამსახურმა რამდენი ნებართვა გასცა მშენებლობებზე, რა ადგილებია მიტაცებული დედაქალაქში. თუნდაც, „გოფილექტის“ ბაღი გავიხსენოთ, სადაც პლეხანოველებთან ერთად ვიბრძოდით და იქ მაინც შენდება შენობა. ასეთი უამრავი ფაქტი ვიცით. ყველას გეხსომებათ, ორი წლის წინათ, მეტრო „დელისთან“ როგორ დაანგრიეს შუშის შენობა – უკანონოაო. დღეს გაცემულია ნებართვა იმ ადგილზე დიდი სავაჭრო ცენტრის ასაშენებლად. ბუნებრივია, კორუფციული გარიგების გარეშე ასეთი საკითხები არ გვარდება, ანდა, მათ მიღმა ვილაც დიდი მფარველი მოიაზრება.

ირ. აბაშიძის №41-თან მალე ვინმე ნოდარ ჩხეიძე მოვიდა და რაღაც ნახაზი მოიტანა, თუმცა აღმოჩნდა, რომ ეს ურბანული სამსახურის დამტკიცებული გეგმა არ იყო. ბატონი ნოდარი ჟურნალისტების გამო ძალიან აღელვებული ჩანდა. პაატა ჯიბლაძეს ეუბნებოდა, სათანადო დოკუმენტებს, სადაც გნებავთ, იქ მოგართმევთო.



**– თქვენ პასუხისმგებელი ხართ ამ მშენებლობაზე?** – ვკითხეთ ჩხეიძეს.

– არა. პატრონმა გამომაგზავნა და მთხოვა გამერკვია, რა ხდება.

**– თვითონ პატრონი არ მოვა?**

– ახლა ვერ მოახერხა. დედა ჰყავს შეუძლოდ და თავზე ადგას.

**– რა გვარია ეგ თქვენი მეპატრონე, მაჭავარიანი?**

– ალ პაჩინოა, გენაცვალე...

**ასეთი არასერიოზული პასუხი მივიღეთ. მოსახლეობა კი მშენებლობის შეჩერებას და ამოთხრილი საძირკვლის ამოვსებას-გამაგრებას მოითხოვს. უჩინმაჩინისქუდიანი ალ-პაჩინო-მაჭავარიანებს კი ჯერჯერობით პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული და ალბათ, ამ საქმის მიჩუმათებას ფიქრობენ.**

**თამარ შაიშმელაშვილი**



**ვითარება**

# ოთარ კობერიძე ახალ ამპლუაში

**პარლამენტმა 93 ხმით 12-ის წინააღმდეგ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ვაკანტურ თანამდებობაზე ოთარ კობერიძე დაამტკიცა. დანარჩენი კანდიდატები – ლოლა ხასაია და ფატი დავითულიანი – პარლამენტმა ჩააგდო. თუმცა კობერიძის დამტკიცებამდე პარლამენტში საკმაოდ მწვავე დებატები გაიმართა.**

ოპოზიციამ გააპროტესტა ის ფაქტი, რომ ვაკანტურ თანამდებობაზე ხელისუფლება ოპოზიციასთან შეუთანხმებელ კანდიდატურას ნიშნავდა. ეს საკითხი სესიაზე ჯონდი ბაღათურიამ დააყენა. როგორც მან აღნიშნა, ირაკლი ტრიპოლსკის სამეურვეო საბჭოდან წასვლის შემდეგ გათავისუფლდა ადგილი ოპოზიციის კვოტით და მიუხედავად იმისა, რომ ეს ადგილი ისევ ოპოზიციის კანდიდატს უნდა დაეკავებინა, ხელისუფლება საკუთარ კანდიდატს ოპოზიციასთან შეუთანხმებლად ნიშნავდა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტება იყო ოპოზიციასთან მიღწეული შეთანხმების ერთადერთი საკითხი და ხელისუფლება ამასაც არ ასრულებს, – განაცხადა ბაღათურიამ.

**პოზიცია**

# ანდრანიკ მიგრანიანი: სააკაშვილის ინიციატივას მხარს ვუჭერ, მაგრამ რუსეთს დამოუკიდებლად შეუძლია უზრუნველყოს ოლიმპიადის უსაფრთხოება

***საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აშშ-ს სახელმწიფო მდივანთან კონდოლიზა რაისთან გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე რუსეთს სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოების დასაცავად ერთობლივი კომიტეტის შექმნა შესთავაზა. რა მიზანს ემსახურებოდა ეს განცხადება და რამდენად რეალურია ასეთი კომიტეტის შექმნა ორ მეზობელ ქვეყანას შორის უკიდურესად დაძაბული ურთიერთობების ფონზე? – ამის შესახებ სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენს“ პოლიტოლოგი ანდრანიკ მიგრანიანი ესაუბრა.***

**– ბატონო ანდრანიკ, კონდოლიზა რაისთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რუსეთს შესთავაზა ერთობლივი კომიტეტის შექმნა სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოების დასაცავად. თქვენი აზრით, რით იყო განპირობებული ეს სენსაციური განცხადება?**

– ამ განცხადებას მე ასე ავხსნიდი: მიხეილ სააკაშვილმა შესთავაზა მოსკოვს თანამშრომლობა რუსეთისათვის იმ მეტად სათუთ და მგრძნობიარე საკითხში, როგორიცაა სოჭის ოლიმპიადა. სააკაშვილის ამ განცხადებას, რასაკვირველია, მხარს ვუჭერ, მაგრამ ვფიქრობ, რომ საამისოდ არავითარი კომისიის შექმნა საჭირო არ არის.



მიმაჩნია, რომ რუსეთს საკმარისი რესურსები აქვს საიმისოდ, რათა სხვისი დახმარების გარეშეც უზრუნველყოს ოლიმპიადის ჩატარება. მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, სააკაშვილის მხრიდან ეს კეთილშობილი სურვილი იყო და ჩვენ მის კეთილშობილ განზრახვას პატივი უნდა ვცეთ.

**– მაგრამ თუ თქვენ აღიარებთ, რომ ეს კეთილშობილი სურვილი და განზრახვა იყო, თქვენ ამით იმასაც აღიარებთ, რომ პრინციპში ასეთი კომისია მართლაც შეიძლება შეიქმნას?**

– არა, მე ასე არ მითქვამს. მიხეილ სააკაშვილს კეთილშობილი განზრახვა ჰქონდა, მაგრამ მე არ მიმაჩნია, რომ ასეთი კომისიის შექმნას რაიმე აზრი აქვს. მოსკოვში მიესალმებიან ყველა პოზიტიურ ნაბიჯს საქართველოს მხრიდან, მაგრამ საამისოდ საგანგებო კომისიების შექმნა საჭირო არ არის. კვლავ და კვლავ ვიმეორებ, რომ რუსეთს აქვს საკმარისი რესურსები, რათა დამოუკიდებლად უზრუნველყოს ოლიმპიადის უსაფრთხოება.

**– როგორც მოგეხსენებათ, ბოლო დროს აფხაზეთში რამდენიმე ტერაქტი მოხდა. თქვენი აზრით, სწორედ ამ ტერაქტებმა ხომ არ განაპირობეს პრეზიდენტ სააკაშვილის ინიციატივა?**

– პრეზიდენტი სააკაშვილი PR-ის დიდოსტატია. მან იცის, რომ კონდოლიზა რაისის თვალში ყოფნა, აგრეთვე სოჭის ოლიმპიადა – ეს ის ფაქტორებია, რომლებიც ყურადღებას იპყრობენ და მან ამ ფაქტორებით ოსტატურად ისარგებლა, რათა დაედასტურებინა თავისი როლი, როგორც საერთაშორისო პოლიტიკაში (ყოველ შემთხვევაში რეგიონული მასშტაბითძ სერიოზული მოთამაშისა.

**– თქვენი აზრით, საერთოდ რამდენად ემუქრება აფხაზეთში შექმნილი ვითარება სოჭის ოლიმპიადას?**

– არა მგონია, აფხაზეთში არსებული სიტუაცია ემუქრებოდეს სოჭის ოლიმპიადას.

აფხაზებს სავსებით ძალუძთ იქ უსაფრთხოების უზრუნველყოფა. კაცმა რომ თქვას, აფხაზეთში მრავალი წელია, ასე თუ ისე, მშვიდობა სუფევს. მაგრამ თუ მდგომარეობა გამწვავდა, უბრალოდ მოხდება რეჟიმის გამკაცრება გალის რაიონში, რათა გამოირიცხოს ყოველგვარი მოულოდნელობა. ეს გამწვავება იმის მანიშნებელი იქნება, რომ არსებობს საფრთხეები, რისთვისაც მზად უნდა იყვნენ აფხაზებიც და რუსეთის შესაბამისი სტრუქტურებიც, რომლებიც ტერორიზმს უნდა ებრძოლონ.

იხ. 7 გვ.

თეატრის სცენიდან – პოლიტიკურ სცენაზე

# „პარლამენტში ყოფნით ხალხის დახმარების მეტი საშუალება მექნება“



## გია რონინაშვილი ერთპარტიულ პარლამენტში თავს მშვენივრად გრძნობს

***ჩვენი** გაზეთის სტუმარი საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი მსახიობი **გია რონიშვილია**, რომელიც ამჯერად ახალი როლით წარსდგა „მაყურებლის“ წინაშე. როლით, რომელიც რთული შესასრულებელი და წარმოუდგენელიც კი შეიძლება მოგვეჩვენოს მსახიობისთვის.*

*გია რონინიშვილი გვესაუბრა, თუ რატომ აღმოჩნდა თეატრის სცენიდან პოლიტიკურ სცენაზე, როგორ მოირგო მან დეპუტატის როლი და როგორი შეგრძნებაა ხელოვანი ადამიანისთვის ასეთ ამპლუაში ყოფნა:*

— არჩევნებში მონაწილეობა და პოლიტიკაში მოსვლა იმიტომ გადავწყვიტე რომ, ვფიქრობ, ამ ეტაპზე აქედან უფრო მეტი ასპარეზი არსებობს – ემსახურო შენს ხალხსა და ქვეყანას. პარლამენტში ყოფნით უფრო მეტი საშუალება მექნება ხალხის დასახმარებლად, და რაც უფრო მეტი დრო გადის, უფრო ვრწმუნდები, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე.

**— საზოგადოებას გია რონინიშვილი თეატრის სცენაზე უყვარდა და იქნებ მას თქვენი ხილვა კვლავაც აქ ურჩევნია?**

— სადაც უნდა იყოს კაცი, ეს იქნება საპარლამენტო დარბაზი, ტელევიზია თუ დრამატული თეატრის სცენა, ყველგან უნდა თავის საქმეს აკეთებდეს. ჩავთვალე, რომ ჩემს ცხოვრებაში მოვიდა ის დრო, როდესაც შეიძლებოდა რაღაც გამეკეთებინა პოლიტიკაში, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ აღარ ვარ მსახიობი, და თუკი ამის საშუალება მექნება, ჩემი პროფესიითაც გავაგრძელებ მოღვაწეობას.

**— თქვენს მეგობრებს შორის, ალბათ, ბევრია ოპოზიციურად განწყობილი ჩვენი ხელისუფლების მიმართ, როგორ შეხვდნენ ისინი თქვენს ყოფნას ხელისუფლების გუნდში?**

— ახლობლებთან და მეგობრებთან ძველებური ურთიერთობა მაქვს. განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები, ამა თუ იმ საკითხზე განსხვავებული აზრები პირად ურთიერთობებზე არ უნდა მოქმედებდეს. სწორედ ეს არის კულტურული დემოკრატია, რომ განსხვავებული აზრების გამო არ უნდა დავჭამოთ ერთმანეთი. ყველანი ხომ საქართველოს მოქალაქეები ვართ?!

**— რაიმე გეგმები თუ გაქვთ უკვე, რითიც შეძლებთ თქვენი სათქმელი თქვათ პოლიტიკაში, რის გაკეთებას აპირებთ, რომ საზოგადოება დარწმუნდეს თქვენი პოლიტიკური არჩევანის სისწორეში?**

— რა თქმა უნდა, კონკრეტული გეგმები არსებობს. ვფიქრობ, უნდა გაუმჯობესდეს მდგომარეობა კულტურის, განათლების სფეროში და საქმე წინ წავიდეს. ქართული კულტურის გასაძლიერებლად ძალიან ბევრია გასაკეთებელი. ჩვენი მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კულტურულ მემკვიდრეობას, რაც ძალიან კარგია, მაგრამ, ამასთანავე, მისახედია თანამედროვე ხელოვნება, რათა ქართული კულტურა გაძლიერდეს. ეს არის მთავარი საკითხები, რაც ძალიან მაღელვებს, თუმცა, ზოგადად, პოლიტიკაც ჩემთვის ძალიან საინტერესოა.

**— ამჯერად უკვე, როგორც პოლიტიკოსი და საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, როგორ აფასებთ დღევანდელ, ახალარჩეულ პარლამენტს? საინტერესოა თქვენი აზრი პარლამენტში წარმოდგენილ მცირე ოპოზიციურ ფრთაზე. უხერხულობას ხომ არ გიქმნით ის, რომ თითქმის ერთპარტიულ პარლამენტში მოღვაწეობთ?**

— ეს ასე გადაწყვიტა ქართველმა ხალხმა და ამის რევიზიას ვერ ჩავატარებ. კარგი იქნებოდა, რომ ყველა ოპოზიციურად განწყობილი დეპუტატი, ვინც ხალხმა აირჩია, პარლამენტში შემოსულიყო. ჩემი აზრით, მათ უარი არ უნდა ეთქვათ მათთვის მინიჭებულ მანდატებზე და მათ მოთხოვნებსა და საპირისპირო შეხედულებებზე პარლამენტში უკეთ შეიძლებოდა საუბარი, ვიდრე ქუჩაში.

**— თქვენი აზრით, ასეთი სახით წარმოდგენილ ოპოზიციას რაიმე ძალა ექნება პარლამენტში და გაითვალისწინებს უმრავლესობა მათ აზრს?**

— რატომაც არა. მათ შეხედულებებს ყოველთვის მოისმენენ და გაითვალისწინებენ. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ყველა ოპოზიციური აზრი, მხოლოდ იმიტომ, რომ ოპოზიციის ნათქვამია, მისაღები იქნება და, დამტკიცდება. პარლამენტში გადაწყვეტილებები უნდა მივიღოთ საერთო მიდგომით და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე.

**— კონდოლიზა რაისის საქართველოში სტუმრობა შეაფასეთ რას შეიძლება ველოდოთ ამ სტუმრობის შედეგად?**

— ეს იყო, კიდევ ერთხელ, ამერიკის მხარდაჭერის გამოხატვა საქართველოსთვის. შედეგად კი ამ ყველაფერს ჩვენი ქვეყნის გამთლიანება, გაძლიერება, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება მოჰყვება.

**— ძალიან ზოგადი და ხმამაღალი ნათქვამი ხომ არ არის?**

— არა. ნამდვილად მჯერა ამის. ჩვენი ნატოში შესვლა გარდაუვალია

და ეს ძალიან მალე მოხდება. სწორედ ამიტომაცაა რუსეთი ასე გაღიზიანებული.

**— როგორ უნდა გავიგოთ საქართველოს მხრიდან რუსეთიდან ელჩის გამოწვევა?**

— ეს იყო საქართველოს დიპლომატიური პასუხი იმ ქვეყნისადმი, რომელიც გვმტრობს და ორ რეგიონში ჩვენი ქვეყნის ანექსიას ახდენს. ისინი უკვე ღიად ამბობენ ამას და, მოგეხსენებათ, რომ მათი ვითომდა სამშვიდობო სამხედროები დამპყრობლებად გადაიქცნენ აფხაზეთსა თუ ცხინვალში.

**— საგარეო ურთიერთობების მოგვარებამდე კი, კვლავ რჩება საშინაო, სოციალური პრობლემები. კვლავაც გადასაჭრელია ის პრობლემები, რასაც არჩევნებამდე ხალხს ჰპირდებოდით — „საქართველო სიღარიბის გარეშე“, „ერთად დავამარცხოთ უმუშევრობა“... როდის დაინახავს ხალხი საქმეს ლაპარაკის ნაცვლად?**

— საქართველოს ხელისუფლება ერთი წამითაც არ აჩერებს მუშაობას, რომ ყველაფერი უკეთესად იყოს. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ მთავარი დაპირებების შესასრულებლად, თუმცა ეს საკმაოდ რთული პროცესია და ერთ თვეში ყველაფერი ვერ აღმოიფხვრება. მაგალითად, წინა კვირას პრეზენტაცია გაიმართა იაფი კრედიტების გაცემაზე, ეს პროექტი კიდევ გაგრძელდება; დაგეგმილია სხვა ნაბიჯებიც; ყველამ ვიცით, რომ მომავალი წლიდან გაიზრდება პენსიები და ა. შ. საქმეს აუცილებლად ვიხილავთ ლაპარაკის ნაცვლად. მთავარია, რომ ეს საგარეო საფრთხე, რომელიც დღეს არსებობს, ძალიან მშვიდად გადავიტანოთ. მჯერა ლოგიკური დასასრულისა, ანუ მთელი მსოფლიო საზოგადოება დადგება ჩვენს მხარეს, სიმართლის გვერდით და ჩვენ შევძლებთ ერთხელ და სამუდამოდ მივაღწიოთ იმას, რაზეც თითოეული საქართველოს მოქალაქე ოცნებობს, რომ ჩვენს ქვეყანაში იყოს მშვიდობა, საქართველო კი — გაერთიანებული. ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ მივდივართ ამ გზით, ამას ხედავს ჩვენი მტერი და ამიტომაცაა შეშფოთებული.

**— გულწრფელად, თუ გჯერათ, რომ საქართველოს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება და ქვეყნის გაერთიანება ამ მოწვევის პარლამენტის მოღვაწეობის პერიოდში მოხდება?**

— მჯერა, რომ საქართველოს პარლამენტი ყველაფერს გააკეთებს ამ კონფლიქტების მოსაგვარებლად და საქართველოს გასაერთიანებლად. ამის რომ არ მჯეროდეს, დღეს აქ არ ვიქნებოდი. ჩვენ ძალიან ახლოს ვართ მშვიდობიანი გზით ამ პრობლემების მოგვარებასთან და ამას აუცილებლად მივაღწევთ.

**ესაუბრა**
**თამარ ბუზალაძე**

კონფლიქტის ზონა

# ბორის ჩოჩიევი: საქართველო ომისთვის ემზადება



*ცხინვალის ზონაში შექმნილ ვითარებაზე სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენი“ ე. წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო მთავრობის განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრს, ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების შერეული საკონტროლო კომისიის სამხრეთ ოსეთის მხარის თანათავმჯდომარეს ბორის ჩოჩიევს ესაუბრა.*

**— რა მდგომარეობაა დღეს ქართულ-ოსური კონფლიტის ზონაში?**

— ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დღეს შექმნილი მდგომარეობა ძალიან საშიში და ფეთქებადია. თითქმის ყოველ საღამოს ქართული მხრიდან იცხრილება ქალაქი ცხინვალი და მისი შემოგარენი. იცხრილება ჩვენი შს სამინისტროს საგუშაგოები. ქართული მხარე სამხრეთ ოსეთის საზღვართან თავს უყრის დიდი რაოდენობის მძიმე ტექნიკასა და ცოცხალ ძალას. მათ ასევე დაკავებული აქვთ სარაბუკისა და სხვა სტრატეგიული სიმაღლეები ცხინვალის სიახლოვეს და ყველაფრიდან ჩანს, რომ საქართველო ომისთვის ემზადება.

**— გვაქვს ინფორმაცია, რომ ცხინვალიდან ბავშვები გახიზნეს..**

— მე მსგავსი ინფორმაცია არა მაქვს. ვერ დავადასტურებ, რომ ქართველების შიშით ვინმემ აქედან ბავშვები გახიზნა. ალბათ ამ ინფორმაციას ქართველებმა ის დაუდეს საფუძვლად, რომ ამჟამად ზაფხულია და მშობლებს ბავშვები დასასვენებლად მიჰყავთ. რაც შეეხება გახიზვნას, აქ მსგავსი არაფერი ხდება.

**— რამდენად რეალურად მიიჩნევთ საბრძოლო მოქმედებების დაწყებას?**

— ეს კითხვა სჯობს საქართველოს ხელისუფლებას დაუსვათ. სამხრეთ ოსეთს ომის დაწყება არ სურს, ჩვენ ახლაც, ისევე როგორც ყოველთვის, კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების მომხრე ვართ. აი, საქართველოში კი ვერა და ვერ მიხვდნენ, რომ ომით ქართულ-ოსური კონფლიქტის გადაჭრა შეუძლებელია. საქართველოს არ უნდა და არც ესმის ჩვენი — რუსეთის ფედერაციის მოწოდებები მოლაპარაკებათა მაგიდასთან დაბრუნებისა და კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრის ძიებისა. იგი მხოლოდ მათ უსმენს, ვინც მას აქეზებს.

**— ვის გულისხმობთ?**

— დასავლეთსა და, უწინარესად, ამერიკას. მინდა ყველამ კარგად დაიმახსოვროს, რომ ნებისმიერი ქვეყანა, რომელსაც, რომელიმე მეორე ქვეყანასთან საბრძოლო მოქმედებები დაუწყია, დასჯილა. ასე რომ, დაუსჯელი არც ქართულ-ოსური კონფლიქტის ახალი ეტაპის დამწყები დარჩება და მას საკადრისი აუცილებლად მიეზღვება. ერთადერთი, ვინც დღეს სამხრეთ ოსეთის მიწაზე მშვიდობას ინარჩუნებს, ეს რუსული სამშვიდობო კონტინგენტია, მაშინ როდესაც ამ კონტინგენტში შემავალი ქართველი ე.წ. სამშვიდობოები, ფაქტობრივად, ოკუპანტებად არიან ქცეულნი.



**— ქართული სამშვიდობო კონტინგენტის წარმომადგენლები თქვენს ბრალდებებს უსაფუძვლოს უწოდებენ.**

— რა თქმა უნდა, აბა ხომ არ აღიარებენ, რომ ჯერ კიდევ მიმდინარე ზაფხულის დასაწყისიდან ცხინვალის თითოეულ დაცხრილვაში უშუალო მონაწილეობას იღებდნენ. დაცხრილვამდე რამდენიმე ხნით ადრე გაერთიანებულ შტაბს ტოვებდნენ და დღეს პრაქტიკულად კონფლიქტის ზონაში მდგარი კოლექტიური სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის დაქვემდებარებიდან გამოსულნი არიან და ჩვეულებრივი აგრესორების ფუნქციას ასრულებენ.

**ესაუბრა**
**ეკა მომცელიძე**

დედაქალაქი

# როცა ფული ყველაფერს



„პარკ ჰაიატის" თბილისური სასტუმროს მაკეტი




**ის ქაოსი და განუკითხაობა, რაც დღეს თბილისის სამშენებლო, ურბანულ-არქიტექტურულ კომპლექსში ხდება, ელემენტარული უვიცობის, ამბიციურობის და არაპროფესიონალიზმის ბრალია.**

**მშენებლობის ბუმი, რომლითაც ასე პროვინციულად ვბაქიბუქობთ, მაშინ არის კარგი, როცა ხარისხიანად, მკვიდრად, ბუნებრივ ლანდშაფტთან შეხამებით, კანონიერად და წესრიგიანად ვაშენებთ.**

**უფლის ნებით დასურათხატებულ თბილისქალაქს, მის განუმეორებელ ლანდშაფტს, ბოლო ათი წლის განმავლობაში იმდენი არქიტექტურული ჭრილობა მივაყენეთ, ისე დავკბიჩეთ და დავასახიჩრეთ, გული მოგიკვდება კაცს...**

შარშან, ზაფხულში, კიდევ ერთი „სასიხარულო" ამბავი გვაუწყეს სნობიზმით დაავადებული ჩვენი ხელისუფლების „პიარშიკებმა", – მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ყოფილი რესტორან „არაგვის" ადგილზე, „ჰაიატის" ბრენდის 28-სართულიანი (ზოგიერთი ცნობით 36-სართულიანი!ძ სასტუმრო და ბიზნესცენტრი აშენდება, კომპლექსი გეგმით ხუთ უზარმაზარ ნაგებობას მოიცავს, რომლებშიც ოფისები, საკონფერენციო ცენტრი, ფიტნეს-კლუბები და რესტორნები განლაგდებაო.

რომელი ჭკუათმყოფელი უნდა იყოს მაღალი, ლამაზი, თანამედროვე არქიტექტურული კომპლექსის მშენებლობის მოწინააღმდეგე, მით უფრო, თუ მას მთელ მსოფლიოში განთქმული სასტუმროების ქსელის მფლობელი კომპანია „ჰაიატ ინტერნეიშენელი" აშენებს, მაგრამ...

**რომ არ ჩაეტევა ამოდენა კომპლექსი ამ ვიწრო სანაპიროზე?!**

**თქვენ, ალბათ, ცირკის ფერდობის დამახინჯებას და ქალაქის ცენტრში ბუნებრივი ლანდშაფტის კიდევ ერთხელ განადგურებას აპირებთ!**

შარშანვე, ზაფხულის სამიოდე თვე იყო განსაზღვრული საიმისოდ, რომ ქართულ-ავსტრალიურ სამშენებლო კომპანიას თბილისის „ჰაიატის" საძირკველი გაეთხარა. 2007 წლის სექტემბერში უნდა გამოცხადებულიყო კიდევ ერთი კონკურსი, რომელიც, ძირითადად, კომპლექსის მშენებლობის უფლების მომპოვებელ კომპანიას გამოავლენდა.

სასტუმროს პროექტის საერთო ღირებულება 200 მილიონი დოლარით განისაზღვრა. შარშან კომპლექსის მშენებლობის მთავარი დამფინანსებელი და მთავარი მეწილე რუსეთში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენი რომან ფიფია იყო... მერე, როგორც „ელიტარულ ქართულ ბიზნესში" ხდება ხოლმე, ინვესტორი და დედაქალაქის ჩინოვნიკები წილების (ტილები არ გეგონოთ!ძ გადანაწილებაში ვერ შეთანხმდნენ და... საძირკვლის გათხრამ ერთი წლით დაიგვიანა.

წლეულს, მაისში, ბულდოზერები, მძლავრი ბურღები, შიგადაშიგ კი, საუკუნოვანი კლდის დამანგრეველი „ბომბები" ამოქმედდნენ და ცირკის გორაზე უზარმაზარი კლდე ჩამოგლიჯეს. **ბუნებრივი ლანდშაფტის ხელყოფა, და არა მარტოოდენ კლდისა, დღესაც გრძელდება. განმკითხავი კი არავინაა**!

თუმცაღა, დედაქალაქის ურბანული (არქიტექტურულიძ განვითარების სამსახური, არქმშენინსპექცია და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ურბანიზაციისა და არქიტექტურის ათკაციანი განყოფილება ვის დაკარგვია, როდესაც ქვეყნის მთავარი „არქიტექტორის" – პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელდასხმით, დედაქალაქის ყველა მნიშვნელოვან მშენებლობას, ფინანსურ გარიგებებს თბილისის მერი გიგი უგულავა და ადმინისტრაციული ორგანოების თავკაცები, აგრეთვე, გავლენიანი ნაცპარლამენტარები აკონტროლებენ!

არც გარემოს დაცვის სამინისტროს ეკითხებიან – რის და ვის ხარჯზე ანადგურებენ თბილისის ლანდშაფტს.

ვერც თბილისური „ჰაიატის" მშენებლებისგან, ვერც ზემოთ ჩამოთვლილი „სახელმწიფო სტრუქტურებისგან" ვერ მოისმენ ოდნავ დამაჯერებელ პასუხს, რომ დედაქალაქის გარეიერსახის ასე თვითნებურად განადგურების ფაქტი რაღაცით გაამართლო!

ჩვენდა სამწუხაროდ, რამდენი ასეთი ფაქტია:

განა შეიძლება იმის ატანა და მიფუჩეჩება, რაც თბილისის მეორე ძველ უბანში, ავლაბარში, მეტეხის კლდის ფერდობზე მოხდა? იქაც გაბურღეს, დაუნდობლად დაანაწევრეს მტკვარზე გადმოკიდებული კლდის უზარმაზარი მასა და კიდევ ერთი სასტუმროს სამშენებლოდ გაამზადეს!

რიგითი თბილისელების, ჟურნალისტებისა და არქიტექტორების სამართლიან გულისწყრომას მეტეხის კლდის დამახინჯების თაობაზე, ჯერჯერობით, არავინ გამოხმაურებია!

რა თქმა უნდა, არც არავინ გამოეხმაურება. **ძალადობა ქართულ არქიტექტურაზე, თბილისის პარკებსა და სკვერებზე, ძველ და პრესტიჟულ საცხოვრებელ უბნებზე, გამწვანებულ მთის ფერდობებზე, საუკუნეობით ხელშეუხებ კლდეზეც კი, სრული სვლით გრძელდება**.

ვინ კითხავს ხალხს, ვინ კითხავს ჟურნალისტებს! ოლონდ ფულიანი ინვესტორი ვიშოვოთ, ხალხის აზრი წყალსაც წაუღიაო!..

* * *

კიდევ ერთი ფაქტი:

საინტერესოა, ვინ ურჩია ჩვენს ცნობილ ქველმოქმედსა და ათასი შეჭირვებული ქართველის დამპურებელ ბიძინა ივანიშვილს ყოფილ კომკავშირის ხეივანში, უფრო ზუსტად, ხეივნის დასაწყისში, კოჯრის გზასთან, უზარმაზარი ბიზნესცენტრის ერთი მონაკვეთის გადახურვა და „გვირაბში" მოქცევა? თუ მშენებლები, მსუყე დაფინანსების ხათრით, ამას ვერ „ხვდებოდნენ", სად იყვნენ სახელმწიფოს მაკონტროლებელი სამსახურები?..

* * *

იმის მიუხედავად, რომ ჩვენი გამორჩენილი, მაგრამ უმიზეზოდ „ჩარეცხილი" არქიტექტორების პრინციპული თვალთახედვა დედაქალაქის მშენებლობის სფეროში ბოლო ხანს გამეფებული განუკითხაობის შესახებ კარგად არის ცნობილი „საქართველოს რესპუბლიკის" მკითხველისთვის, დღეს, რადგანაც თბილისის ლანდშაფტის ნგრევის განსაკუთრებულ შემთხვევებთან გვაქვს საქმე, ფრიად უპრიანი იქნება საზღვარგარეთთან კარგად „ინტეგრირებული" პროფესიონალის, ამერიკის არქიტექტორთა ინსტიტუტის ერთადერთი ქართველი საპატიო წევრის, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის ერთადერთი ქართველი აკადემიკოსის ბატონ **ვახტანგ დავითაიას** გულისტკივილით სავსე კომენტარი მოვისმინოთ:

– მიმდინარე წელიწადი მართლაც უნიკალურია თბილისის ლანდშაფტის განადგურების თვალსაზრისით. მას სამი უმძიმესი დარტყმა მიაყენეს. ამ სისაძაგლის გამოსწორება, სამწუხაროდ, უკვე აღარ შეიძლება, – წუხს არქიტექტორთა არაერთი თაობის აღმზრდელი (ჩვენშიც და საზღვარგარეთაც!ძ, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ხუროთმოძღვარი. – ის, რაც პარკ „ჰაიატის" მშენებლობის დასაწყისში უკვე მოხდა, ბუნებრივი ლანდშაფტის უტიფარი ნგრევის ჯერარნახული მაგალითია... თუ მეწყერმა ან დამანგრეველმა მიწისძვრამ არ ჩაიტანა კლდიანი ფერდობი, სასტუმროს ასაშენებლად მას მთელ მსოფლიოში არავინ ანგრევს. **დარწმუნებული ვარ, „პარკ ჰაიატის" პროექტი შესრულებული იყო სხვა რეალობისთვის, სხვა ქვეყნისთვის, ვინაიდან მას მინიშნებაც კი არა აქვს ქართული არქიტექტურულ-კულტურული ფენომენისა, რის აუცილებლობასაც თანამედროვე არქიტექტურის კოდექსი ერთმნიშვნელოვნად აღიარებს.** არქიტექტურის ამოსავალი წერტილი ხომ ლანდშაფტი და გარემოა, სწორედ მასზე იგება სივრცობრივი კომპოზიციაც და შენობის ფუნქციურ-ტექნოლოგიური წყობაც. თუ ნაგებობა იწვევს ლანდშაფტის ოდნავ რღვევასაც კი, ეს იმას ნიშნავს, რომ გარემოს პროექტზე არგებენ და არა პირიქით! – ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში მშენებლობის ელემენტარული ნორმები დაირღვა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ინვესტორმა კომპანიამ უნდა აღიაროს თავისი პროფესიული უსუსურობა...





აქ ერთ დროს ულამაზესი ტყე-პარკი იყო

* * *

**მეორე** ფაქტზე უზოდიშოდ, მთელი სიმკაცრით ვიტყვი: — ნეტა იმ ადამიანების ტვინში ჩამახედა, ვინც მეტეხის კლდის ერთი დიდი მონაკვეთი ბარბაროსულად ამოანგრია. ეს რა უმსგავსობაა! ეს რა უვიცობაა! ჩვენმა მეცნიერებმა, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა მძაფრი რეაქცია კი გამოხატეს, მაგრამ... ამ აშკარა დანაშაულისთვის დასაჯეს ვინმე? ლიცენზია მაინც თუ ჩამოართვეს, ან თუ დააჯარიმეს? ქალაქს ჭეშმარიტად გულშემატკივარი ხელმძღვანელობა რომ ჰყავდეს, ამ უმძიმეს ჭრილობას, პროექტის რეცენზირება მოახდინა და გზა გაუხსნა დასამტკიცებლად...

**ის ქაოსი და ანარქია, რაც დღეს ხდება არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში, იმითაა განპირობებული, რომ არასწორად გაუქმდა ყველა სახელმწიფო ორგანო (სამინისტროს ჩათვლით!), რომლებიც სამშენებლო პროცესს უნდა აწესრიგებდეს.** ბოლო 10 წლის განმავლობაში მერიაში ბარე 10 მთავარი არქიტექტორი გამოიცვალა. ეს აბსოლუტურად მიუღებელი, სამსახურის ქრონიკული არასტაბილურობის მაჯერ ეროვნული, შემდეგ — საერთაშორისო ხასიათი... ინვესტორის ფულმა ქვეყნის ხელისუფლება არ უნდა დათრგუნოს, ფულმა არ უნდა დაგვაბრმავოს.

სამყაროს დაღუპავს არა ოდენ ატომისა და წყალბადის ბომბი, არამედ, უწინარესად, ფული, რომელიც ზვინებად ყრია თანამედროვე მსოფლიოში. უწიგნურებისა და არაპროფესიონალების ხელში ეს ფული უბედურების მომტანია, — ასკვნის „ძველი“ არქიტექტორი.

* * *

დადიხარ თბილისის პრესტიჟულ უბნებში და გიკვირს: რო-



აფსუს, მეტეხის კლდის ულამაზესო სანახებო!

SIC!

თბილისი ერთადერთი დედაქალაქია დედამიწის ზურგზე, რომელსაც განვითარების გენერალური გეგმა

არა აქვს!

# ანადგურებს

ამ დანაშაულს დაუსჯელს არ დატოვებდა. მაგრამ ზემდგომი დიდ-დიდი ჩინოვნიკები საკუთარ თავს დასჯიან? მანამდე არაფერი გეტკინოთ!

რაც შეეხება **მესამე** ფაქტს: ენა როგორ მომიბრუნდება უარყოფით კონტექსტში მოვიხსენიო ჩვენი დიდი ქველმოქმედი და მამულიშვილი ბიძინა ივანიშვილი, მაგრამ ის, რაც მისი დაფინანსებით მშენებარე ბიზნეს-ცენტრთან მოხდა, წარმოუდგენელი სისასტიკეა დედაქალაქის ლანდშაფტის მიმართ. გულმოდგინედ დავათვალიერე ეს ადგილი და ვერაფრით მივხვდი, რისთვის გააკეთეს ამოდენა საინჟინრო ნაგებობა, რატომ გადახურეს გზის ეს მონაკვეთი, რომელმაც მოსპო არც თუ ურიგო ხედი ქვემოდან თვით ბიზნეს-ცენტრის კომპლექსამდე, ულამაზესი პანორამა თაბორის მთაზე, გადასახედი ბოტანიკურ ბაღზე, ასევე ხედი ფუნიკულიორ-ტაბახმელას ტრასიდან მთელ თბილისზე... ძალიან ვწუხვარ, გამოსავალი ვერ მიპოვია...

**— ბატონო ვახტანგ, თქვენ ინვესტორი ახსენეთ. მაინც, რა წვლილი მიუძღვის ინვესტორის ფულს დღევანდელი თბილისის დამახინჯებაში?**

— ქართულ არქიტექტურაში, ზოგადად თბილისის (სხვა ქალაქებისძ ურბანულ განვითარებაში რა დარღვევები და ზოგჯერ წარმოუდგენელი გადაცდომებიც ხდება, XXI საუკუნის ინვესტორს მასში საკმაოდ მოკრძალებული ადგილი უკავია, რადგანაც ქვეყანა და ქალაქი (ქალაქებიძ, უნდა დაიცვას ადგილობრივმა ხელისუფლებამ და საამისოდ მოწოდებულმა დარგობრივმა სამსახურებმა. ყოველი კონკრეტული დანაშაულის უკან კონკრეტული ადამიანი დგას, უპირველესად კი, ის, ვინც უწყებელია... ყოვლად გაუგებარია ქართული არქიტექტურული სკოლის დისკრედიტაციის მცდელობა და მისი იგნორირება ქვეყნის საკვანძო ობიექტების პროექტირებაში.



„გვირაბით“ დამახინჯებული ბიზნეს-ცენტრის ხედი ბოტანიკურ ბაღთან.

დღეს უცხოელი შემოდის უცხო პროექტით, ხშირად უსუსური არქიტექტურით (მარტოოდენ ახალი აეროპორტის უსახური ნაგებობა რად ღირს!ძ და უტიფრად ცდილობს ქართული არქიტექტურის ხვალინდელი დღე განსაზღვროს! არადა, ელემენტარული საერთაშორისო ნორმით, ყოველმა ინვესტორმა მონაწილეობა უნდა მიიღოს ჩვენი სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ღია საერთაშორისო კონკურსში, რომელმაც უნდა გამოავლინოს გამარჯვებული. სწორედ ამ გამარჯვებულის ნააზრევში უნდა იკითხებოდეს ქართული არქიტექტურული იდეოლოგია, ანუ ჩვენი არქიტექტურის მხატვრულ-ესთეტიკური პოზიცია, გორ ჩაეტია ეს ცხრა-ათ-თორმეტსართულიანი უსახური საცხოვრებელი კორპუსები ვიწრო ქუჩებში. თითქმის ყველგან დარღვეულია პროექტით გათვალისწინებული სართულიანობა, არქიტექტურული პროპორცია, გარესამყაროსთან თანხვედრის ნორმები. ინსოლაციის და სეისმომედეგობის პრობლემებს ხომ არავინ ითვალისწინებს. სასუნთქი ჟანგბადიც აღარ დარჩა, ტროტუარები გადატენილია (დღისითაც, ღამითაც!ძ უფარეხოდ დარჩენილი ავტომანქანებით. თბილისის ჰაერის დაბინძურება 20-ჯერ აღემატება დასაშვებ ნორმას. ხომ წარმოგიდგენიათ, რა ზედახორა იქნება მარჯვენა სანაპიროზე, როცა „პარკ ჰაიატის“ კომპლექსი დამთავრდება და მიმსვლელ-მომსვლელთა „ჯიპების“ ნახევარიც ვერ დაეტევა სამსართულიან მიწისქვეშა ავტოსადგომში...

თბილისი ერთადერთი დედაქალაქია მსოფლიოში, რომელსაც ბოლო 20 წელიწადია განვითარების გენერალური გეგმა არა აქვს (სოციალიზმის დროს ჰქონდა და ცენტრალური, ისტორიული უბნების ასე გადატვირთვას ვერავინ გაბედავდა!ძ, თბილისი ერთადერთი ქალაქია მსოფლიოში, სადაც არავინ ამოწმებს როგორი ხარისხის არმატურით, ცემენტით, ბეტონით, ბლოკით შენდება სახლები და სასტუმროები, ბიზნეს-ცენტრები და სუპერმარკეტები... ყველა „ფირმას“ — დეველოპერულ-სამშენებლო კომპანიას საკუთარი სტანდარტი აქვს...

და რაც უმთავრესია, დღეს თბილისში ნებისმიერი სახის ერთი კვადრატული მეტრი ფართობი თეთრი კარკასის მშენებლობა მაქსიმუმ 300 დოლარამდე ჯდება, საბაზრო ფასი კი, მინიმუმ 1000 დოლარია! „ევრო-რემონტით“ დამუშავებული ფართები კი 2000 დოლარიდან 5000 (კომერციული!ძ დოლარამდე მერყეობს...

**დაბერებული საქართველოს მილიონამდე პენსიონერის ყოველთვიური შემოსავალი მხოლოდ 70-80 ლარია!**

ფულის სიყვარული ყველაფერს ანადგურებს — ზნეობასაც, მორალსაც, ჭეშმარიტებასაც, საცხოვრებელ გარემოსაც და ამ ხანმოკლე წუთისოფელში ჩვენი ყოფის ადამიანურ უფლებებსაც...

**სპარტაკ ქოზულია,**

ჯემალ კასრაძის და მურად ალაშვილის ფოტო



„სატივეს“ უსახური სართულები ვერაზე...

SIC!

„...ლანძღავს თავის ქვეყანას, რადგან დამნაშავეა მის წინაშე, ამ ლანძღვით კი თავს ამხელს...“

**წმიდა ნიკოლოზ სერბი**

# ახალი საეთნო-ფაბრიკაციო პოლიგონისათვის

## განათლების ცენტრი „კოლხიდა“ ეროვნულ სულში ხრწნის შემოპარებას ცდილობს

მარგალეფ ვორეთ, მეგრელები ვართ – ვამბობთ ხმამაღლა და ცნობიერი თვალსაწიერის იმ სარკმელს ვაღებთ, საიდანაც სრულიად საქართველოს ვუერთსხეულდებით.

მარგალეფ ვორეთ – ვამბობთ ხმამაღლა და დროსა და სივრცეში ღვთივდადგენილ ვინაობად ნიშანსვეტდება სვანთა, მართლა აფხაზთა, რაჭველთა, ლაზთა, ტაოსკარელთა, შავშთა, ჰერთა, თუშთა (არავინ გამოგვრჩეს) ...ყოველთა ქართველთა გაერთმუშტებული გაკიდით-კიდება!...

დღეს საქართველო ყოფნა-არყოფნის ბეწვის ხიდზე გადადის, წინ გახედვა სასურველი კი არა, სასიცოცხლო აუცილებლობაა.

სამწუხაროდ, ჩვენი სამშობლოს ოთხივე კუთხით სასახლიკაცო თემშარიდან შემოპარული ვითომ მოყვარე მტერი სხვადასხვა საძრახობით ახერხებს საქართველოსათვის ზურგში მახვილის ჩამცემთა მოთადარიგებას.

დოსქიდას სამარგალოქ დო მთელ ოქორთუექ!

დაე, მუდამ იყოს სამეგრელო და მთელი საქართველო!

* * *

მიუხედავად სრულიად საქართველოს (გნებავთ სრულიად ლაზეთის) მტკიცე სახალხო ნებისა – აიღორძინოს საკუთარი ვინაობა ეროვნულ-სახალხო ძალისხმევაში, ქვეყანაზე ღვთის უნებურად მაინც მძვინვარებს გარედან თავსმოხვეული ხმაბაძვა და უცხოთუმეობა.

პიარისა (გააურზაურებისა) და ფასადებზე აგებული პოლიტიკის პირობებში, როცა საქართველოს ცნობიერების სულიერი გაბერწება და ხალხის ინფორმაციული დაბნელება სტრატეგიული მიზანი გახდა, ეროვნულ-სახალხო მღვიძარება საყოველთაო აუცილებლობად უნდა ვაღიაროთ. ეს ჩვენი მოვალეობაა, სამწუხაროდ, გადასაშენებლად წინგარეკილი სიმრავლისათვის ამგვარი



რამ მუცლის სავარცხელია მხოლოდ.

ასეთი მიზნის მისაღწევად საქართველოს ლუკმა-ლუკმა ჩამოთლის ხერხმა გაამართლა. იმ ვითარებაში, როცა ჩრდილო-დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი) და ჩრდილო-დასავლეთ ქართლი (ცხინვალის მხარე) ე.წ. მსოფლიო საზოგადოებრიობას წარუჩინეს „არაქართულ ქვეყნებად“, დღის წესრიგში დადგა მორიგ ლუკმად სვანეთ-სამეგრელოს „არაქართულობის“ ჯერ დამტკიცება და შემდეგ მისი, როგორც „სხვათა ქვეყნის“ მოწყვეტა დედა საქართველოდან. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ერის ხელოვნური დაქუცმაცების პროგრამა ასეთივე ხელწერით ხორციელდება თურქეთის სახელმწიფოში.

ამ დღეებში ამის კიდევ ერთ დადასტურებად და საზურგე მახვილად წარმოჩნდა თვითმარქვია ე. წ. მეგრული გაზეთი **„შურობუმუ“** (სხვათა შორის, სახალხო შინაარსი „შურობუმუ“ ჩვენი სტატიებითაც მკვიდრდება სალიტერატურო ქართულში და ჩვენგან ქართულ სამწერლო მიმოქცევაში შემოძღოლილი ეს მეტად საჭირო სიტყვა დივერსიული ეთნოფაბრიკაციების პაროლად უნდათ აქციონ ვიღაც არამკითხე „მოხალისეებმა“).

უწინარეს ყოვლისა, სანამ ამ საკითხზე საუბარს განვაგრძობდეთ, აუცილებელია რამდენიმე მსოფლმხედველობრივი დებულების წინასწარი ხაზგასმა. ეს დებულებები ეფუძნება ქართველი ერის, როგორც განუყოფელი და ერთიანი ისტორიულ-კულტურული ლასკარის ზოგიერთ განზოგადებას, მოკლედ რომ ვთქვათ, ეროვნულ გნოსეოლოგიას.

ეროვნულ-სახალხო თვითმოაზრებიდან და მეცნიერული დასაბუთებებიდან გამომდინარე, დღეს არავისთვის, მით უფრო წმიდა ამბროსი ხელაიას კუთხის ნებისმიერი წარმომადგენლისთვის საორჭოფო არ უნდა იყოს (და არცაა), რომ:

**1). ქართველი ერი წარმოადგენს ერთიან, ჰომოგენურ და განუყოფელ ეთნოლინგვისტურ ერთობას, ფასეულობათა და კულტურული უნივერსალიების ექსკლუზიური სისტემით – ენა, აზროვნების წესი, სარწმუნოება, ეროვნული კულტურა, ტრადიციები და წეს-ჩვეულებები, გენეტიკური წარმომავლობა, თვითმყოფადი ეროვნული ხასიათი, მენტალიტეტი და თვითშეგნება, ისტორიული ბედის ერთობა.** ეს არის ერის ეთნოფსიქოლოგიური და კულტუროლოგიური დეტერმინაცია, რომლის თანახმადაც ქართველი ერი უპირატესწილად არის ქართული სული, ყოფიერების სულიერი პრინციპი, სულიერ-კულტურულ ფასეულობათა ერთობლიობა, რომლის გასწვრივ სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური ურთიერთობები, ტერიტორია და თვით სახელმწიფოებრიობაც კი, მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც მეორადი, არასტაციონარული და ინფრასტრუქტურული ინსტიტუციის უზრუნველმყოფელი ფაქტორებია.

ამიტომ, ქართველი იმთავითვე არსებობდა, ის, ასე ვთქვათ, „ბუნებრივ მდგომარეობაში“ ჩაისახა, ანუ ღვთივდადგინდა და ამიტომაც მისი გენეზისის დაკავშირება ამა თუ იმ ისტორიულ ეპოქასთან (ქრისტიანიზაცია, განვითარებული ფეოდალიზმი, „ოქროს ხანა“, XIX-XX საუკუნეები) უაღრესად ვულგარულ ინტერპრეტაციას წარმოადგენს. ქართველი ერი ისტორიის ყველა პერიოდში არსებობდა და ვითარდებოდა, ასე ვთქვათ, ბუნებრივი (ღვთივდადგენილი), ე.ი. ლასკარული წესრიგით (ლასკარი – ოჯახი, სულითა და სისხლით ნათესავთა ცნობიერი თუ ყოფით-ყოველდღიური გაერთსხეულება, ერთიანი სახელმწიფოებრივი ერთჭერქვეშეთის არარსებობის შემთხვევაში სახელმწიფოს ფუნქციის მატარებელი). იგი სივრცისა და დროის თავდაპირველ წესრიგში სოციოგენეტიკურ ერთობად მოიაზრებდა საკუთარ თავს. აქედან გამომდინარე, მის სულიერ წიაღში უფლების, მოვალეობისა და პასუხისმგებლობის ლასკარული გაპიროვნება გაისაგნა შინერსისა (ღვთივდადგენილისა) და ვაშინერსის (ღვთივნებადაურთველის) მსოფლმხედველობაში.

ეს გახლავთ ქართველი ერის ტიპოლოგიის ერთიანი მოდელი, დამყარებული ეთნოგენეზის პრიმორდიალისტურ პარადიგმაზე.

**2). ქართველი ერი წარმოადგენს ისტორიულ-კულტურულ ჰომოგენურ სისტემას. ის არის ერთიანი, გაუდიფერენცირებული და ჰომოგენური იდენტურობის მატარებელი ეთნოსუბიექტი. ამასთან, როგორც ეთნოსისტემას, ქართველ ერს აქვს განსაზღვრული შიდა სტრუქტურა, ასე ვთქვათ, იმანენტური ეთნოსტრუქტურა.** ამიტომ ამ შიდასტრუქტურის ახსნა შეიძლება მოხდეს სისტემური თეორიის ძირითადი ცნებებით, კერძოდ „სისტემის“, „შემადგენელი ელემენტებისა“ და „სტრუქტურის“ ცნებებით. ამ მიდგომის ფარგლებში ქართველი ერი წარმოადგენს საერთო გენეტიკური წარმომავლობით, ენით, ტერიტორიით, ანუ გონითი განფენის სივრცით, კულტურული ფორმატით, თვითცნობიერებით განუყოფლად ურთიერთდაკავშირებული პირადობების (ქართლელები, მეგრელები, სვანები, კახელები და ა.შ.) ჰომოგენურ გაერთსხეულებას. აქედან გამომდინარე, ქართული ეთნოსტრუქტურა (ე.ი. ეროვნული სისტემის სტრუქტურა) გულისხმობს, როგორც ამ ეროვნული გაერთსხეულების სისტემად ორგანიზაციის, ე.ი. საერთო-ეროვნული თვითიდენტიფიკაციის პრინციპებს, ასევე ერთიან სისტემაში პირადობათა ურთიერთმიმართების, უფრო ზუსტად ვიწრო-ლოკალური მიკროიდენტურობის პრინციპსაც. ეს არის სისტემის უნივერსალური მაკროთეორიის ანბანური ჭეშმარიტება.

**3). რაც შეეხება აზრთა სხვადასხვაობას მეგრული მეტყველების, ანუ რაგადის შესახებ (რაგადი –იხილეთ სულხან-საბა ორბელიანი), თუ როგორი მაკროლინგვისტური სტატუსის მქონეა ის (ენაა, დიალექტია თუ კილოკავი), – ეს საკითხი ქართველი ერისათვის იმთავითვე იყო გარკვეული, რომლის შესაბამისად ის წარმოადგენს არა ენათა, თუნდაც, სახლიკაცურ შერწყმას, არამედ გაერთსხეულებული ვინაობის მრავალხმოვან (ნაირსახეობით) თვითდადგენას ეროვნულ-სახალხო ლასკარში სათითოო უფლების, მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გასახალხოებული გაპიროვნებით.** ამიტომ, ვისაც არ ეზარება, მისთვის ეს თემა წარმოადგენს სადისკუსიო საგანს ენათმეცნიერების შიგნით.

ჩვენი აზრით, ქართულს, დიალექტებთან ერთად, ახასიათებს ნაირსახეობითი მეტყველებები (რაგადები). ზემოთქმულის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, ზოგჯერ მეგრული მეტყველების (რაგადის), როგორც განსაზღვრული მიკროლინგვისტური ფორმაციის ზოგადქართულთან მიმართებას, ე. წ. ვერნაკულარიზმის მოდელში განმარტავენ. სოციოლინგვისტიკაში არსებობს ცნება „verhakular“-ი, რომელიც ლათინურად ნიშნავს ადგილობრივ ენას, მშობლიურს, ხალხურს, ლოკალურს. სოციოლინგვისტურ კონტექსტში ვერნაკულური ენა გულისხმობს გარკვეული ერთობის ენას საერთო-ეროვნული სტანდარტიზირებული და კოდიფიცირებული ენის წარმოქმნამდე. ამასთან დაკავშირებით, ვინაიდან, მეგრული არის არა ადგილობრივად კარშემორაგული ენა, არამედ ეროვნული ენის ქმნადობის სივრცეში დანარჩენ საქართველოსთან ერთად დედაენის თანაბარი წვლილით შემქმნელთა ნაირსახეობითი მეტყველება და რადგანაც ყოვლად უსაფუძვლოდ ამ შემთხვევაში მეგრულის დედოქართულს გამიჯნულ ენად დადგენა ჩასაფრებული ძალებისათვის წარმოადგენს ზურგის ქარს, ვფიქრობთ, რომ საჭიროა ზოგადქართულ სივრცეში მეგრელის განსასაზღვრავად ზუსტი შესატყვისი. ამიტომ, მეგრულის, როგორც სამეტყველო ნაირსახეობის დასაზუსტებლად აქ გამოდგება „რაგადი“. დიახ, ეს ასეა, თუნდაც იმიტომ, რომ მეგრული (და სვანური) „ენა“ მხოლოდ ვიზუალურად წარმოადგენს ვერნაკულარულ მეტყველებას, იგი ერთი ენობრივი ბუნების ნაირსახეობითი გამოვლენაა, რომელმაც დედაენის გაწყალუხვება უკიდეგანოდ უნდა უზრუნველყოს. ის საერთო დედაენის საწყისი ნაირსახეობაა – რაგადია. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ძველბერძნული, დღევანდელი ბერძნისათვის ან ძველარმენული არმენისათვის, გაუგებარია, არც ბერძენი და არც არმენი მისგან დისტანცირებული არ არის და მათ არ მიიჩნევს სხვათა ენად. საკუთრივ ქართული ენის სტანდარტიზების (ე. ი. სახელმწიფოებრიობისა და ღვთისმსახურების – ლიტურგიის ენად გადაქცევის) შემდეგ, სვანურ-მეგრულ (ლაზურ) წიაღში საველებით ბუნებრივად აღმოცენებული დედოქართული ენის გარშემო ქართული სამყაროს კონსოლიდაციამ მეგრულ(ლაზურ)-სვანური ჩამოაყალიბა ლასკარულ და ამავე დროს ვიწრო-ლოკალურ შიდალინგვისტურ ფენომენად. ამიტომ, მეგრულ და სვანურ რაგადებს აქვთ: – 1) ქართული ცივილიზაციის პირველადი სტაციონარული სტრუქტურული მოდელის კონსერვაციის ფუნქცია, 2) საერთო ძალისხმევით შექმნილი კოინე დედაენის გაწყალუხვებისა და ჯიშისმიერ საწყისთან მიერთსხეულების ფუნქცია, რაც წარმოადგენს მტკიცე ჯავშანს საპირწონედ აგრესიული გლობალიზმის ეთნოფაბრიკაციათა წინააღმდეგ, ანუ ასე ვთქვად, „ლინგვისტური რეზერვუარის“ ფუნქცია, აკ. წერეთლის მოსწრებული გამოთქმა რომ მოვიშველიოთ, „ნამდვილი ქართული სისტემის პირველადი სალაროს“ ფუნქცია.

**4). მეგრული და მეგრელი არ არის და არც შეიძლება იყოს ეთნიკური იდენტურობის აღმნიშვნელი ტერმინი, ე.ი. ეთნონიმი. ეთნოსოციოლოგიური და ლინგვოსოციოლოგიური დეფინიციით, ეს არის მიკროეთნოგრაფიული სემანტიკური ერთეული. ამ და საერთოდ ყველა შემთხვევაში მისთვის ერთადერთი სოციოგენეტიკური და ეთნოკულტურული იდენტობა არის ქართველი ერი.**

„მეგრელი ერი“ ან „მეგრული ეთნოსი“ არის არა რეალური ეგზისტენცია, არამედ ერთგვარი პირობითი აზრობრივი კონსტრუქტი, ერთგვარი „იდეალური ტიპი“, რომელიც არსებობს მხოლოდ საქართველოს დაშლა-დაქუცმაცების მოსურნეთა გონებაში და მხოლოდ მათთვის აქვს დეზინტეგრაციულ-ევრისტიკული ფასეულობა. გნოსეოლოგიის ელემენტარული კანონი გვამცნობს, რომ ცნებები არსებობენ, როგორც ადამიანთა ცნობიერებაში, ისევე მის გარეთ. მაგრამ არსებობენ მარტოოდენ შემეცნებაში არსებული ცნებები. მაგალითად: არსებობს ცნება „ერი“, მაგრამ რეალური ერებიც (ქართველები, რუსები, ფრანგები) არსებობენ.

ასევე არსებობენ ცნებები მხოლოდ გონებაში. მაგ; ცნებაა „ეთერი“, მაგრამ რეალობაში ის არ არსებობს და ვერც იარსებებს. „მეგრელი ერი“, როგორც ცნება, არსებობს ზოგადად საქართველოს მტრების გონებაში და მისი დედოსხეულიდან მოწყვეტის „ღვთივნებადართულობის“ მტკიცება წარმოადგენს მხოლოდ გარკვეული აზრობრივი გაუკუღმართების, სულგაყიდვის ან გაურკვევლობის ანტიმეცნიერული და ხელოვნური ონტოლოგიზაციის შედეგს. აბსოლუტურად გადაუჭარბებლად უნდა აღინიშნოს, რომ მეგრული და სვანური ეთნოკულტურულ-ეთნოლინგვისტური „იდენტობების“ არგუმენტაცია ადრეც იყო და დღესაც არის რუსეთის იმპერიულ-ანტიქართული სტრატეგიების ორგანული ნაწილი, ამჟამად კი აგრესიული გლობალიზმის გამთიშველური და ძირგამომთხრელი ეთნოდივერსიების პროდუქტი. სწორედ ამ სტრატეგიის ნაწილია მეგრელები-

SIC!




სა და სვანების ეთნიკურ ერთობებად გამოცხადება, მათ ნაირსახეობით მეტყველებათა ზოგადქართულისგან ენის სტატუსით მიზნობრივი გამიჯვნის ცდა. და მათთვის ლექსიკოგრაფიული ინფრასტრუქტურის შექმნა არის ვერტიკალური ხაზით საქართველოს დანაწევრების სტრატეგია — თუ, ვთქვათ, ჩვენი ტერიტორიის არმენული, რუსული ანკლავური კოლონიზაცია მიზნად ისახავდა საქართველოს დანაწევრებას „ჰორიზონტალში“ (ქართველებსა და არაქართველებს შორის), ეს სტრატეგია მიზნად ისახავს ქართველი ერის „ვერტიკალში“ დესტრუქციას — მის დაყოფას თვითმყოფად „ეთნიკურ“ ჯგუფებად.

საბჭოთა „თეორია“ ქართველი ერის ჰიბრილელობის შესახებ (თითქოს ის წარმოადგენს მეგრელებისგან, ლაზებისგან, სვანებისგან და ა.შ. ხელოვნურად შეკოწიწებულ ფრაგმენტირებულ და ჰიბრიდული იდენტურობის მქონე კონგლომერატს), მიზნად ისახავს ქართველი ერის დეზინტეგრაციას და ჰომოგენურობის დაშლას, მისი ერთიანი სუბსტანციის ცრუმეცნიერულ უარყოფას. ეს მდგომარეობა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ქართველი ერის ყველა თაობამ ყოველგვარ ვითარებაში, ნებისმიერ სიტუაციაში, ნებისმიერ მეცნიერულ თუ სხვა პროფილის დისკუსიაში, რომელსაც საპირწონედ უნდა დავუდოთ ღვთივდადგენილი, ანუ სწორი განმარტება ქართველი ერის ვინაობის შესახებ (რომელსაც ვამხელთ აგრესიული გლობალიზმის დიდმპყრობლურ მიზნებს, ცხადია, ჩვენ არ მივისწრაფვით ვიწრო ეროვნული თვითშემორაგვისაკენ, ვერც ერთი ერი ვერ შეძლებს სრულყოფას ხალხთაშორის ჯანსაღი ურთიერთობის გარეშე).

ასეთი შესავალი იმისათვის დაგვჭირდა, რომ ქვემოთ გავარკვიოთ, თუ რა სახის დივერსიულ ეთნოფაბრიკაციებთან გვაქვს საქმე ამჯერად.

**ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) წარმატებით განხორციელებული მკვიდრი მოსახლეობის დენაციონალიზაცია, მათი სულადობრივი და სულიერი გენოციდი, ეთნიკური წმენდა თუ ამ მხარის მიზნობრივად გაყალბებული ისტორიის ერთადერთ სიმართლედ გასაჯარისება, აგრესიული გლობალიზმის, როგორც რუსისტულ, ასევე დასავლურ ქვებრიგადებს საშუალებას აძლევს ამჯერად საეთნოფაბრიკაციო პოლიგონი ოდიშში გადმოიტანონ, ხოლო ეთნოდივერსიული ინდუსტრიის შესაბამის ეთნონედლეულად ოდიშარები გამოიყენონ.**

ქვემოთ ჩვენ გავეცნობით მეგრელთა სახალხო დამოკიდებულებას მათ მხარეში სეპარატისტული ლაგამამოდების მცდელობისადმი, ვნახავთ მტრის მიერ ჩვენს გარშემო მოძიებული ხელისბიჭების საყოველთაო უარყოფის არაერთ შემთხვევას, რაც მარწმუნებს, რომ დივერსიული ეთნოფაბრიკაციები სამეგრელოში მეგრელთა შორის ვერ მოიძიებს იმ რაოდენობის ეთნონედლეულს, რათა ეს ქვებუდნობა აქ მძლავრ ინდუსტრიად აქციოს.

ბუნებრივია, დივერსიული ეთნოფაბრიკაციების პოლიგონად სამეგრელოს დადგენა გულუბრყვილობა იქნებოდა მარტო მეგრელ მოხალისეებზე დაყრდნობით. ისინი საზღვარგარეთიდან ტიტულოვანი, ოცდაათი ვერცხლით ჯიბეგამოტენილი „მეცნიერების“ მტკიცებულებებითა და უფლებადაცვითი ძეგლისდებებით „ასაბუთებენ“ მეგრელთა „არაქართველობას“. ასევე, ოცდაათი ვერცხლიდანაა ხელს გამოყოლილი ის ფულიც, რომლითაც სხვადასხვა „მეგრელთდაცვითი“ ორგანიზაციების, ე.წ. ნაშრომებისა თუ თვითმარქვია გამოცემების შეკოწიწება ხდება.

ასეთი ნიმუშები სანთლით საძებნი სულაც არაა, მაგრამ ამჯერად, როგორც ნიმუშს წარმოგიდგენთ: იური ღვინჯილიას და კომპანიას თავიანთი ე.წ. გაზეთ „შუროზუმუთი“...

იური ღვინჯილიასა და კომპანიასთან დაკავშირებით გვინდა ვთქვათ, რომ საბედნიეროდ, აქ საკმაოდ მარტივადაა საქმე, რაც, რა თქმა უნდა, ეროვნული სიფხიზლის მოდუნების საბაბს არ იძლევა: ჩასაფრებული მტერი ჩვენს საყოველთაო ჩათვლემას წამგაუცდენლად ელის. უბრალოდ, ის გვინდა ვთქვათ, რომ მიუხედავად მილიონობით დოლარის გადმოქაჩვისა, ჯერჯერობით მეგრელთა შორის, მათი ეროვნულ-სახალხო თვითშეგნებიდან გამომდინარე, ვერ მოიძებნა ისეთი გაქნილი სულგაყიდული, რომლის ნაკერიდან თეთრი ძაფი ვერ გამოჩნდებოდა. თუმცა, ვიმეორებთ, ამ საქმეში არაერთი, მართალია, ნაკლებდაოსტატებული, მაგრამ მაინც შთაგონებული მოხალისე გამოჩნდა ამ ბოლო დროს.

პირდაპირ ვიტყვი: მათი წარამარაობა, ყველაფრისდა მიუხედავად, როგორც ვაშინერსის წესრიგს მიმდგომელი, ანუ ღვთისუნებური, მკვდრადშობილი ხელგამოღებაა, მით უფრო, როცა ინტრიგანთა ცდა ერის თანაგრძნობას ვერ მოიპოვებს.

ასეთ დროს იბადება კითხვა: სად არის ძაღლის თავი დამარხული?!

დღეს აგრესიული გლობალიზმისათვის საქართველო ისეთივე საეთნოფაბრიკაციო პოლიგონად მოიაზრება, როგორც ველიკოდერჟავული რუსეთისთვის. ვინაიდან, ტექნოკრატიული დასავლეთი პონტო-კავკასიური გეოცივილიზაციის აღორძინებაში ხედავს ამ სივრციდან თავის დიდმპყრობელურ ზრახვათა გაძევების საფრთხეს, იგი ყველანაირად ხელს უწყობს საქართველოს გათითოკაცებას, რაც ერის გადაშენების წინაპირობაა. ეს კი, თავის მხრივ, პონტო-კავკასიის კვლავაღდგომის დასამარებას ნიშნავს.

აგრესიული გლობალიზმის დიდმპყრობლური ხერხები რუსიზმთან შედარებით უფრო სრულყოფილი და ხავერდოვანი გახლავთ, ამიტომ, იგი ე.წ. კეთილმოსურნე და მზრუნველი ღონისძიებებით ინიღბება. ამ შემთხვევაში მეგრელებისა და სვანების „კეთილდღეობისათვის“ მისი ხელებდაკაპიწება ჰგავს იმ გულჩვილობას, როცა მოზვერს ჯერ თავს წააგდებინებ და შემდეგ დაუყრი თივას.

ამავე დროს კვლავ დღის წესრიგში დგას ველიკოდერჟავული რუსეთის მგლური მადა. ამის შესაბამისად, მან აფხაზეთისა და სვანეთის საკითხთან ერთად მეგრელთა დენაციონალიზაციისათვის ჯერ კიდევ მე–19 საუკუნის 80-90-იან წლებში სცადა სამეგრელოში „მეგრული“ სწავლებისა თუ წირვა-ლოცვის შემოღება, რასაც სამეგრელოს საზოგადოებრივმა აზრმა და სამღვდელოებამ ქუდზეკაცური პასუხი გასცა.

მეორე ტალღა ვითომმეგრული თვითგამორკვევისათვის მე-20 საუკუნის დასაწყისიდანვე გაგრძელდა, რაც ასევე მეგრელთა ძალისხმევით ჩაიშალა.

შეგახსენებთ, რომ მე-20 საუკუნის 70-80-იან წლებში რუსეთის ეთნოფაბრიკაციული ტაქტიკა საქართველოს მიმართ ამგვარად ჩამოყალიბდა:

**„კომუნისტური პარტია რუსეთის წებოა და სანამ ეს წებო თავის ძალას, თავის თვისებას არ დაკარგავს, მანამდე უნდა ავამუშავოთ რუსეთის გადარჩენის გეგმა, რომელიც სხვადასხვა რესპუბლიკაში სხვადასხვა იქნება.**

**შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრებ გენერლებს უნდა მივცეთ ცხოვრების ნორმალური საშუალება. მათ ჩამოსასახლებლად გვჭირდება შავი ზღვის სასაზღვრო ტერიტორია, სადაც, როგორც მოგეხსენებათ, ქართველები ცხოვრობენ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართველები ჩვენგან ძლიერ განსხვავდებიან, ადრე თუ გვიან საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს დააყენებენ და თავისუფლებას მოითხოვენ. მათთან ბრძოლა უნდა დავიწყოთ აფხაზეთიდან. აფხაზეთის გამოყენებით, სამეგრელოს, სვანეთს, აჭარასა და სხვა კუთხეებს უნდა მივცეთ დამოუკიდებლობა. მათში ცალ-ცალკე უნდა გავაღვიძოთ კუთხურ-ეროვნული გრძნობა. დასავლეთ საქართველო უნდა დავუპირისპიროთ აღმოსავლეთს, ამის შემდეგ მათ შორის მომრიგებლის ფუნქცია უნდა შევასრულოთ. პარალელურად ქართველები მეცნიერულად უნდა დავარწმუნოთ, რომ ისინი სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსახლებულნი, სხვადასხვა ერის წარმომადგენლები არიან, რაც მათი საქართველოს ტერიტორიიდან საბოლოოდ გაძევების საშუალებას მოგვცემს“** (მ. სუსლოვის დახურული მოხსენება, პარიზის ეროვნული საბჭოს ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, 26 მაისი, 2003წ.ძ.

**სერგი საჯაია,**
**ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიის ლაურეატი;**
**დაზმირ ჯოჯუა,**
**პროფესორი.**




***წერილი** შეთანხმებულია აფხაზეთ-სამეგრელოდან გამოსულ ცალკეულ მეცნიერებთან, საზოგადო მოღვაწეებთან, ხელოვნებისა და მწერლობის წარმომადგენლებთან.*

*დამოწმებულ მასალებში ავტორთა სტილი დაცულია.*

***2008 წ. 30 ივნისი***

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

მოსაზრება

## ანდრანიკ მიგრანიანი:

# სააკაშვილის ინიციატივას მხარს ვუჭერ, მაგრამ რუსეთს დამოუკიდებლად შეუძლია უზრუნველყოს ოლიმპიადის უსაფრთხოება

(მეორე გვერდიდან)

**— ერთ-ერთ ინტერვიუში თქვენ განაცხადეთ, რომ დაუშვებელია პარალელის გავლება ერთის მხრივ რუსეთ-აფხაზეთს, ხოლო მეორეს მხრივ — ამერიკა-ტაივანს შორის. როგორ დაასაბუთებდით თქვენს ამ დებულებას? — ამ პარალელს ხომ ძალიან ხშირად ავლებენ მოსკოვში?**

— არა მგონია, ასეთი პარალელი მართებული იყოს. რამდენიმე მიზეზს დავასახელებდი:

ტაივანი წლების განმავლობაში ჩინეთს წარმოადგენდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში (რესპონდენტი იმ პერიოდს გულისხმობს, როდესაც დასავლეთი ტაივანს აღიარებდა „ნამდვილ ჩინეთად“ და არ ცნობდა ჩინეთის კომუნისტურ ხელისუფლებას — GHNძ; ახლა კი კონტინენტური ჩინეთია გაეროში წარმოდგენილი, ხოლო ტაივანი - არა; მაგრამ ორივე მათგანი სერიოზული სახელმწიფოა. ამავდროულად, ჩინეთს მიაჩნია, რომ ტაივანი ჩინეთის ნაწილი უნდა გახდეს; ტაივანის მოსახლეობას ჩინელები შეადგენენ; ერთი ენა აქვთ; ჩინეთსა და ტაივანს შორის იდეოლოგიური წინააღმდეგობა იყო და არა ეთნოკულტურული ან ეთნონაციონალური, როგორც საქართველოსა და აფხაზეთის შემთხვევაში. საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტი კი სულ სხვა, პრინციპულად განსხვავებული მოვლენაა.

ქართველები და აფხაზები სხვადასხვა ხალხებია, სხვადასხვა ენებზე საუბრობენ. დიახ, ისინი მეზობლად ცხოვრობენ, რაღაც პერიოდში ერთ სახელმწიფოშიც თანაარსებობდნენ, მაგრამ ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რომ საქართველოც იყო, სხვადასხვა პერიოდში, ხან ირანის, ხან რუსეთის თუ სხვათა შემადგენლობაში; როგორც მოგეხსენებათ, ერთობლივი სომხურ-ქართული სამეფოც არსებობდა; იცვლებოდნენ ისტორიული გარემო-პირობები, იქმნებოდნენ და იშლებოდნენ ეთნოპოლიტიკური გაერთიანებები.

აფხაზებმა სისხლი დაღვარეს, იომეს, მათ სურთ ჰქონდეთ საკუთარი სახელმწიფო.

მე მიმაჩნია, რომ მისაღებია ვარიანტი (იგულისხმება: აფხაზეთის გაყოფის შესახებ — GHNძ, რომელიც ცოტა ხნის წინათ განიხილებოდა — ვიღაცას ერთი ნაწილი ხვდება წილად, ვიღაცას — მეორე და ამით წარმოიშობა ორი სახელმწიფო, რომელიც ერთმანეთს პატივს სცემს და მეზობლობს. როგორც ჩანს, ეს სწორედ ის ვარიანტია, რომელიც, ადრე თუ გვიან განხორციელდება კიდეც.

იმაზე აღარაფერს მოგახსენებთ, რომ ჩინეთ-ტაივანისაგან განსხვავებით, აფხაზეთის მოსახლეობის 95 პროცენტი რუსეთის მოქალაქეები არიან.

**— და ბოლოს, რას ეტყოდით საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც ყოველთვის განსაკუთრებული ემოციითა და ინტერესით ეცნობიან თქვენს მოსაზრებებს?**

— სამწუხაროდ, ჩემდამი საქართველოში გარკვეულწილად არასწორი დამოკიდებულება ჩამოყალიბდა. არადა, მე ძალიან მიყვარს საქართველო, ხოლო თბილისი ერთ-ერთ საუკეთესო ქალაქად მიმაჩნია, სადაც კი ვყოფილვარ. არ მინდა „ანტიქართველად“ მთვლიდნენ. ძალიან დიდი სურვილი მაქვს თბილისში კიდევ ჩამოვიდე (თქვენს ქალაქში რევოლუციამდე მცირე ხნით ადრე ვიყავი) — ახლა ნიუ-იორკში მივემგზავრები და შეიძლება იქედან გესტუმროთ კიდეც.

**ესაუბრა**
**ნიკა ვაშაკიძე.**

სამეგრელოს მხარე

# სამოქალაქო ომის დროს დაზარალებულნი ქონებრივი ზარალის ანაზღაურებას ითხოვენ

**საქართველოში განვითარებული მოვლენების შედეგად 1992-93 წლებში მნიშვნელოვანი ზარალი მიადგა ზუგდიდის მოსახლეობას — გადაიწვა, დაინგრა და ნაწილობრივ დაზიანდა ათეულობით სახლი. მიყენებულმა ზარალმა 1130600 ლარი შეადგინა.**

თავდაპირველად, სახლდამწვარი და ქონებაგანადგურებული ოჯახების რაოდენობა 27 იყო. ესენი გახლდათ დარჩელსა და ახალკახათში 1993 წლის 16 ნოემბერს შეიარაღებული ფორმირება „მხედრიონის“ მიერ გადამწვარი ოჯახები. მას შემდეგ რაც დაიწყო ამ ოჯახებისთვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება, გაუბედურებული ოჯახების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდებოდა და ბოლო მონაცემებით 113 შეადგინა, რაც ბევრი მითქმა-მოთქმის საგანი გახდა, რადგან, გავრცელებული ვერსიით, ამ სიაში გაუთვალისწინებელი ოჯახებიც მოხვდნენ.

1997-2007 წლებში ამ ოჯახებს მთლიანად აუნაზღაურეს საცხოვრებელი სახლების ღირებულება, თუმცა ისინი ითხოვდნენ როგორც სახლების, ისე ქონების ანაზღაურებასაც, ამიტომაც აუნაზღაურებელი ქონებრივი ზარალის (500.000 ლარის ოდენობით) ანაზღაურების მოთხოვნით მათ მიმართვის წერილი გაუგზავნეს საქართველოს პრემიერ-მინისტრს ლადო გურგენიძეს. განსაკუთრებით აქტიურობენ იმ 27 ოჯახის წარმომადგენლები... 2008 წლის 2 ივნისს გაგზავნილი წერილის პასუხი დაზარალებულებმა ერთ კვირაში მიიღეს, რომელსაც ხელს აწერს მთავრობის კანცელარიის დეპარტამენტის უფროსი მანანა კარტოზია. ამ პასუხის თანახმად, წერილი რეაგირებისთვის გადაეგზავნა ფინანსთა სამინისტროსა და სახელმწიფო მინისტრს რეგიონული მართვის საკითხებში, და ახლა ეს ადამიანები „წყალობას“ ნიკა გილაურისა და დავით ტყეშელაშვილისგან მოელიან. თუ რამდენხანს გაგრძელდება ეს ლოდინი, გაურკვეველია. უფრო მეტიც, გაურკვეველია ისიც, მიიღებენ თუ დაზარალებულები განადგურებული ქონების კომპენსაციას.

**ლადო ქირია.**
**ზუგდიდი**

თემის გაგრძელება

# როგორ აწესრიგებს კანონი საოჯახო ურთიერთობებს

**კითხვა: ადრე სამოქალაქო კოდექსით განქორწინების მოწმობის აღებისას, განსაზღვრული იყო ბაჟი 50-დან 200 ლარამდე. არის თუ არა ამჟამად გათვალისწინებული ასეთი რაოდენობის თანხის გადახდის აუცილებლობა კოდექსში?**

**პასუხი:** აღნიშნული თანხა განსაზღვრული იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1131-ე მუხლით, რომელშიც ცვლილება შეიტანეს 2006 წლის 28 დეკემბერს (№2626 კანონით) და აღნიშნული დროიდან ამ მუხლში განქორწინების მოწმობის გაცემისას ბაჟის ოდენობა მითითებული აღარ არის. გადასახდელი თანხის ოდენობა სასამართლოს უნდა განესაზღვრა. განქორწინების შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება აღსრულდება მხოლოდ ერთი მეუღლის მოთხოვნით. განქორწინების გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს სამი წლისა, სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში რეგისტრაციის საშუალებით.

მეუღლეს, რომელმაც გვარი შეიცვალა დაქორწინების დროს, უფლება აქვს განქორწინების შემდეგაც ატაროს იგივე გვარი ან მისი მოთხოვნით დაიბრუნოს ქორწინებამდელი გვარი. მეუღლე, რომელსაც სურს დაიბრუნოს ქორწინებამდელი გვარი, ამის შესახებ უნდა განაცხადოს სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში ქორწინების რეგისტრაციის დროს. მეუღლისათვის ქორწინებამდელი გვარის მიკუთვნების შესახებ სააგენტოს ტერიტორიული სამსახური აკეთებს შესაბამის ჩანაწერს (28.12.2006 №2626ძ.

თუ გამოირკვევა კანონით დადგენილი წესით გარდაცვლილად გამოცხადებული ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული მეუღლე, რომელთანაც ქორწინება შეწყვეტილი იყო ამ საფუძველზე, და გაუქმდება სასამართლოს გადაწყვეტილება მისი გარდაცვლილად გამოცხადების ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ, სააგენტოს ტერიტორიულმა სამსახურმა ქორწინება შეიძლება აღადგინოს მეუღლეთა ერთობლივი განცხადებით, ხოლო თუ ისინი სასამართლო წესით იყვნენ განქორწინებულები, სასამართლო მათი განცხადებით აუქმებს გადაწყვეტილებას განქორწინების შესახებ (28.11.2006 №2626 კანონიძ.

აღსანიშნავია, რომ ქორწინება არ შეიძლება აღდგეს, თუ გარდაცვლილად გამოცხადებული ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის მეუღლე უკვე დაქორწინებულია სხვა პირზე. განქორწინებულ მეუღლეებს უფლება აქვთ, ხელახლა დაქორწინდნენ.

განქორწინების რეგისტრაცია ხდება სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში ორივე ან ერთ-ერთი მეუღლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (28.12.2006 №2626ძ.

იმ შემთხვევაში, როდესაც განქორწინება მოხდარია სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, მისი რეგისტრაცია ხდება სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში ორივე ან ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით.

ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით განქორწინების რეგისტრაციის შემთხვევაში სააგენტოს ტერიტორიული სამსახური ამის შესახებ აცნობებს მეორე მეუღლეს, თუ ცნობილია მისი და ტერიტორიული სამსახურის მისამართი, რომელმაც მოახდინა განქორწინების რეგისტრაცია (საოჯახო სამართალში ეს ცვლილებაც შეტანილია 28.12.2006 №2626 კანონითძ.

**კითხვა: ვის უნდა მიმართოს და რა საბუთები უნდა წარუდგინოს მეუღლემ, რომელსაც სურს პატიმარ მეუღლესთან განქორწინება?**

**პასუხი:** ასეთ შემთხვევაში მეუღლემ განცხადებით უნდა მიმართოს სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს და წარუდგინოს სასამართლოს განაჩენის პირი ან განაჩენის ამონაწერი იმის შესახებ, რომ მეორე მეუღლეს შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა არანაკლებ სამი წლისა.

სააგენტოს ტერიტორიული სამსახური, რომელმაც მიიღო პატიმრობაში მყოფი მეუღლის განცხადება განქორწინების თაობაზე, აუწყებს თავისუფლების აღგილას მყოფ მეუღლეს, რომ შესულია განცხადება განქორწინების შესახებ. უწყებაში უნდა განესაზღვროს პასუხის შეტყობინების ვადა იმის თაობაზე, არის თუ არა მათ შორის ქონებრივი დავა ან დავა ბავშვების შესახებ. თუ აღნიშნული ცნობა, რომ ასეთი დავა არ არსებობს ან სამი თვის განმავლობაში საერთოდ არ მოვიდა არავითარი პასუხი პატიმარი მეუღლისაგან, სააგენტოს ტერიტორიული სამსახური მოახდენს განქორწინების რეგისტრაციას.

სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის მიერ რეგისტრირებული ქორწინება შეიძლება ცნობილი იქნეს ბათილად, თუ იგი მომხდარია ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებათა დროს და მიზნად არ ისახავდა ოჯახის შექმნას ან თუ ადგილი ჰქონდა ფიქციურ ქორწინებას, მაგრამ თუ მეუღლეებმა ქორწინების რეგისტრაციის დროს არ იცოდნენ დამაბრკოლებელ გარემოებათა შესახებ, სასამართლოს შეუძლია ასეთი ქორწინება ცნოს ბათილად ამ გარემოებათა გამოვლენის მომენტიდან.

**კითხვა: ვთქვათ ფიქციური ქორწინების დროს დაიბადა ბავშვი (ბავშვები): როგორ განისაზღვრება მისი სამართლებრივი სტატუსი; უფრო ზუსტად ქორწინების გაბათილების შემთხვევაში დარჩებათ თუ არა იგივე უფლებები (მემკვიდრეობაზე, ალიმენტზე, პენსიაზე და სხვა), როგორც ეს რეგისტრირებული ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვებს აქვთ მინიჭებული?**

**პასუხი:** მოქმედი კანონის თანახმად, ქორწინების ბათილად ცნობა არ ხელყოფს ამ ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვების ინტერესებს. მათ უნარჩუნდებათ ყველა ის უფლება, რაც კანონის თანახმად რეგისტრირებულ ქორწინებაში გაჩენილ შვილებს აქვთ მინიჭებული.



მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მეუღლეთა უფლება მოვალეობებს წარმოშობს სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში რეგისტრირებული ქორწინება. საოჯახო ურთიერთობებში მეუღლეები სარგებლობენ თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებებით და ეკისრებათ თანაბარი მოვალეობანი.

მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებასძ, თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება (ფლობა, სარგებლობა, განკარგვაძ წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო მეურნეობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონდა დამოუკიდებელი შემოსავალი.

მეუღლეთა ინდივიდუალურ საკუთრებას კი მხოლოდ ის ქონება წარმოადგენს, რომელიც თითოეულ მათგანს ეკუთვნოდა დაქორწინებამდეც ან ქორწინების განმავლობაში მიღებულია მემკვიდრეობით ან ჩუქებით. ინდივიდუალური სარგებლობის ნივთები, ძვირფასეულობის გარდა, თუნდაც ქორწინების განმავლობაში იყოს შეძენილი მეუღლეთა საერთო სახსრებით, იმ მეუღლის საკუთრებად ჩაითვლება, რომელიც სარგებლობს ამ ნივთებით.

მეუღლეთა საერთო ქონება თითოეული მეუღლის მოთხოვნით შეიძლება გაიყოს როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე მისი შეწყვეტის შემდეგ. თუ საერთო ქონების გაყოფისას ერთ-ერთ მეუღლეს გადაეცემა ისეთი ნივთები, რომელთა ღირებულებაც მის კუთვნილ წილს აღემატება, მაშინ მეორე მეუღლეს მიეცემა შესაბამისი ფულადი ან სხვაგვარი კომპენსაცია. სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს მეუღლეთა წილების თანასწორობის პრინციპს და არასრულწლოვანი შვილების ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადღების ღირსი ინტერესების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ განქორწინებულ მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფის თაობაზე მოთხოვნისათვის დადგენილია ხანდაზმულების სამწლიანი ვადა.

**კითხვა: წარმოშობს თუ არა მეუღლეთა კანონიერ უფლება-მოვალეობას ჯვრისწერა, თუ ხელთ გვაქვს საეკლესიო მსახურის მიერ გაცემული ოფიციალური საბუთი შეუღლების შესახებ?**

**პასუხი:** საქართველოში დღემდე მოქმედი კანონის შესაბამისად, რელიგიური წესით ქორწინება (ჯვრისწერაძ მეუღლეთა კანონიერ უფლება-მოვალეობას არ წარმოშობს. მეუღლეთა უფლება-მოვალეობას წარმოშობს მხოლოდ სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში რეგისტრირებული ქორწინება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ პირადად ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ ჯვრისწერას და მიგვაჩნია, რომ ამ ამაღლებული რიტუალის გარეშე საქართველოში არც ერთი ქრისტიანული წყვილი არ უნდა დარჩეს, ახალგაზრდა იქნება ეს თუ ხანდაზმული. თუმცა, ვიმეორებთ, რომ ქორწინება იურიდიულად ძალაშია მხოლოდ სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში რეგისტრაციის შემდეგ.

მეუღლეთა შორის საქორწინო ურთიერთობა აუცილებლად გულისხმობს ერთმანეთისადმი მატერიალური დახმარების აღმოჩენის მოვალეობასაც. ცხადია, ნორმალური ურთიერთობის პირობებში მეუღლეები მატერიალურად ეხმარებიან ერთმანეთს არა კანონის ძალით, არამედ ზნეობრივი პრინციპების შესაბამისად, რასაც ზოგადად ემყარება ოჯახი. მაგრამ თუ საოჯახო ურთიერთობა ირღვევა და ერთ-ერთი მეუღლე უარს ამბობს ნებაყოფლობით დაეხმაროს მეორეს, რომელიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებს, მას შეიძლება სასამართლო წესით დაეკისროს სარჩოს (ალიმენტისძ გადახდა მეორე მეუღლის სასარგებლოდ. აღნიშნულის მიღების უფლება აქვთ: შრომისუუნარო მეუღლეს (ქალი იქნება თუ მამაკაციძ, რომელიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებს; ცოლს – ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში.

შრომისუუნარო მეუღლე, რომელიც დახმარებას საჭიროებს შრომის უნარიანი მეუღლისაგან, სარჩოს მიღების უფლებას ინარჩუნებს განქორწინების შემდეგაც, თუ იგი შრომისუუნარო გახდა განქორწინებამდე ან განქორწინების დღიდან ერთი წლის განმავლობაში.

**კითხვა: გვაინტერესებს, შეიძლება თუ არა გათავისუფლდეს მეუღლე შრომისუუნარო მეუღლის რჩენის მოვალეობისაგან და რა შემთხვევაში?**

**პასუხი:** სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს მეუღლე რჩენის მოვალეობისაგან, თუ ეს მოვალეობა, თუ მეუღლეები ქორწინებაში იმყოფებოდნენ ხანმოკლე დროით, ანდა მატერიალური დახმარების მოთხოვნი მეუღლე უღირსად იქცეოდა სარჩოს გადამხდელის მიმართ, აგრეთვე თუ მატერიალური დახმარების მომთხოვნი მეუღლის შრომის უუნარობა გამოწვეულია ალკოჰოლური სასმელების ან ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენებით ან მის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენით. მეუღლისაგან სარჩოს მიღების უფლება მოისპობა აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მისი მიმღები მეუღლე ხელახლა დაქორწინდება.

მეუღლეთა ურთიერთრჩენის და ქონებრივი უფლებამოვალეობები წარმოიშობა მათი ქორწინების დადგენილი წესით რეგისტრაციის მომენტიდან და იგი ქორწინების არსებობის მთელ მანძილზე გრძელდება. რაც შეეხება ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობას (როცა ქალი და მამაკაცი ერთად ცხოვრობენ, მაგრამ ქორწინება არ აქვთ დარეგისტრირებულიძ, კანონის თანახმად იგი არც ერთ შემთხვევაში არ წარმოშობს ურთიერთრჩენის მოვალეობას.

შვილის წარმოშობა დაქორწინებული მშობლებისაგან დასტურდება ჩანაწერით მშობელთა ქორწინების შესახებ. მამის გარდაცვალების შემთხვევაში ბავშვი დაქორწინებული მშობლებისაგან წარმოშობილად ჩაითვლება, თუ იგი დაიბადა მამის გარდაცვალებიდან არა უგვიანეს ათი თვისა. შვილის წარმოშობა ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისგან დგინდება სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში მშობლების მიერ ერთობლივი განცხადების შეტანით (28.12.2006 №2626ძ. მშობელთა ერთობლივი განცხადების არსებობის შემთხვევაში მამობა შეიძლება დადგინდეს სასამართლო წესით ერთ-ერთი მშობლის, ბავშვის მეურვის (მზრუნველისძ ან იმ პირის განცხადებით, რომლის კმაყოფაზეც იმყოფება ბავშვი, აგრეთვე თვით ბავშვის განცხადებით მის მიერ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ. მამობის დადგენისას სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე, ან ბავშვის ერთად აღზრდას ან რჩენას, ანდა დამამტკიცებელ საბუთს, რომელიც სავსებით ადასტურებს მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას.

**კითხვა: რა უფლებები აქვთ ბავშვს, რომლისთვისაც მამობის დადგენა მოხდა სასამართლო წესით? უფრო კონკრეტულად, განსხვავდება თუ არა მისი უფლებები და მოვალეობები რეგისტრირებული ქორწინების შედეგად დაბადებული შვილებისაგან?**

**პასუხი:** კანონით გათვალისწინებული წესით მამობის დადგენისას მშობლებისა და მათი ნათესავების მიმართ ბავშვებს აქვთ ზუსტად ისეთივე უფლებები და მოვალეობები, როგორც დაქორწინებულ პირთაგან დაბადებულ ბავშვებს.

თუ ნაპოვია ბავშვი, რომლის ვინაობა, მშობლების ვინაობა და მათი ადგილსამყოფელი უცნობია, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ვალდებულია განახორციელოს ყველა ქმედება ბავშვისა და მისი მშობლების ვინაობის დასადგენად. თუ ბავშვის და მისი მშობლების ვინაობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დადგინდა, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ვალდებულია მიიღოს ზომები ბავშვის მოსავლელად და მიმართოს სასამართლოს ბავშვის მიტოვებულად აღიარებისთვის, რომელიც გადაწყვეტილებით ხდება ბავშვის მიტოვებულად აღიარება (ცვლილება შეტანილია 18.12.2007 №5624 კანონით, რომელიც ამოქმედდა 2008 წლის 1 მაისიდანძ. ამავე ცვლილების გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2008 წლის 1 მაისიდან მოხდა მიტოვებულად აღიარებული ბავშვებისათვის სახელისა და გვარის მიცემა.

მშობლებს შორის ქორწინების შეწყვეტა არ იწვევს შვილის გვარის შეცვლას, მაგრამ აქვე მნიშვნელოვანია ერთი გარემოება, რომ მშობლებს, რომლებთანაც არასრულწლოვანი შვილი საცხოვრებლად დარჩა ქორწინების შეწყვეტის ან ბათილად ცნობის შემდეგ, უფლება აქვთ, შვილის ინტერესების შესაბამისად, მიმართონ სასამართლოს შვილისათვის თავიანთი გვარის მიკუთვნების შესახებ. თუ ბავშვი 10 წელზე მეტი ასაკისაა, გვარის შეცვლისათვის საჭიროა მისი თანხმობაც.

**კითხვა: როგორ უნდა გაკეთდეს ჩანაწერი დაბადების ჩაწერის წიგნში, როცა ბავშვის მშობლები დაქორწინებული არ არიან?**

**პასუხი:** თუ მშობლები დაქორწინებული არ არიან ერთმანეთთან, ჩანაწერი ბავშვის დედის შესახებ კეთდება დედის განცხადებით, ხოლო ჩანაწერი მამის შესახებ – ბავშვის მშობლების ერთობლივი განცხადებით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით. იმ შემთხვევაში, თუ დედა გარდაიცვალა, ცნობილია ქმედუუნაროდ, ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება ან შეუძლებელია მისი საცხოვრებელი ადგილის დადგენა, ბავშვის მამის ჩაწერა ხდება მამის განცხადების საფუძველზე.

შვილების მიმართ მშობლებს თანაბარი უფლებები და მოვალეობები აქვთ. ბავშვს უფლება აქვს ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. არასრულწლოვანი შვილების უფლებების დაცვა ეკისრება მათ მშობლებს. მშობლები თავიანთი არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები არიან და განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე გამოდიან მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის – სასამართლოშიც.

მშობლები უფლებამოსილნი და ვალდებულნი არიან, იზრუნონ შვილების ფიზიკური, გონებრივი და სულიერი განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით. მშობელს აქვს ბავშვის რჩენის ვალდებულება და იმის განსაზღვრის უფლება, თუ ვისთან და სად იცხოვროს შვილმა. მშობლები არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები არიან და განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე გამოდიან მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის სასამართლოში (12.12.2007 №5624 ამოქმედდა 2008 წლის 1 მაისიდანძ.

**კითხვა: გთხოვთ, განგვიმარტოთ, როგორია განქორწინებულ მშობელთა უფლება-მოვალეობანი შვილების მიმართ?**

**პასუხი:** შვილების მიმართ მშობლებს აქვთ თანაბარი უფლებები და ეკისრებათ თანაბარი მოვალეობები იმ შემთხვევაშიც, როცა ისინი განქორწინებულნი არიან.

მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს (18.12.2007 №№5624 კანონი. ამოქმედდა 2008 წლის 1 მაისიდანძ.

ბებიასა და პაპას უფლება აქვთ ურთიერთობა იქონიონ არასრულწლოვან შვილიშვილებთან მაშინაც, როცა ისინი უშუალოდ არ მონაწილეობენ შვილიშვილის აღზრდაში. თუ მშობლები (ან რომელიმე მშობელიძ ამის წინააღმდეგი არიან, საქმე დაექვემდებარება სასამართლო წესით განხილვას, რომელსაც შეუძლია დაავალდებულოს მშობლები ან მეურვე (მზრუნველიძ საშუალება მისცენ პაპასა და ბებიას ურთიერთობა იქონიონ შვილიშვილებთან სასამართლოს მიერ დადგენილი წესით, თუ სასამართლო დაადგენს, რომ ეს ხელს არ შეუშლის ბავშვების ნორმალურ აღზრდას და ცუდ გავლენას არ მოახდენს მათზე (18.12.2007 №5624, ამოქმედდა 2008 წლის 1 მაისიდანძ.

ცალკე საუბრის თემაა მშობლის უფლების ჩამორთმევა და მასთან დაკავშირებული პრობლემები. მასზე ჩვენს გაზეთში კვლავაც ვისაუბრებთ. ასევე, განვიხილავთ მეუღლეთა სახელშეკრულებო ქონებრივ ურთიერთობებს (საქორწინო კონტრაქტსძ; მშობლებსა და შვილებს შორის სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობის საფუძვლებს; მშობლებისა და შვილების პირად ურთიერთობებსა და მოვალეობებს; მშობლების მიერ შვილების რჩენის მოვალეობას; ალიმენტის გადახდისა და გადახდევინების წესს; შვილად აყვანის, ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის საკითხებს და სხვ.

ირინე ღლონტი.

დასასრული. დასაწყისი
იხ. „სრ" № 130.

## ჩვენი ბიბლიოთეკა: ახალი თარგმანი

— ეს ვითომ იმას ნიშნავს, რომ სამყაროში არის მასაზრდოებელი რამ სითხე, წყალი, რომელიც შეიძლება რომ სიცოცხლედ იქცეს? საიდან გაჩნდა წყალი დედამიწაზე? ციდან ჩამოვარდა?

— წყლის წარმოშობა გამოცანაა. ევსეები თავიანთი რწმენისა გამო ჰგონებენ, სიცოცხლის წყალი ჩვენს სისხლში ანგელოზთ შემოაქვთო.

— რისთვის არსებობს წყალი? რატომ ეხმიანება კარგსა და ცუდ სიტყვებს? რატომ იცის მუსიკის მოსმენა და, როგორც ერთი წიგნი ამბობს, თვლაც კი?

— საყოველთაოდ მიღებული აზრით, წყალი წვიმის სახით სამყაროდან მოგვევლინა. ის ციური წვიმა ამჟამადაც ყოველდღიურად ჩამოდის დედამიწაზე, მაგრამ ისე მცირედ, რომ ჩვეულებრივი ნალექიანობის ფონზე თითქმის შეუმჩნეველია. ამასიმასობაში, ეს ციური წვიმა დედამიწაზე ჩამოდის უკვე ოთხას მილიარდ წელიწადზე მეტია, ასე რომ ამდენი დრო სრულიად საკმარისი გამოდგა ოკეანეების, ზღვებისა და მდინარეების შესავსებად.

— უკეთუ სამყაროში წყალია, უნდა ვიფიქროთ, რომ იქ სიცოცხლეც მოიპოვება. იქ ეგების ჩემი სიცოცხლეც არის რომელიღაც სხვა სხეულში, რომელიღაც სხვა 'აწმყო"-ში, როგორც შენ ამბობ. ეგების მართალიც გამოვდგე, თუ ვიფიქრებ, რომ სადღაც სამყაროში არსებობს მასაზრდოებელი სითხის წვეთი და რომელიღაც ჩემი სხვა „ახლა" სადაც მე, როგორც სკაფანდრიანი უცხოთესლი და გადამთიელი, ჩემს ციურ სხეულში ვარ დავანებული...

### 2. სატანა ვაშლის წვენსა სვამს

**სატკივრის** ახალი შეტევის შემდეგ ათიოდ დღეში დამესიზმრა, რომ ძველებურ ხის საწოლში მეძინა, რომელ საწოლსაც ოთხივ კუთხივ ოთხი სვეტი ედგა. თითოეული სვეტის თავი ბურთივით იყო გამოყვანილი. საწოლზე, პირდაპირ შუა სიზმარში, ხელვიოლინოიანი ეშმაკი ჩამოჯდა. ეშმაკს სამი ცხვირი ჰქონდა და გულშემზარავად გამოიყურებოდა. ასე, შვიდი-რვა წლისა იქნებოდა, გოგონა იყო. სანამ ვიოლინოს დაუკრავდა, შეკითხვა მოვასწარი:

— რა გქვია, გოგოცუნა-თოჯინავ?

— ხო მხედავ, ბაფომეტი ვალ.

და ბაფომეტმა ერთ-ერთი თავისი ცხვირით შეისრუტუნა.

— აქ საიდან გაჩნდი?

— აქედან ლო ქვა ჩააგდო ოლმოში, სამი დღის მელე ჩავალდება. ჰოდა, იფიქლე, მამიკუნა, საიდან ვიქნები მოსული.

— რა ხანია, რაც სატანუკებმა სქესის ცვლა დაიწყეთ და გოგონები ხდებით?

— ლაც თქვენი განვითალებისდა შესაბამისად სვლა გადავწყვიტეთ. მდედლულნი სქესისანი იმის მელე გავხდით, ქალებმა დედამიწაზე თქვენ გველდით უფლებები ლო მოიპოვეს. თქვენი ქალები ახლა სულ უფლო ძლიელები და გავლენიანები ხდებიან. ასე ლომ ჩვენც ვეგუებით მდგომალეობას, ამ მიმალთულებით ხელს არ ვაკლებთ განვითალებას. ლათა ალცლოდის a la page*, ყოველ ღონესა ვხმალობთ, მამიკუნა! ალც მე ვიქნები სულ მუდამ ასეთი პატარა! ქალთა მდგომალეობის მომაგლებისდა კვალობაზე მეც მოვმაგლდები. ოღონდ გეყოფა ამდენი შეკითხვა, მოეშვი, მით უმეტეს, ლო ალც იცი, რა უნდა შემეკითხო. ყველაფელს სულ ალასწოლად მეკითხები. ახლა მომისმინე, ლა უნდა გითხლა...

და დაიწყო ვიოლინოს დაკვრა. სიზმარში ისიც შევიცანი, სახელდობრ რასაც უკრავდა. ვუსმენდი ხმათა ჰაეროვნებას და ვგრძნობდი, რომ ეშმაკი ღიმილს ცრემლებში მალავდა, მაჟორს მინორში ძირავდა, თბილს ცივში, დროს მარადისობაში. ნაწარმოების დაკვრა რომ დაასრულა, სამცხვირა გოგონამ საკრავი დაუშვა და მკითხა:

— მიხვდი, ლასაც გეუბნებოდი?

— დიახ, მივხვდი. გულმავიწყი გამხდარხარ. მეორდები! ეგ ერთხელ უკვე თქვი, ორასი წლის წინათ, როცა ჯერეთ კიდევ მამრი იყავი. და მაგას ერთ იტალიელს ეუბნებოდი, სახელად ტარტინის. იმანაც შენგან თქმული ზუსტად დაიხსომა, პირველიდან ბოლო სიტყვამდე. და როგორც კი გამოიღვიძა, ვიოლინოთი გაიმეორა ეგ ყველაფერი.

— განმეოლებით კი გაიმეოლა, ოღონდ ველცლა გაიგო ლა! მუსიკის დეკოდილება სიტყვით შეიძლება, მამიკუნა, აი ლის თქმა მინდოდა! ბგელებს ციფლებად აქცევ, ციფლებს კი ასოებად, და მაშინ ხვდები, ლასაც ვამბობ. თქვენ კი, ადამიანებს, ელთი და იგივე ათასჯელ უნდა გაგიმეოლოთ კაცმა, ლათა ელთხელ მაინც გაიგონოთ, ახლა უნდა გიამბო, თუ ლოგოლ გამოიყულებოდა ნამდვილი დიდი აფეთქება, ლოგოლ შეიქმნა სამყალო.

— ეგ სულაც არ მენაღვლება. ვინ მოთვლის, რამდენი ვინმე გაჩენილა და მომკვდარა, ვინც არცრა იცოდა იმის თაობაზე, თუ როგორ გამოიყურებოდა ნამდვილი დიდი აფეთქება? მეც როგორმე იოლად გავალ, ეგ თუ არ მეცოდინა.




— კი, მამიკუნა, მაგლამ ისე სად წავა შენი სხვა სხეული, თუკი სამყალო და საუკუნენი ალ გაიალა? ეგ ლამ გათქმევინა, სულაც ალ მანაღვლებს, ლოგოლ გაჩნდა კოსმოსი და ლოგოლ გამოიყულებაო?

მახსოვს, რარიგ განვცვიფრდი სიზმარში და რაღაც ვუთხარი, რაც ახლა აღარ მახსოვს, რაღაც სიტყვებით კიდევ ერთხელ დავუდასტურე, დიახ, სულაც არ მანაღვლებს-მეთქი, რაზეც გოგონამ მომიჭრა:

— ლოგოლც შენ გიყვალს თქმა, მეც ნამდვილად ველ ვხედავ მომავალს, ბლმა ვალ ხვალინდელი დღის მიმალთ, მაგლამ სამაგიელოდ ჩემი მიმოგონება ღლმაა ვითალცა სამყალო, და ცხადად მახსოვს, ლოგოლ გაჩნდა ჩვენი გალემომცველი ქვეყნიელება... ასე ლომ იმის მოყოლაც შემიძლია, ლოგოლ მოხდა დიდი აფეთქება. თუმცალა, ეს შენც კალგად იცი. აბა, გაიხსენე!

— რა გავიხსენო, დიდი აფეთქება?

— თუ გინდა, დაგიხატავ, თუკი უფლო ადვილად გაიგებ.

და გოგონამ ჯიბიდან კოლოფონის ნაჭერი ამოიღო, რომელსაც ხემზე წასასმელად იყენებენ, და იატაკზე ორი ერთმანეთის გადამკვეთი ხაზი გაავლო.




— აი ეს, აქ მალადისობაა, ეს კი დლოა.

მერმე კოლოფონი ისე ააგდო, ტაფელას რომ ააგდებენ ხოლმე რიკტაფელაობაში, და ფეხის მოძრაობით ზუსტად ორი ხაზის გადაკვეთის წერტილში დააგდო. და იქ გასრისა, გაჭეჭყა თავისი პატარა ჩლიქით, რომელზედაც რამდენიმე ზანზალაკი ეკიდა.

— გაიგონე? ეგ იყო დიდი აფეთქება! აგლე წარმოიშვა სამყალო: დლომ შუაზე გააპო მალადისობა. ერთი მალადისობიდან ოლი გაჩნდა — წალსული და მომავალი.

უცებ გოგონამ თავი დაანება ენის ჩლექას და ჩლიგი, ანუ ლას-ზე მოლაპარაკე, სწორად, უშეცდომოდ ალაპარაკდა:

— აწ კი შევაჯამოთ: ოდეს პირველად გადაიკვეთნენ მარადისობა და დრო-ჟამი, დიდი აფეთქება მოხდა და შედეგად შეისაქმა სამყარო. დიდი აფეთქების ნახმევმა შვა აურაცხელი მცირე აფეთქება, მარადისობისა და დრო-ჟამის აურაცხელი ახალი კვეთი, სადაც გაჩნდა სიცოცხლე. სწორედ ეს არის ყველა ჩვენი „აწმყო"... მაგრამ მოდი ჯერხნობით თავი დავანებოთ დიდ თემებს და შენს პირად პატარა თემას მივუბრუნდეთ. შენ, მამიკუნა, ამტკიცებ, რომ სიკვდილის შემდგომ სხვა სხეული გექნება. ეგ ეგრე არ არის! სხვა სხეული რომ არსებულიყო, მეც მექნებოდა! შეცოდების მერე ჩვენ ნადირთა ტყავით შევიმოსენით, და ამით ყოველივე დამთავრდა. რაიც მანამდე იყო, — იყო და აღარასოდეს არ განმეორდება.

— იაკობ ბიომეს რაღას ეუბნები?

— იჰ! როგორც ის ამბობს, შეცოდებამდე მინის სხეული გვქონია. რა არი ყველაფერი გამოგვჩენოდა, სულ უმცირესი ჩანაფიქრიც კი, მაშ, აბა, მერე ნადირთა ტყავით რაღატომ შევიმოსენით? ამაზე შენი ბიომე კრინტსაც არა ძრავს. არადა იმიტომ შევიმოსენით, ჩემო ბატონო, რომ ჩვენ შიგან დაკვირვებისა და კონტროლისთვის ყველაფერი ხელმისაწვდომი და თვალმისაწვდომი არ ყოფილიყო!.. იმიტომ რომ ჩვენ შიგნით, მამიკუნა, ავხორცობისა და ლირწების მეტი სხვა არცრა არის რა. თუმცალა შენ სულაც არ გენაღვლება და არ გაგულისყურებს ის სამოთხისეული მინის სხეული. შენ სხვა სხეული განაღვლებს და გაგულისყურებს, სიკვდილის შემდგომ რომ ჩნდება. ნუთუ მართლა გჯერა ეგ სისულელე, რომელსაც შენს თავსაც ასულელებინებ და სხვათაც თავს ახვევ? დაივიწყე! რომც არსებულიყო, არცარასოდეს არ ინდომებდი იმის ქონას!



— რას გულისხმობ?

— არც არაფერს არ ვგულისხმობ. მე კი არა, შენ აღწერე სხვა სხეული, თანაც მშვენივრად აღწერე! აბა, გაიხსენე!

— სად აღვწერე?

— გაიხსენე! გაიხსენე! შენ არ უამბობდი შენს ცოლს ვენეციურ კარნავალზე? აბა, გაიხსენე! იქ ერთი შენი საყვარელი მწერალი ვამპირს გადაეყარა. ის სხვა კაცობრიულ-ადამიანური სხეული ცეროდენა, ხნიერი, ბინძური და ცრუ იყო, ბღაოდა და პეპლებსა ყლაპავდა. მღამიობი ერქვა! შენ თავად ამბობდი. შენ რა, ისეთი სხვა სხეულის ქონა გინდა?.. უარესი მაგალითებიც არის. თუნდაც ეგვიპტური მუმიები გაიხსენე! იმათ იმის გულისთვის ინახავდნენ, რათა იმათი შემწეობით ეგვიპტელ ფარაონთა სხვა სხეულის ძალა შეევსოთ! კაიროს მუზეუმი ნახე! იქ გამოფენილია სუყველა შემორჩენილი ფარაონი, უფრო სწორად, იმათი გვამები. თავად ვნახე, რა ძალასაც შეიძლება რომ ელოდო იმ სხეულთაგან! შენ რა, სიკვდილის მერე ასეთ რასმე ნატრულობ? რათა ის სხეული შენს სხვა სხეულს წაეშველოს?.. არამც და არამც, არა მგონია! ასე რომ შენი განტოლება უვარგისია. წაშალე! სხვა შეადგინე! გაიხსენე!

— ჩემო ოქრო, ნუ მაშინებ მაგ შენი ბოსტნის საფრთხობელათი! ტყუილად ცდილობ! სუყველამ კარგად იცის, რომ მომავლის მიმართ ბრმა ხარ, მომავალს ვერა ხედავ, რადგან იქ არ არის შენი აბლაბუდა, იქ დრო არ არის. მუმია ნამდვილად ინდივიდუუმის ანარეკლია, კონკრეტული ორგანიზმის სუყველა არსებითსა თუ ძირითად კომპონენტს ინახავს, ინახავს იმის *დნმ*-ს — ძვლებს, თმას, ფრჩხილებს და შემურვილ კანს. ამ ბიოლოგიური ფორმულის საფუძველზე შეიძლება არსის აღდგენა, ანუ ამ ნიმუშთა მიხედვით ახალი სხეულის შექმნა. შესაძლებელია, ახალ სხეულს ჰქონდეს ის ყოველივე, რაცა აქვს ამას, ძველ სხეულს, ესე იგი ფიზიკურის გვერდით ეთეროვანი, ასტრალური და მენტალური სხეულებიც, მაგრამ ჩვენთვის ეს უცნობია. თუმცა ეს არც მნიშვნელოვანია... ვამპირიც მუმიის ნაირსახეობაა, ეგ არის მხოლოდ ძვლები არა აქვს, მაგრამ აქვს კბილები, კანი, თმა და ფრჩხილები...

ნორჩ ეშმაკუნას ჩემი მონათხრობი აშკარად არ მოეწონა. თავისი სამი ცხვირიდან ერთ-ერთით დაისრუტუნა, თითქოს ტირილს აპირებსო, ისე, სიტყვა შუაზე გამაწყვეტინა და მკითხა:

— რამე წვენი ხომ არ მოგეპოვება, რომ დავლიო?

— მაინც რის წვენს ისურვებდი?

— ვაშლისა თუა, კარგი იქნება.

სასმელების მაგიდასთან მივედი, ჭიქა ავიღე და ცოტა ვაშლის წვენი დავუსხი ეშმაკუნას.

— მადლობა, — თქვა „გოგონამ" და როგორც კი მოსვა, უცებ გაორდა. ერთი ხელვიოლინოიანი ისევ საწოლზე იყო ჩამომჯდარი, ხოლო მეორე „ბიდერმაიერის" სტილით ჩემს სავარძელში გადათხლეშილი წვენსა სრუტავდა.

აქ ეგრევე წამომაგონდა, რომ ეს სავარძელი უკვე აღარ იყო, რადგან კარგა ხნის წინათ ჩემი გააფთრებული მწევრების მსხვერპლი გახდა, სულ მიგლიჯ-მოგლიჯეს და ნაფლეთებად აქციეს. და კიდევ ზოგი რამეც მეუცნაურა. ვერც თავდაპირველსა და ვერც მერმე გაჩენილ ეშმაკს ვერ შეეგნოთ, რომ ორნი გახდნენ. როს სავარძელში მჯდომარე ხელს მიწვდიდა, წვენი დამიმატეო, ხელს მიწვდიდა ისიც, საწოლზე რომ იჯდა, თუმცა ხელში ჭიქა არ ეჭირა, და მაინც ვუსხამდი, მაგრამ საწოლზე წვენი არ იღვრებოდა. ვერ გამეგო, დამცინოდნენ, თუ გაორების ოინისა გამო თავადვე იყვნენ უხერხულ მდგომარეობაში.

როს საწოლზე ჩამომჯდარმა მეორედაც დალია წვენი რაღაცით, რის დანახვაც არ შემეძლო, თვალი გამიშტერა და მკითხა:

— ნუთუ ველარა მცნობ? აბა, გამიხსენე!

და უცაბედად დავინახე, რომ ახლა ჩემს საწოლზე იმავევიოლინოიანი ძალიან ლამაზი ქალი იჯდა, უცხოდ ხატკეთილი. ტანთ ღრმად გულამოჭრილი როკოკოს სტილის კაბა ეცვა. ხელზე, რომლითაც ხემი ეჭირა, მწვანე ბეჭედი ეკეთა.

— გამიხსენე! მე ზაბეტა ვარ. ის ვენეციელი მევიოლინე. კონსერვატორია დელი ინკურაბილი! განუკურნავად სენცემული ჩემს სხვა სხეულში ვეძებდი და ვპოვე ჯანმრთელობა, როგორც რომ ბეჭედი მპირდებოდა, ოდეს გამწვანდა. ასე რომ ბეჭდის ცოცხალი ქვა არა ტყუოდა! ის ჩემი სხვა, ჯანმრთელი სხეული, უსასრულო სამყაროში გაუდგა გზას, რამეთუ უსასრულობა შეესაბამება ჯანმრთელობას. სამწუხაროდ, ჩემი სამყარო ცრუ გამოდგა. ეს იმ ამბავსა ჰგავს, ცხვირი რომ მოგატყუებს, და დაცემინების მაგივრად ჰაერს ჩაისუნთქავ. იმ სამყარომ დიდი აფეთქება დადგენილ დროში გადაიტანა, მერე კი, უკიდურესად რომ გაფართოვდა, შეკუმშვა დაიწყო. საქმე ის არის, რომ უსასრულო სამყარო სუნთქავს. მაგრამ სამყაროს ამ ეგზემპლარს ერთი ნაკლულოვანება აქვს: მარადისობა საერთოდ არ გააჩნია... ის უსასრულო სივრცეში შეისაქმა, რომელ სივრცეშიც სულ უფრო სწრაფად და სწრაფად ფართოვდებოდა, ოღონდ უკანასკნელ დრო-ჟამში, ესე იგი მარადისობის უქონელ დრო-ჟამში. ასე რომ არ გამომივიდა უსასრულობაში სასმელი წყლის წვეთის მარადიული დევნა და, ამგვარად, ვერ შევძელი „ღვთის ტარიგის საზრდოს", ანუ ღვთისმშობლის ცრემლთა მოპოვება. წყლის წვეთები მიმოფანტულია უსასრულო სამყაროში, და იმისათვის, რათა შესვა, საუკუნეებია საჭირო. აგრე დავიწყე წყურვილისგან ტანჯვა, ესე იგი, როგორც მეთვრამეტე საუკუნის ლეგენდა ამბობს, საბოლოოდ „შავი თავადების" ხელთ აღმოვჩნდი... იმათ ხელში ჩავარდნილი კი სამუდამოდ მკვდარია.

აქ ანაზდად ახლა მეორე ეშმაკი დამელაპარაკა, სავარძელში გადათხლეშილი:

— ნუთუ ვერც მე მცნობ? მეც გამიხსენე, თუ კაცი ხარ!

ეს მეორე ეშმაკი, თურმე მონაზონი იყო, რომელსაც პირდაპირ ჯვალოს ანაფორის ჩაჭრილ სახელოში დანადასვებული ხელის კუნთი მოუჩანდა. თითზე კი ბეჭედი დავუნახე.

გადმოაენა
**გურამ გოგიაშვილმა**

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

---

* არ ჩამოვრჩეთ ცხოვრებას (ფრ.).

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ" № 100-130.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ რუსეთი მშვიდობიან თანაარსებობას საფრთხეს უქმნის



**დაძაბულობა იზრდება აპრილიდან – მას შემდეგ, რაც საქართველომ ბრალი დასდო კრემლს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ანექსიის საიდუმლო გეგმებში.**

საქართველოს პრეზიდენტმა „ტაიმსისათვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ დასავლეთმა უნდა მოუწოდოს რუსეთს, რათა მან პასუხი აგოს კავკასიაში კიდევ ერთი კონფლიქტის წამოჭრასთან დაკავშირებით.

მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ზოგიერთები რუსეთში მიზნად ისახავენ, საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში – მოაწყონ დაძაბვის პროვოცირება, აგრეთვე ევროპის რეაქცია შეადარა 1930-იანი წლების მხარდაჭერის წარუმატებელ პოლიტიკას.

საქართველო იმუქრება, რომ ჩამოაგდებს რუსეთის სამხედრო თვითმფრინავებს მას შემდეგ, რაც მოსკოვმა აღიარა, რომ გასულ კვირას სამხრეთ ოსეთის თავზე დაფრინავდა 4 თვითმფრინავი. ამ რეგიონს კონტროლს უწევენ სეპარატისტები, მაგრამ საერთაშორისო გაერთიანება მას საქართველოს ნაწილად მიიჩნევს. „სიტუაცია ფეთქებადსაშიშია, და რუსეთის მხარე იქცევა აღმაშფოთებლად. სამწუხაროდ, ევროპელები და სხვა მოთამაშეები არ გამოდიან მის წინააღმდეგ“, – განაცხადა სააკაშვილმა.

„თუ თქვენ შეგიძლიათ განაცხადოთ პრეტენზია, რომ გაქვთ კანონიერი უფლება იფრინოთ მეზობელი ქვეყნის თავზე მისი დაბომბვის მიზნით მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ გაქვთ საკუთარი ინტერესები, მაშინ ეს ჯვარს უსვამს საერთაშორისო სამართალს“.

რუსეთმა განაცხადა, რომ მისმა ავიაციამ წინააღმდეგობა გაუწია საქართველოს შეჭრას სამხრეთ ოსეთში. თბილისი ამ მტკიცებულებებს არ აღიარებს. ინციდენტი გამომჟღავნდა საქართველოში კონდოლიზა რაისის ვიზიტის დროს, როდესაც სახელმწიფო დეპარტამენტის რომელიღაც მაღალი თანამდებობის თანამშრომელმა განაცხადა: თუ რუსეთი არ შეწყვეტს ზემოქმედებას თავის ყოფილ სატელიტზე სსრ კავშირის ფარგლებში, მოხდება კატასტროფა.

სააკაშვილმა ინტერვიუ მისცა იალტის ვივადიის სასახლეში, სადაც ომისდროინდელი მოკავშირეები უინსტონ ჩერჩილი, იოსებ სტალინი და ფრანკლინ დ. რუზველტი შეხვდნენ ერთმანეთს 1945 წელს გერმანიის განადგურების შემდეგ ევროპის დაყოფის საკითხზე. „არ ვიცი, რას თამაშობს ამჟამად რუსეთი, მაგრამ ეს გამოიყურება უსიამოვნოდ. არ ვფიქრობ, რომ მათ არ ეყოთ ჭკუა ომის დაწყებისათვის, მაგრამ იქმნება იმის შთაბეჭდილება, რომ ზოგიერთი ადამიანი ამ ქვეყანაში მხოლოდ იმას ცდილობს, რომ წამოჭრას უსიამოვნებანი,“ – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

„დასავლეთმა რეაგირება უნდა მოახდინოს ამაზე. უკვე რამდენიმე ხანია მესმის, რომ საჭიროა ორივე მხარემ გამოიჩინოს თავშეკავებულობა. მე ეს არ მიმაჩნია სწორად. თითქოს მეორდება გასული საუკუნის ისტორიის მაგალითები“.

შეკითხვაზე, მიიჩნევს თუ არა იგი, რომ იფეთქებს ღია კონფლიქტი, სააკაშვილმა უპასუხა: „მთელი საქმე ისაა, რომ ყოველდღე, როგორც კი ვიღვიძებთ, ვხვდებით რაღაც სიურპრიზებს და ზოგჯერ იმასაც კი ვფიქრობთ, რომ უარესი შეუძლებელია, მაგრამ სიტუაცია მაინც კიდევ უფრო უარესდება“.

საქართველომ მოსკოვიდან გამოიწვია თავისი ელჩი კრიზისთან დაკავშირებით, რომელიც დაემთხვა რუსეთსა და დასავლეთს შორის მზარდ წინააღმდეგობებს იაპონიაში დიდი რვიანის სამიტის შემდეგ. მედვედევმა გამოიწვია დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების გაღიზიანება, როდესაც შექმნა იმის წარმოსახვითობა, რომ მხარს უჭერს ზიმბაბვეს წინააღმდეგ სანქციებს, თუმცა შემდეგ გაეროში რუსეთმა მას ვეტო დაადო.

ლონდონთან ურთიერთობა კვლავ ცუდია.

საქართველოს მიაჩნია, რომ კრიზისი მოწმობს იმას, რომ მოსკოვი გადაჭრით ცდილობს, შეუშალოს ხელი საქართველოს ნატოში შესვლას, რისთვისაც მოახდინა სეპარატისტების სამხედრო აგრესიის განახლების პროვოცირება. სამხედრო ალიანსი დეკემბერში განიხილავს საქართველოსა და უკრაინის განაცხადს. უკრაინამ გამოთქვა შეშფოთება ყირიმში სეპარატიზმის გაჩაღების მცდელობის გამო. რუსეთის შავი ზღვის ფლოტმა უნდა დატოვოს თავისი ბაზა სევასტოპოლში 2017 წლისათვის, მაგრამ მოსკოვის მძლეთამძლე მერმა იური ლუჟკოვმა ამას წინათ განაცხადა, რომ რუსეთს აქვს კანონიერი უფლება გამოითხოვოს ეს პორტი თავისათვის.

დიდი ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა „იალტის ევროპული სტრატეგიის“ კონფერენციაზე ლივადიის სასახლეში განაცხადა, რომ დაძაბულობა რუსეთთან უკრაინის ნატოს წევრობასთან დაკავშირებით შეიძლება მოწესრიგდეს. „რუსეთი უკრაინის წევრობას განიხილავს, როგორც რუსეთის ინტერესებისადმი საფრთხეს. დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ჩვენ მომავალში გავაგრძელოთ იმის განმარტება, რომ ეს ასე არ არის,“ – განაცხადა მან.

„იალტის ევროპული სტრატეგია“, რომელიც დააარსა მილიარდერმა ვიქტორ პინჩუკმა, ილტვის უკრაინის ევროკავშირში შესვლისათვის 2020 წლისთვის.

**ტონი ჰელპინი**

THE TIMES

# აფხაზეთს საკავშირო სახელმწიფოში შესვლა სურს

**საქართველოში სამდღიანი ვიზიტით ჩამოვიდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს რწმუნებული კავკასიის საკითხებში ჰანს-დიტერ ლუკასი. მოლაპარაკების თემაა –აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტების მოწესრიგება. ამ დროს სოხუმი და ცხინვალი განიხილავენ რუსეთისა და ბელორუსიის საკავშირო სახელმწიფოში შესვლის შესაძლებლობას.**

რუსეთისა და ბელორუსიის საკავშირო სახელმწიფოს სახელმწიფო მდივნის პრეს-სამსახურის მეთაური ივან მაკუშოკი აცხადებს, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შემოერთება ქიმერა როდია. „ამ ცოტა ხნის წინათ აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა სერგეი შამბამ გამომცემლობა „საკავშირო სახელმწიფოს“ განუცხადა, რომ სოხუმში ინტერესით ადევნებენ თვალყურს საკავშირო სახელმწიფოს და განიხილავენ მასთან შეერთების შესაძლებლობას, განაცხადა მაკუშოკმა.



მისი სიტყვებით, თუ საქართველო აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტს და ეს რესპუბლიკები შეიტანენ შესაბამის განცხადებას, მაშინ საკავშირო სახელმწიფოში მათი მიღების საკითხი განიხილება კიდეც. სხვათა შორის, როგორც ივან მაკუშოკის შემდეგი განცხადებიდან ჩანს, სცენარი იქნება ისეთივე, თუ თბილისი არ დათანხმდება ავტონომიებისათვის სუვერენიტეტის მინიჭებას, ესე იგი დღევანდელ სტატუსის ვითარებაში დატოვებენ ამ რეგიონებს. „თუ აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან შემოვა ოფიციალური მიმართვა საკავშირო სახელმწიფოში შესვლის შესახებ, მაშინ ჩვენ, ბუნებრივია, მას განვიხილავთ“, – თქვა ივან მაკუშოკმა. ჩინოვნიკის სიტყვებით, მთავარია, რომ ამ რესპუბლიკებმა ხმა არ მისცეს ერთიანი საბჭოთა სახელმწიფოს შემადგენლობიდან გამოსვლას.

სამხრეთ ოსეთის მთავრობაში „ნეზავისიმაია გაზეტას“ დაუდასტურეს ამგვარი გეგმების არსებობის შესახებ. ბეჭდვითი სიტყვისა და ინფორმაციის სახელმწიფო კომიტეტის მეთაურმა ირინა გაგლოევამ გვაცნობა: „მართლაც, სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება განიხილავდა საკავშირო სახელმწიფოსთან მიერთების გეგმას, აწარმოებდა კონსულტაციებს, ვინაიდან ეს თემა რთულია. მაგრამ უკანასკნელ პერიოდში სიტუაცია მკვეთრად დაიძაბა და ამ მომენტისათვის ჩვენ იძულებული ვართ, სხვა საქმეები ვაკეთოთ“. მან განაცხადა, რომ გასულ უქმე დღეებში სიტუაცია შემსუბუქდა, „თუ არ ჩავთვლით ცალკეულ გასროლებს ღამ-ღამობით“, – მაგრამ დაძაბულობა შენარჩუნებულია – მხარეები აგებენ საფორტიფიკაციო ნაგებობებს.

„რაც შეეხება იმას, რომ საკავშირო სახელმწიფოს აღმასრულებელ კომიტეტში მზად არიან განიხილონ განცხადება, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შესახებ, ჩვენთვის ეს განხილვები საინტერესო არაა. მხოლოდ ამ ხალხმა უნდა გაიგოს, რომ ამგვარი მოქმედებით ისინი ზიანს აყენებენ უწინარეს ყოვლისა რუსეთს“, – განუცხადა გაზეთის კორესპონდენტს საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილმა. მისი სიტყვებით, მთელი მსოფლიო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რუსეთის ავიაცია შეიჭრა საქართველოს საჰაერო სივრცეში, დარწმუნდა, თუ ვის მხარეზეა სიმართლე და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის ჩამოსვლაც – ამის კიდევ ერთი დადასტურებაა.

სახელმწიფო მინისტრმა გვაცნობა, რომ ჰანს-დიტერ ლუკასსთან ერთად განიხილა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების სამფაზიანი დოკუმენტი. იგი მოამზადა საქართველოს მეგობართა ჯგუფმა, რომელიც უფრო მეტად ცნობილია როგორც „შტაინმაიერის (გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრისძ გეგმა“. იგი შეიცავს 3 ეტაპს: ხელშეკრულების ხელმოწერას ცეცხლის განუახლებლობის შესახებ რესპუბლიკაში 250 ათასი ქართველი ლტოლვილის რესპუბლიკაში დაბრუნების სანაცვლოდ. მხარის ეკონომიკურ აღდგენას, მოლაპარაკებებს აფხაზეთის სტატუსის შესახებ. „თავად ის ფაქტი, რომ გერმანია პრეტენზიას აცხადებს მოწესრიგების პროცესში ლიდერობაზე, ოპტიმიზმს გვინერგავს იმის გათვალისწინებით, რომ მას ნორმალური ურთიერთობები აქვს რუსეთთან“, – თქვა იაკობაშვილმა. მან იმედი გამოთქვა, რომ ბატონ ლუკასის წინადადებას ყურადღებით შეისწავლიან სოხუმში, სადაც იგი გაემგზავრა ორშაბათს.

აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ, რომელიც შეხვდა ჰანს-დიტრიხ ლუკასს, განაცხადა, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ჩამოიტანა „ჯერჯერობით არაოფიციალური დოკუმენტი“. „შემოთავაზებული გეგმა განხილული იქნება. ჩვენ იგი ჩავაბარეთ საქმის კურსში იმასთან დაკავშირებით, რომ მოლაპარაკებათა გაგრძელებისათვის საჭიროა, რომ საქართველო დაუბრუნდეს გაეროს ეგიდით მიღებულ ხელშეკრულებათა შესრულებას. პირველი რიგში თბილისმა უნდა გამოიყვანოს ყველა შეიარაღებული ფორმირება კოდორის ხეობიდან. მხოლოდ ამის შემდეგ დადგება დიალოგის პერსპექტივები, – განაცხადა შამბამ. გაზეთის შეკითხვაზე, სოხუმის ასეთი მკაცრი პოზიცია დაკავშირებული ხომ არ არის საკავშირო სახელმწიფოში შესვლასთან, აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა თქვა: „ასეთი ინტეგრაციული პროცესები ჩვენთვის საინტერესოა. თავის დროზე მე თავად გამოვდიოდი საკავშირო სახელმწიფოში აფხაზეთის შესვლის იდეით. ოფიციალურად შესვლის საკითხი ჩვენ ჯერჯერობით არ დაგვიყენებია – განვიხილავთ, შევისწავლით“.

თბილისის განვითარებისა და თანამშრომლობის ცენტრის ხელმძღვანელი პაატა ზაქარეიშვილი მიიჩნევს, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რუსეთისა და ბელორუსიის საკავშირო სახელმწიფოში შესვლის სცენარი არასერიოზულია. „რასაკვირველია, საქართველოსთან დაკავშირებით რუსეთის პოლიტიკის გათვალისწინებით ასეთი მცდელობების გამორიცხვა არ შეიძლება, მაგრამ ვფიქრობ, ეს მორიგი მოქმედებანი მიზნად ისახავს თბილისის გამოყვანას წონასწორობიდან: თავად საკავშირო სახელმწიფო არსად არ არის გაფორმებული, იგი მხოლოდ ახლა იბადება, მოსკოვსა და მინსკს უამრავი წინააღმდეგობა აქვთ. ხან აქ და ხან იქ წამოიჭრება სკანდალი, – ვის და სად მიღებას აპირებენ ისინი?! აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შეერთების სურათი ჯერ მხოლოდ იწყება, კულმინაციას ეს ისტორია მიაღწევს, ალბათ, დეკემბერში, როდესაც საქართველოს შეიძლება შესთავაზონ ნატოში შესვლის მოქმედებათა გეგმა“, – განაცხადა ქართველმა პოლიტოლოგმა.

**იური სიმონიანი**

НЕЗАВИСИМАЯ газета

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# აშშ რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ საქართველოს საზღვრების დარღვევით შეშფოთებულია



**ჯორჯ ბუშის** ადმინისტრაცია „ღრმად შეშფოთებულია“ რუსეთის განცხადებით იმის შესახებ, რომ რუსეთის სამხედრო თვითმფრინავებმა წინასწარი განზრახვით დაარღვიეს საქართველოს საზღვრები და აღშფოთებულია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დაძაბულობის ამასწინანდელი ზრდით, ნათქვამია ორშაბათს ვაშინგტონში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენლის შონ მაკკორმაკის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„ჩვენ ღრმად ვართ შეშფოთებული რუსეთის განცხადებით იმის შესახებ, რომ მისმა სამხედრო თვითმფრინავებმა წინასწარი განზრახვით დაარღვიეს საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრები, მოაწყვეს გაფრენები საქართველოს სამხრეთ ოსეთის რაიონზე. ასეთი აქციები აყენებენ საკითხს რუსეთის, როგორც სამშვიდობოებისა და მოლაპარაკებათა უზრუნველყოფის შესახებ, როლის თაობაზე, აგრეთვე საფრთხეს უქმნიან მთელი რეგიონის სტაბილურობას“, – ნათქვამია მაკკორმაკის განცხადებაში.

მასში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „ამერიკის შეერთებული შტატები შეშფოთებულია დაძაბულობის ამასწინანდელი ესკალაციის გამო საქართველოს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რეგიონებში და მოუწოდებს ყველა მხარეს, დაუბრუნდნენ პირდაპირ მოლაპარაკებებს და მოაწესრიგონ აზრთა სხვადასხვაობა მშვიდობიანი გზით“.

„ჩვენ მოვუწოდებთ საერთაშორისო გაერთიანების წევრებს, მათ შორის რუსეთს, მხარი დაუჭირონ საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, რის შესახებაც საუბარია გაეროს უშიშროების საბჭოს მრავალრიცხოვან რეზოლუციებში, მათ შორის გაეროს უშიშროების საბჭოს ყველაზე ბოლო რეზოლუციაში ნომრით 1808, რომელიც მიღებულია 2008 წლის აპრილში, ნათქვამია დოკუმენტში.

„ამერიკის შეერთებული შტატები მთლიანად უჭერს მხარს და აქტიურად მონაწილეობს გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა პროცესში და მიიჩნევს, რომ მეგობართა ჯგუფის ძალისხმევა მიგვიყვანს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის მოწესრიგებამდე, ხაზგასმულია სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში.

**არკადი ორლოვი**

НОВОСТИ

# დავები კავკასიაში

**აფხაზეთის პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში თავის თვითგამოცხადებულ სახელმწიფოს მართავს შავი ზღვისპირა პალმების, ფიჭვებისა და გიგანტური მაგნოლიების შორის მოთავსებული ოფისიდან.**

ამ სურათისათვის შეიძლებოდა გვეწოდებინა იდილია, მის მახლობლად რომ არ იმყოფებოდეს 15 წლის წინათ დანგრეული შენობები, როდესაც აფხაზეთი გამოეყო საქართველოს სამოქალაქო ომის დროს. მაშინ დაიღუპა 8 ათასი კაცი, 240 ათასი ეთნიკური ქართველი იძულებული იყო, დაეტოვებინა თავისი სახლები. სოხუმის ხედს მწუხარებას ჰმატებს ყოფილი რეგიონალური პარლამენტის დაზიანებული ჩონჩხი – ძალადობის ძეგლი და იმის გაფრთხილება, თუ რა შეიძლება მოხდეს ხელახლა.

59 წლის ბაღაფშს, წარსულში კალათბურთელს, საბჭოთა ფუნქციონერს, შემდეგ კი ბიზნესმენს, ერთი პოლიტიკური მიზანი ამოძრავებს – აფხაზეთის საერთაშორისო აღიარება. ის ამბობს: – ვფიქრობ, ყველას ამ ქვეყანაზე უნდა დამოუკიდებლობა. აფხაზეთი გამონაკლისი როდია... ჩვენ გვინდა ავაშენოთ საკუთარი პატარა, დემოკრატიული, კანონმორჩილი სახელმწიფო“.

ეს ადვილი ამოცანა როდია. აფხაზეთის მოთხოვნები უარყოფილია საქართველოს მიერ და იგი არცერთ ქვეყანას არ უღიარებია, თვით რუსეთსაც კი, მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად მხარს უჭერს სოხუმს. საქართველო, რომლის მხარესაცაა დასავლეთი, დაბეჯითებით აცხადებს, რომ აფხაზეთი რჩება მის შემადგენელ ნაწილად საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად.

ამ დავას ართულებს დაძაბულობა, რომელიც იზრდება დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის კავკასიაში. ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობა მხარს უჭერენ საქართველოს მისწრაფებას აიცილოს თავიდან რუსეთის გავლენა და გახდეს დასავლეთის ნაწილი, მათ შორის ნატოს წევრიც. დასავლეთსაც აღელვებს მილსადენების უსაფრთხოება, რომლითაც ნავთობი და გაზი კასპიიდან კავკასიის გავლით მიდის თურქეთში. ამ დროს აღორძინებადი რუსეთი ამ რეგიონს განიხილავს, როგორც მთავარ ტესტს, რომ აქვს უნარი განიმტკიცოს თავი ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. განა შემთხვევით იყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა გასულ კვირას თბილისში გააფრთხილა რუსეთიც და საქართველოც, თავი შეიკავონ „პროვოკაციული ქცევისაგან“.

აფხაზეთის კონფლიქტი – ერთ-ერთია იმ „გაყინული კონფლიქტებიდან“, რომლებიც გადაუჭრელი დარჩა სსრ კავშირის დაშლის შემდეგ. აფხაზეთი ცდილობს წინ აღუდგეს იზოლაციას. ცალკეული მოლაპარაკებები, რომელთა ინიციირებასაც ახდენს გაერო, ჯერჯერობით უშედეგოა.

მაგრამ მიმდინარე წელს გაყინული აფხაზური კონფლიქტი ცხელი გახდა. აპრილის ბოლოსა და მაისის დასაწყისში აფხაზურმა და ქართულმა ჯარებმა კინაღამ ომი არ დაიწყეს, თანაც ბრალდებები „პროვოკაციებში“ გაისმოდა ორივე მხრიდან. თბილისმა ბრალი დასდო მოსკოვს იმაში, რომ იგი კონფლიქტში ჩართულია აფხაზეთის მხარეს, როდესაც გაჩნდა დაფიქსირებული კადრები იმის შესახებ, თუ რუსეთის სამხედრო თვითმფრინავი როგორ აგდებდა საქართველოს უპილოტო მზვერავ თვითმფრინავს.

მაშინ სოხუმმა და თბილისმა უფსკრულის ნაპირიდან უკან დაიწიეს. მაგრამ უკანასკნელი თვის განმავლობაში აფხაზეთი შეაზანზარა 4 აფეთქებამ, თანაც ერთ-ერთი მათგანი სამხრეთ ქალაქ გალში მოხდა, ცეცხლის შეწყვეტის ხაზის მახლობლად. დაიღუპა 4 კაცი. აფხაზეთმა ამაში ბრალი დასდო საქართველოს, ხოლო საქართველომ განაცხადა, რომ აფეთქებები ინსცენირებულია აფხაზეთის მიერ.

რუსეთისათვის აფხაზეთი პოპულარული კურორტია, რომელიც ოდესღაც უყვარდა იოსებ სტალინს. ეს სანაპირო შეიძლება გახდეს მოსკოვისათვის სამხედრო-საზღვაო ბაზის ადგილი, თუკი შავი ზღვის ფლოტი იძულებული გახდება ოდესმე დატოვოს სევასტოპოლის ნავსადგური უკრაინაში. მაგრამ რუსეთი არ ჩქარობს აღიაროს აფხაზეთის დამოუკიდებლობა, ეშინია, რომ ეს შექმნის სახიფათო პრეცედენტს ეროვნულ უმცირესობათათვის ჩრდილოეთ კავკასიაში. პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევს არ სურს ახალი ჩეჩნეთი.

მოსკოვისათვის საქართველო და მისი პროდასავლური ორიენტაციის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საჯილდაო ქვად იქცნენ. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი – ეს ზემოქმედების საშუალებაა, რომელთა დახმარებითაც შეიძლება მოახდინო ზეგავლენა თბილისზე, შეაფერხო მისი პროდასავლური პოლიტიკა და აიძულო იგი, უარი თქვას ნატოს წევრობაზე.

დიმიტრი ტრენინი, მოსკოვის კარნეგი-ცენტრის დირექტორის მოადგილე და ერთ-ერთი მათგანი, ვისაც „ჭკვიან თავად“ მიიჩნევენ, ამბობს: „რუსეთს თავად აფხაზეთში არ აქვს სერიოზული ინტერესები. რუსეთი საქართველოს ეუბნება: თუ შეხვალთ ნატოში, მაშინ მოგიწევთ ძალიან დიდი ფასის გადახდა. თქვენ ველარასადროს ვერ მიიღებთ უკან აფხაზეთს“. დასავლეთისათვის სააკაშვილის ადმინისტრაცია, მიუხედავად მისი მკაცრი პოლიტიკური ტაქტიკისა, – დემოკრატიის იშვიათი მაგალითია რეგიონში. მის ქვეყანას აქვს ნავთობსადენის ერთადერთი სისტემა, რომლითაც კასპიის ნავთობი და გაზი მიდის მსოფლიო ბაზარზე რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლით. ვიდრე აფხაზეთი იმყოფება მის გზაზე, კონფლიქტს აფხაზეთში შეუძლია საფრთხე შეუქმნას საქართველოს სტაბილურობას.

საქართველო აცხადებს, რომ ადგილმდებარეობა აიძულებს აფხაზეთს დაბრუნდეს საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიურ რეგიონად. საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილე გიგა ბოკერია ამბობს: „ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა“, მაგრამ აფხაზებიც ამბობენ, რომ უკვე გვიანია – საქართველო ძალიან ხშირად ახორციელებდა ცალმხრივ ღონისძიებებს, განსაკუთრებით 2006 წელს, როდესაც შეიარაღებული პოლიციური რაზმები გაგზავნა მთიან კოდორის ხეობაში – ერთადერთ ადგილზე, რომელიც დღემდე თბილისის კონტროლის ქვეშ იმყოფება. დიანა კერსელიანი სოხუმის მედია-ცენტრის, არასამთავრობო ორგანიზაციის დირექტორი ამბობს: „ვერ წარმომიდგენია სიტუაცია, რომლის დროსაც აფხაზეთი შეიძლება დაბრუნდეს საქართველოს შემადგენლობაში. ეს ჩვენი და ჩვენი ბავშვებისათვის იქნებოდა დასასრული“.

სამხრეთში ეთნიკური ქართველები დარწმუნებულნი არიან, რომ აფხაზეთის არსებობა უსაქართველოოდ დაუშვებელია. მაია კვარაცხელია, სამოქალაქო ორგანიზაცია „ავანგარდის“ ხელმძღვანელი, ამტკიცებს, რომ ადგილობრივი ქართველები თავს გრძნობენ მოტეხილ ყუად, „ახალგაზრდებმა არ იციან, რას მიმართონ“.

ვიდრე რუბლი თავისუფალ მიმოქცევაში იყო, მოსკოვის მხარდაჭერა გაძლიერდა. რუსეთთან კავშირები გაიზარდა. აფხაზური ელიტა დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ რჩებიან დამოუკიდებლებად, თუმცა რადიოჟურნალისტი როზიტა გერმანი აღიარებს, რომ, მისი შეგრძნებით, ლიბერალური, მრავალეთნიკური აფხაზეთი თითქმის მოგუდულია. „რუსეთს მოაქვს საფრთხეც და მხარდაჭერაც“, – განაცხადა მან.

**სტეფან უეგსტილი**

FINANCIAL TIMES

დედამიწის ზურგზე



**მიწისძვრამ** ჩინეთში გააღარიბა 1,4 მილიონი კაცი. სოფლების აღსადგენად საჭიროა 1,8 მილიარდი დოლარი. კატასტროფულმა მიწისძვრამ სიჩუანში გამოიწვია „აბსოლუტური სიღარიბე“. ერთი სოფლის აღსადგენად საჭიროა დაახლოებით 438 ათასი დოლარი.

* * *

**სამხედრო** თანამგზავრის ნამსხვრევები საფრთხეს უქმნიან საერთაშორისო კოსმოსური სადგურის ეკიპაჟს. ნასას მონაცემებით, რუსეთის სამხედრო თანამგზავრი „კოსმოსი-2421“ აფეთქდა 2008 წლის 1 კვარტალში და მისგან დარჩა 300 ნამსხვრევი. რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრო აფეთქების ფაქტს არ ადასტურებს, ამიტომ ფრენის ცენტრალურ სამმართველოში არ იციან, ეშინოდეთ თუ არა, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, ვარაუდობენ, რომ ბრალი დასდონ ამერიკულ მზვერავ თანამგზავრს.

* * *

**ობამას** წინასაარჩევნო შტაბმა შეურაცხმყოფელად მიიჩნია კარიკატურა, რომელზეც იგი და მისი მეუღლე გამოსახული არიან ტერორისტებად. ჟურნალ „ნიუ იორკის“ ყდაზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატი დემოკრატებისაგან გამოსახულია მუსლიმანურ ტანსაცმელში. მისი ცოლი კი კომუფლაჟში და ავტომატით ხელში. ისინი დგანან თეთრ სახლის ოვალურ კაბინეტში, სადაც ჰკიდია უსამა ბენ ლადენის პორტრეტი, ოთახში კი ჩამოკიდებულია ამერიკის დროშა.




* * *

**საბერძნეთში** მოხდა 6,3 ძალის მიწისძვრა. დაიღუპა ერთი ქალი. ხელისუფლება იტყობინება, რომ მიწისძვრის შედეგად სერიოზულ ნგრევებს ადგილი არა აქვს. თუმცა ადგილობრივი მცხოვრებლები და ტურისტები პანიკით ტოვებენ სახლებსა და სასტუმროებს. მაშველი ბრიგადები ფეხზეა. დაღუპული 56 წლის ქალბატონი დაეცა, როდესაც სახლიდან გამორბოდა.

* * *

**იაპონელთა** უმეტესობამ უარყოფითად შეაფასა დიდი რვიანის სამიტზე პრემიერ ფუკუდას თავმჯდომარეობის შედეგები. ამის შესახებ მეტყველებს იაპონიის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ გამოქვეყნებული საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგები. კერძოდ, გამოკითხვის მონაცემების თანახმად, ასეთი აზრი გამოთქვა რესპონდენტთა 62 პროცენტმა, რომლებმაც განაცხადეს, რომ არ შეუძლიათ მაღალი შეფასება მისცენ ფუკუდას თავმჯდომარეობას სამიტზე.

* * *

**ნიუ-იორკის** ორგანიზაციამ მოუწოდა გაეროს, შექმნას მონაცემთა მსოფლიო ბანკი იმ ბავშვების შესახებ, რომლებსაც ონკოლოგიური დაავადება აქვთ. ასეთი ფონდის შექმნა ხელს შეუწყობს დაავადებული ბავშვების მკურნალობას. მარტო რუსეთიდან უკვე შემოსულია 200 ასეთი მიმართვა მშობლებისა იმ ბავშვების ფოტოგრაფიით, რომლებსაც აწუხებთ ონკოლოგიური დაავადებანი.

* * *

**უკრაინაში** ციკლონი მძვინვარებს, ერთი ღამის განმავლობაში ზიანი მიადგა 5 ოლქის 169 დასახლებულ პუნქტს. წინა დღით გავრცელდა გაფრთხილება გრიგალის შესახებ. ძლიერი ქარისა და წვიმის შედეგად დაზარალდა დასახლებული პუნქტები. ენერგეტიკოსთა ბრიგადები შეუდგნენ ელექტროენერგიის მიწოდების აღდგენას, ციკლონი მოძრაობს უკრაინის ცენტრისაკენ.



№ 131. ოთხშაბათი, 16 ივლისი, 2008 წელი.

## კინოპრემიერა

**6 ივლისს კინოთეატრ „რუსთაველის“ ეკრანზე თბილისის საზოგადოებამ ქართული კინოს პატრიარქის, მსოფლიო კინემატოგრაფის ერთ-ერთი უბრწყინვალესი წარმომადგენლის რეზო ჩხეიძის ახალი სრულმეტრაჟიანი ფილმი – „მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელი“ იხილა...**

**რეზო ჩხეიძე ჯერ კიდევ „მაგდანას ლურჯადან“ და „ღიმილის ბიჭებიდან“ მოყოლებული ახსოვს მაყურებელს როგორც უნიჭიერესი რეჟისორი, მაგრამ მას შემდეგ, რაც ეკრანზე გამოჩნდა „ჯარისკაცის მამა“, ყველამ ირწმუნა, რომ ეს სწორედ ის ნაწარმოები იყო, რომელიც არა მარტო ქართული, ან საბჭოთა კინოს ისტორიაში, არამედ მსოფლიო კინემატოგრაფის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერებოდა.**

**ამჯერად რეზო ჩხეიძემ რელიგიურ თემას მოჰკიდა ხელი...**



# ფილმი, რომელიც... იხსნის საქართველოს

დიდი იყო ამ ფილმის მოლოდინი. დიდი იყო დაეჭვებაც – შეძლებდა გენიალური რეჟისორი ამ სიმძიმის ტვირთის აწევას? ამთავითვე ვიტყვი, რომ რეზო ჩხეიძემ არა მხოლოდ შემოქმედებითი თვალსაზრისით ასწია ეს სიმძიმე, არამედ ორგანიზაციული თვალსაზრისითაც ნამდვილი სასწაული მოახდინა. არარსებული გადასაღები ბაზის, გაჩანაგებული კინომეურნეობისა და ჩამკვდარი ენთუზიაზმის პირობებში მან შეძლო იმ მინიმალური ფინანსური სახსრების თავმოყრა, რაც აუცილებელია თუნდაც ყველაზე პრიმიტიული ფილმის გადასაღებად და დაამტკიცა, რომ დიდ ფილმს დიდი ბიუჯეტი კი არა, პირველ რიგში, ტალანტი და გენია ქმნის.

რეზო ჩხეიძის ეს ფილმი არის ქართული კულტურისა და სულიერებისათვის იმ სუბსტანციური მნიშვნელობის ფენომენის უკვდავობისა და მარადიულობის ოდა, რასაც მართლმადიდებლობა ჰქვია. – „გახსოვდეს, ლუკა, დროთა კავშირი ურღვევია!“ – ასე მიმართავს მთავარ მოქმედ გმირს – ლუკა ბაგრატიონს ფილმის წამყვანი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქორო, რომელსაც შესანიშნავად ახმოვანებს თვითონ რეზო ჩხეიძე. ეს დებულება ფილმის ერთ-ერთი ცენტრალური და ფუნდამენტური სენტენციაა. წარსულისადმი ცინიკურ-ნიჰილისტური და უარმყოფელი დამოკიდებულებით გამორჩეულ ამ ეპოქაში ჩვენ კარგად გვახსოვს ზოგიერთი ვაიმოღვაწის მოწოდება რჯულის დაგდებისა და ერის ახალი ნათლობისკენ, – მართლმადიდებლობამ რუსეთს მიგვაჯაჭვა, რის გამოც ქართველი ერისთვის კათოლიკობის გზაზე შედგომა აჯობებსო. არავითარი სურვილი არ მაქვს ამ მკრეხელობის ციტირებისა, მაგრამ რეზო ჩხეიძის ფილმში ასე ზუსტად დასმული ეს ძახილის ნიშანი დროთა კავშირის ურღვევობის შესახებ შექსპირის ცნობილი ფრაზის („დაირღვა დროთა კავშირი!“ძ მექანიკური შებრუნებით შექსპირისეული ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური ტრაგიზმის გამოძახილი კი არ არის, ჩვენი ეპოქისთვის ნიშანდობლივი, ერთი მხრივ, ფსევდორელიგიურ-ფარისევლური, მეორე მხრივ კი, პოლიტიკური კონიუნქტურით გაჯერებული, წარსულისგან გაუცხოებული და საკუთარი ბიოგრაფიის უარმყოფელი იმ ტრაგიკომიკური ცნობიერების გამოძახილია, რომლის კონკრეტული მაგალითიც ზემოთ მოვიტანეთ. ცოტა უფრო მარტივად რომ ვთქვათ, დღეს საქართველოში მიდის ქართველი ერის საკუთარი ფესვებიდან მოწყვეტის, გარედან თავსმოხვეული, საშინელი პროცესი, რომელიც სამკვდრო-სასიცოცხლო ხასიათს ატარებს. ამიტომ შეიძინა დამაჯერებლობა ამ ფილმში მაცხოვრის საფლავიდან წამოღებული წმინდა ცეცხლის საქართველოში ჩამოტანით საქართველოს გადარჩენის იდეამ...



აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, იერუსალიმში, მაცხოვრის საფლავთან გადმოსული წმინდა ცეცხლი საქართველოში, ტიმოთეს ტაძარში მოაქვს ახალგაზრდა კაცს, ლუკა ბაგრატიონს, რათა სულიერი და ფიზიკური დეგრადაციისგან იხსნას სწორედ ამ გზაზე შემდგარი ერი. ეს რომ დღევანდელი საქართველოა, ამას მინიშნებაც არ სჭირდება.

ფილმის გმირი, რომელიც უამრავ ფათერაკს გადაეყრება, უკიდეგანო უდაბნოში აღმოჩნდება და, მისი ჭკუით, იმ მიმართულებით მიდის, რომელიც მას რკინიგზასთან მიიყვანს, მაგრამ გზას ბოლო არ უჩანს...

ლუკას სანთლები გაუთავდა და, როდესაც უკანასკნელი სანთელი დაიწვება, წმინდა ცეცხლიც ჩაქრება. სასოწარკვეთამდე მისული ყმაწვილი, სახელდახელოდ მოგროვილ ფიჩხზე გადაიტანს ცეცხლს, რათა მას ოდნავ მაინც გაუხანგრძლივოს სიცოცხლე. ახლა ლუკას მხოლოდ სასწაულის იმედი აქვს... და აი, აქ, ფილმის ავტორებმა ჩადეს ისეთი თამამი და თანაც ერთმნიშვნელოვანი ალეგორია, ძნელად წარმოსადგენი რომ იყო. სწორედ იმ დროს, როდესაც სანთელიც ჩამქრალია და სახელდახელო კოცონიც უნდა ჩაქრეს, გამოჩნდებიან რუსი პილიგრიმები, რომლებმაც ლუკას დახმარების ხელი გაუწოდეს. მას უამრავი სანთელი გადასცეს, საქართველოს მართლმადიდებლობის ბასტიონი უწოდეს და ლუკას ამცნეს, რომ იგი სწორი მიმართულებით არ მიდის. ალეგორია მარტივია – რუსებმა ჩაქრობისგან იხსნეს წმინდა ცეცხლი, რომელიც საქართველოს გადარჩენის სიმბოლოდ ჰქონდა დასახული ლუკას. მას არასწორი მიმართულებაც შეაცვლევინეს და სწორ გზაზე, ანუ იმ გზაზე დააყენეს, რომელიც უდაბნოდან გამოიყვანდა და ზღვის სანაპირომდე ჩაიყვანდა. აქ ერთი გასაოცარი პასაჟია: რუსი პილიგრიმების ხელმძღვანელის რჩევით, რუსებმა ჩააქრეს თავიანთი სანთლები და ისინი ხელახლა აანთეს ლუკას წმინდა ცეცხლით. ე.ი. რუსებმა იხსნეს ლუკაც და საქართველოში ჩამოსატანი წმინდა ცეცხლიც, მაგრამ იმავე წმინდა ცეცხლს სწორედ ლუკას დაესესხნენ და მისგან დავალებულნიც დარჩნენ. ამით, ფილმის ავტორებმა საქართველოსა და რუსეთის სულიერება, ამ ორი მართლმადიდებელი ქვეყნის წარსული, აწმყო და მომავალი ისე გადაჯაჭვულად წარმოაჩინეს, როგორც ისტორიულად იყო – „გახსოვდეს, ლუკა, დროთა კავშირი ურღვევია!“

ბევრი რამ შეიძლება ითქვას ფილმის ჟანრობრივ კუთვნილებაზე, ფორმაზე, ესთეტიკაზე. საერთოდ, ცნობილია, რომ რეზო ჩხეიძე უაღრესად რეალისტი რეჟისორია. ის საიდუმლო, რომლითაც იგი მაყურებელთა გულებს ინადირებს, ფორმაში კი არა, შინაარსშია საძებნი; პიროვნების სულიერი მდგომარეობისა და გლობალური ხასიათის მოვლენების ერთ კონტექსტში მოქცევის გასაოცარ ნიჭსა და ხელოვნებაშია საძებნი.

რეზო ჩხეიძის ჩანაფიქრს ხორცი შეასხეს ახალგაზრდა მსახიობებმა – თორნიკე ბზიავამ და ანა ამირიძემ, რომლებიც მთავარ როლებს ასრულებენ (ეს მათი დებიუტია. მე ვიტყოდი, ბრწყინვალე დებიუტიძ. ფილმის ერთგვარი სიურპრიზი იყო ცნობილი ქართველი მსახიობების – ოთარ მეღვინეთუხუცესის, გივი ბერიკაშვილის, ხათუნა იოსელიანის გვერდით ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ჯუმბერ ლომინაძის გამოჩენა, რომელმაც მსახიობის როლი ძალიან ბუნებრივად და ძალდაუტანებლად მოირგო, მაგრამ ეს ყველაფერი, ალბათ, კინოს სპეციალისტთა მსჯელობის საგანი უფროა. ჩვენთვის კი უმთავრესი ფილმის პოლიტიკური და გეოპოლიტიკური ფილოსოფიაა. დღეს საქართველო პოლიტიკურად გზასაცდენილი ქვეყანაა. ჩვენი წმინდა სანთელი ჩაქრობად არის მიდრეკილი და თუ ისევე არ გამოგვიჩნდა გზისგამკვლევი და ხელისგამმართავი, როგორც ლუკა ბაგრატიონს გამოუჩნდა, ჩვენი სანთელი ჩაქრება...

იმ საღამოს კინოთეატრ „რუსთაველში“, ფილმის რუსულად გახმოვანებული ვარიანტის (ქართული ვარიანტი ჯერ არ არსებობსძ ნახვის შემდეგ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, მის უწმიდესობასა და უნეტარესობა ილია მეორესთან ერთად, ხალხი მხურვალედ უკრავდა ტაშს ჭეშმარიტებით, სიკეთითა და გონიერებით გასხივოსნებულ იმ წმინდა სანთლის გამოჩენას, რომლის საქართველოში ჩამოტანა რეზო ჩხეიძემ და მისმა შესანიშნავმა დასმა შეძლო...

**ვალერი კვარაცხელია**

## თარიღი

# დიდი ოდისეი

## ოდისეი დიმიტრიადი – 100!



**გამოჩენილ დირიჟორს, საქართველოსა და სსრკ სახალხო არტისტს ოდისეი დიმიტრიადის 100 წელი შეუსრულდა. სულ რაღაც სამი წლის წინ კი ის ჯერ კიდევ ჩვენ შორის იყო და, მართალია, თავისი დიდებული ხელოვნებით ველარ გვატკბობდა (უკანასკნელი კონცერტი 90 წლის ასაკში ჩაატარა!ძ, მაგრამ მისი ადამიანური სითბო, ემოციური კომუნიკაბელობა და იუმორის გრძნობა იზიდავდა ყველას, ვისაც კი მასთან უწევდა ურთიერთობა: ოჯახის წევრებს, ნათესავებს, მეგობრებს – კოლეგებს, მოწაფეებს, პატივისმცემლებს – მათ შორის, ამ სტრიქონების ავტორსაც...**

ჩემთვის და მთელი ჩემი თაობისათვის ბატონი ოდისეის სახელი და არტისტული იერი განუყრელადაა დაკავშირებული მუსიკის ჯადოსნურ სამყაროსთან ზიარების წლებთან, მისი მაგიური საიდუმლოებებისა და მაღალი სულიერების შეცნობის პროცესთან.

ვინ ჩამოთვლის, მსოფლიოს კლასიკური მუსიკალური ხელოვნების რამდენი ნიმუში ჩვენ სწორედ ოდისეი დიმიტრიადის უბადლო დირიჟორობით მოვისმინეთ პირველად! და არა მარტო მსოფლიოსი. იგი ხომ ქართული მუსიკის, ქართველი კომპოზიტორების მრავალი ნაწარმოების პირველი და შესანიშნავი შემსრულებელი იყო. დავასახელებ მხოლოდ სამ მათგანს, რომლებიც სამართლიანად ითვლებიან ახალი ქართული მუსიკის ჭეშმარიტ შედევრებად და მხატვრულ მწვერვალებად, თანაც სხვადასხვა მუსიკალურ ჟანრში: ა.ბალანჩივაძის I სიმფონია (დღემდე საუკეთესო ჩვენ მუსიკაშიძ, ა.მაჭავარიანის ბალეტი „ოტელო“ (რომელიც, ვფიქრობ, არავითარ დეფინიციას არ საჭიროებს!ძ და ო.თაქთაქიშვილის ოპერა „მინდია“ (პოსტფალიაშვილისეული ეპოქის საუკეთესო ქართული ოპერაძ.

შთაგონებული შემოქმედის იერსახე, ამაყი ანტიკური პროფილითა და ხელების („ფრთების“!ძ არწივისებური მოქნევით სამუდამოდ ჩაგვებეჭდა მეხსიერებაში.

ო. დიმიტრიადის ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის უმთავრესი ნაწილი საქართველოსთან არის დაკავშირებული (დაიბადა ბათუმშიძ. 1937-1965 წლებში იგი იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორი (1952-იდან მთავარი დირიჟორიძ, 1947-1952 – საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი, 1968 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის კონსერვატორიაში, რასაც უთავსებდა მუშაობას მოსკოვის „დიდ თეატრში“. თითქმის ყველა თანამედროვე ქართველი დირიჟორი მისი აღზრდილია.

ძალზე ვრცელი იყო ოდისეი აქილევსის ძის „საგასტროლო რუკა“, რომელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანას მოიცავდა. 90-იანი წლების ძნელბედობის ჟამს იგი დროებით თავის წინაპართა სამშობლოში – საბერძნეთში გადასახლდა, სადაც ნაყოფიერად მუშაობდა და, სხვათა შორის, ქართულ მუსიკასაც უწევდა პროპაგანდას.

საბერძნეთთან ბატონ ოდისეის თავისი წარმომავლობის გარდა, ნათესაური ურთიერთობა და, ცხადია, გენეტიკური მენტალიტეტიც აკავშირებდა.

ამასთან დაკავშირებით მაგონდება ერთი კურიოზული შემთხვევა.

ერთხელ (გამოვტყდებიძ „საბჭოურ პერიოდში“, ჩავრთე რადიომიმღები რომელიმე „მტრული“ გადაცემის მოსასმენად. უცებ, რადიოდან მესმის ოდისეი დიმიტრიადის ხმა. მივუგდე ყური: „ბატონი ოდისეი“ გადმოსცემდა უკანასკნელ ცნობებს, ლაპარაკობდა საბჭოთა კავშირის მზაკვრული გეგმების შესახებ! გაოგნებული ვუსმენდი მას. სულ მალე გადაცემა დამთავრდა და დიქტორმა გამოაცხადა: „Мы передавали последние известия из Афин!“

ალბათ გასაგებია ჩემი ძსმენითი ცდომილებისძ მექანიზმი – ხომ გახსოვთ, ბ-ნი ოდისეის რუსული მეტყველება, რაღაც თავისებური – თურმე, ბერძნული (!) აქცენტით?

გამოჩენილი დირიჟორის, დიდებული პიროვნების ბატონ ოდისეი დიმიტრიადის ეს გახსენება კი მინდა დავამთავრო მადლიერების სიტყვებით და იმის ღრმა რწმენით, რომ მისი ხსოვნა არასოდეს წაიშლება ქართველი ხალხის ცნობიერებაში, ხალხისა, რომელმაც მას უკანასკნელ განსასვენებლად თავისი დიდი შვილების – ზაქარია ფალიაშვილის, ვანო სარაჯიშვილისა და ზურაბ ანჯაფარიძის გვერდით მიუჩინა ადგილი.

**გულბათ ტორაძე**



თბილისის სტუმარი, საბერძნეთის ოდისეი დიმიტრიადის სახელობის კულტურის ცენტრის პრეზიდენტი მადონა სავილი (მარჯვნივ) სანთელს უნთებს ღირსეული თანამემამულის საფლავს ოპერის ბაღში.

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

ნარდი

# მსოფლიო ჩემპიონატის ქართული ფინალი

**საერთაშორისო წესებით მონტე-კარლოში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში 60 ქვეყნის ხუთასამდე მონარდემ მიიღო მონაწილეობა. ისინი დაყოფილი იყვნენ სამ კატეგორიად. საქართველოს ნაკრებში შედიოდნენ: თემურ ქურციკიძე, აკაკი კიკალეიშვილი, ომარ დვალი, ანზორ ბაბუხადია, ვახტანგ ჩიქოვანი, დავით თოდრია, თამაზ გიორგობიანი.**



პროფესიონალების უმაღლეს ლიგაში თემურ ქურციკიძემ მეოთხედფინალში მსოფლიო ჩემპიონ მაიკლ სვობოდნისთან (აშშ) ბოლო გაგორებაზე ამერიკელის დუშაში წყალობით დათმო შეხვედრა.

ოსტატების კატეგორიაში მონაწილე აკაკი კიკალეიშვილმა ბრძოლა მეოთხედფინალში დათმო.

მოყვარულთა კატეგორიაში ყველა სინჯის ჯილდო ქართველ მონარდეებს შეხვდათ. ვახტანგ ჩიქოვანმა მესამე ადგილისათვის ბრძოლაში სძლია ანზორ ბაბუხადიას.

მსოფლიო ჩემპიონატის ქართულ ფინალში კი ერთმანეთს შეხვდნენ ომარ დვალი და დავით თოდრია. შეხვედრა ომარ დვალის სასარგებლოდ დამთავრდა.

ჩვენი მონარდეები კანის პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირში (15-20 ივლისი) ბრძოლას აგრძელებენ როგორც პირად, ისე წყვილთა და გუნდურ კატეგორიებში.

მიღწეული შედეგები საქართველოს ნაკრებისათვის საკმარისი აღმოჩნდა აშშ-ში ლას-ვეგასის უმაღლესი კატეგორიის ჩემპიონატის ლიცენზიის მისაღებად.

მანამდე კი ქართველ ნარდის მოყვარულებს შანსი ეძლევათ, მონაწილეობა მიიღონ გოგი ბუკიას სახელობის დიდ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც 31 ივლისიდან 5 აგვისტომდე გაიმართება თბილისში.

**ანზორ ბაბუხადია,**
**სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისთვის“.**
**2008 წლის 15 ივლისი,**
**საფრანგეთი, კანი.**

ფეხბურთი

## „თეთრ-ლურჯები“ იწყებენ და...

**დღეს თბილისის „დინამო“ ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო რაუნდის სასტარტო შეხვედრაში ფარერების „რუნავიკს“ მასპინძლობს. მატჩი ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე 18 საათზე დაიწყება.**

რაინერ ცობელის გუნდს გამოჯანმრთელების შემდეგ განვლილი სეზონის აღმოჩენა მათე ვაწაძე და ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი გიორგი მერებაშვილი დაუბრუნდნენ. მწყობრში არიან გაზონელი ლეგიონერებიც – მეკარე დიდიე ოვონო და თავდამსხმელი ჟორჟ აკირემი, რომლებიც სამშობლოში იმყოფებოდნენ და „მუნდიალ-2010-ის შესარჩევ ციკლში თანამემამულეებს ეხმარებოდნენ.

ველოსპორტი

# ალპების მბრძანებელნი

**დასრულდა 95-ე „ტურ დე ფრანსის“ პირველი ნახევარი – ფინიში ყველაზე პრესტიჟული ველორბოლისა 27 ივლისს პარიზის ელისეს მინდვრებზეა დანიშნული.**

10 ეტაპის შემდეგ ლიდერობს ავსტრალიელი კეიდელ ევანსი, რომელიც 1 წამით უსწრებს უახლოეს მდევარს – ლუქსემბურგელ კიმ კირჩენს.

რაც შეეხება ფავორიტებს – ესპანელ ალეხანდრო ვალვერდესა და იტალიელ დანიელო კუნეგოს, მართალია, ისინი ჯერჯერობით უძლიერესი ათეულის მიღმა იმყოფებიან, მაგრამ მდგომარეობას, ალბათ, ალპებში გასავლელ სამთო ეტაპებზე გამოასწორებენ.



მხარე

## მესაზღვრეთა ბენეფისი

**დედოფლისწყაროში გამართულმა ფრენბურთელ ვაჟთა რაიონულმა პირველობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სპორტი სამართალდამცავ სტრუქტურებშიც პატივშია.**



კერძოდ, სხვებისათვის მისაბაძ მაგალითად უნდა მივიჩნიოთ სასაზღვრო პოლიციის მეოთხე სამმართველოს (უფროსი – დემურ კეკენაძე) გუნდის გამარჯვება. კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ადგილობრივი „ტეხასი“ (ლევან ნატროშვილი, ზურაბ ჩალაბაშვილი) ავიდა, ხოლო მესამე ადგილი ზემოქედელებმა (ბესო ჩოქური) დაიკავეს.

პრიზიორებს მუნიციპალიტეტის გამგეობის (ლევან ბაღაშვილი) მიერ დაწესებული ფულადი ჯილდოები გადაეცათ.

**ნანა ჭიჭინაძე**
**„სრ“ კორ.**

ხელბურთი

## მეექვსე ადგილს დასჯერდნენ



**შარშან საქართველოს ხელბურთელებმა მსოფლიო უნივერსიადაზე მხოლოდ რუსებთან დათმეს ორთაბრძოლა და ვერცხლის მედალი დაიმსახურეს.**

წლევანდელი შეჯიბრება იტალიაში ბევრად უფრო დაძაბული აღმოჩნდა. ჩვენმა სპორტსმენებმა ჯგუფურ ეტაპზე პირველივე ორთაბრძოლა დათმეს სერბებთან 22:31, სამაგიეროდ, სძლიეს აზერბაიჯანელებს 33:30, იაპონელებს 28:27 და მეოთხედფინალში გავიდნენ. აქ კი მედლებისკენ მიმავალი გზა თურქებმა გადაგვიღობეს – 30:33.

მეხუთე-მერვე ადგილებისთვის პაექრობაში საქართველოს ნაკრებმა იტალიის გუნდს მოუგო 30:27, მაგრამ ბოლო მატჩში პოლონეთთან დამარცხდა 26:34 და საბოლოოდ VI ადგილს დასჯერდა.

ინტერნეტიდან

## ასი მეტრი არ იკმარა

**ათენში, „გრან პრის“ სერიის საერთაშორისო ტურნირზე მსოფლიოს რეკორდსმენმა უსეინ ბოლტმა იამაიკიდან 100 მეტრზე სირბილში ეს საპატიო წოდება „არ იკმარა“ და თავის ძირითად დისტანციაზე – 200 მეტრზე სირბილში გამარჯვებით ერთხელ კიდევ გაახარა გულშემატკივრები და თანაც ამ სახეობის ისტორიაში მეექვსე შედეგი აჩვენა – 19,67.** აქ 12 წელია რეკორდსმენია ამერიკელი მაიკლ ჯონსონი – 19,32. შეძლებს თუ არა ბოლტი ამ რეკორდის დამხობას, როგორც ის „იმუქრება“, პეკინში, ოლიმპიურ თამაშებზე გამოჩნდება.



## ხელმარჯვედ სცემენ ჩოგანსა

**გამოქვეყნდა პლანეტის საუკეთესო ჩოგბურთელთა რეიტინგი 14 ივლისისთვის. ვაჟთა შორის საერთო შედეგების მიხედვით კვლავ შვეიცარიელი ფედერერი ლიდერობს 6600 ქულით, მეორე ადგილზე ლიდერის მთავარი მეტოქე, ესპანელი ნადალია – 6055, მესამეზე კი სერბი ჯოკოვიჩია – 4945.**



წლევანდელი შედეგების თანახმად კი უკვე ნადალი ლიდერობს – 955, ფედერერმა აქ მეორე ადგილზე გადაინაცვლა – 685, ჯოკოვიჩმა აქაც მესამე ადგილი გაინაღდა – 649.

ქალთა შორის ორივე რეიტინგით სერბი ქალიშვილები ივანოვიჩი და იანკოვიჩი ლიდერობენ – შესაბამისად 3828 და 2761, 3685 და 2645. თუ საერთო შედეგებით მესამე ადგილზე შარაპოვაა – 3626, წლევანდელი შედეგებით მას სერენა უილიამსმა გადაასწრო – 2465, შარაპოვა მას 10 ქულით ჩამორჩება.

## „გაუთავებელი“ ფეხბურთი?

**ერთობ მორიდებული წარმატებების ესპანურმა ფეხბურთის კლუბმა „სან კრისტაბალის საეკლესიო ცენტრმა“ ბარსელონას მახლობელ ქალაქ ტერასადან გადაწყვიტა თავისი არსებობის ნახევარსაუკუნოვანი არსებობის ღირსეულად აღნიშვნა. მან გამართა ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი მატჩი.**

ეს უჩვეულო შეხვედრა შესვენებების გარეშე 50 საათი გრძელდებოდა, რაც 4 საათით მეტია ადრინდელი რეკორდსმენის– არგენტინის ქალაქ ნეკოჩეს გუნდის მაჩვენებელზე.

ამ ისტორიულ მატჩში მონაწილეობდა 870 ფეხბურთელით (მათ შორის 83 ქალი) შედგენილი 40 გუნდი. მინდორზე გამოსული ყველაზე ნორჩი მოთამაშე 6 წლისაა, ყველაზე ხნიერი კი – 67 წლისა. გამარჯვება 240:207 მოიპოვა თეთრი ფორმით გამოსულმა გუნდმა.

ახლა კლუბის ხელმძღვანელობა აპირებს საჭირო დოკუმენტების წარდგენას ამ შედეგის გინესის რეკორდების წიგნში შესატანად.



## ტრაგედია მწვერვალზე

**ორი ადამიანი დაიღუპა, ექვსი კი სერიოზულად დაშავდა გადაყინვისა და გადაქანცვის გამო გერმანიის უმაღლეს მწვერვალ ცუგშპიტცზე (2962 მეტრი) გამართული არბენის დროს.**

ამინდის მკვეთრი გაუარესების გამო მაისურებსა და შორტებში გამოწყობილ „მთამრბენებს“ მოუწიათ 10-სანტიმეტრიან თოვლში სირბილი, თანაც ძლიერი ცივი ქარი ქროდა.

მაშველებმა ოთხი ვერტმფრენიდან მხოლოდ ორით შეძლეს ღრუბლების სქელი ფენის გარღვევა და დაზარალებულთა გადარჩენა.

## მეტი რაღა უნდა გაიხადოს?

**„– ახლა უკვე გათხოვილი ვარ და გადავწყვიტე, კალენდრებისთვის გადასაღებად აღარ გავშიშვლდე!“ – განაცხადა ცნობილმა იტალიელმა მოდელმა და ბალერინამ ელიზაბეტ გრეგორაჩიმ, ახლა უკვე სახელგანთქმული „პლეიბოის“ – „ფორმულა-1“-ის საჯინიბო „რენოს“ მფლობელის, მილიარდერ ფლავიო ბრიატორეს ცოლმა, თავს ნამდვილ დედოფლად რომ გრძნობს.**



„ახლა ჩვენ ლონდონში ვცხოვრობთ და თანდათან ვეჩვევი ამ ქალაქს, – უთხრა გრეგორაჩიმ ჟურნალისტებს, – ინგლისურ ენასთან კი ჯერჯერობით პრობლემა მაქვს. ვგეგმავ იტალიაში მომავალი წლის შემოდგომაზე კვლავ ჩასვლას. იქ ისევ ვიცეკვებ და მონაწილეობას მივიღებ ტელევიზიის სხვადასხვა პროექტში“.

## გილოცავთ, კოლეგებო!

**2003 წლის 26 მაისს – საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ლონდონში უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა ცენტრალური პერიოდული გამოცემა ჟურნალი „თანამემამულე“ იშვა.**

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!“ – სულმნათი ილიას ეს სტრიქონი გახლავთ ამ ჟურნალის მანათობელი შუქურა.

ქართველ ემიგრანტთა ჟურნალი „აგერ უკვე 5 წელია, დღითი დღე ვითარდება, ფრთებს შლის, ქართულ სიტყვას ახმაურებს მსოფლიოს 20-ზე მეტ ქვეყანაში. დრომ ის დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში მცხოვრები ნახევარმილიონიანი ქართული ემიგრაციის ცენტრალურ პერიოდულ გამოცემად აქცია. „თანამემამულე“კარს ულებს უცხოეთში მცხოვრებ თანამოძმეებს, რათა არსებობის უმთავრესი აზრი – სამშობლოსადმი მსახურება, ქართული ჯიშის გადარჩენა და დაწინაურება არ განელდეს“, – ვკითხულობთ საიუბილეო ნომერში.

# ხუთი წლის „თანამემამულე“ ისტორიულ მეხსიერებას გვიბრუნებს




დიდი ბრიტანეთის ქართული სათვისტომოს მიერ გამოცემულ ჟურნალ „თანამემამულეს“ მთავარი რედაქტორი და გამომცემელი გახლავთ ზაზა მესხი (ლონდონიძ; რედაქტორთა საბჭოს წევრები არიან: მაია მესხი (თბილისიძ; გიორგი მამულია (პარიზიძ; ციცინო ჯერვალიძე (ნიუ-იორკიძ; დირექტორთა საბჭოს წარმოადგენენ: თამილა ლომიძე (მიუნხენიძ და დეა ცუცქირიძე (თბილისიძ; დიზაინი ეკუთვნით რაფაელ გოგიტიძეს (ბათუმიძ და ზაზა მესხს; ყდას მხატვრულად აფორმებს ზაალ სამხარაძე.

ამ ხუთი წლის განმავლობაში ჟურნალის 29 ნომერი გამოვიდა. ის იბეჭდება შესანიშნავი მხატვრული გაფორმებით, საინტერესო თემატიკით და, რაც მთავარია, უშეცდომო, ლიტერატურული ქართულით.

ბარაქალა, ჩვენო ძვირფასო კოლეგებო! გულწრფელი მადლობა იმ სიხარულისთვის, თქვენი ჟურნალის თითოეული ნომერი რომ გვანიჭებს; უფალი გფარავდეთ, მამულის სიყვარული გინათებდეთ გზა-სავალს კეთილშობილურ, პატრიოტულ საქმიანობაში.

სწორედ თქვენი ჟურნალის ფურცლებზე შევხვდით ფლორიდაში დროებით მყოფ ჩვენს მეგობარს, შესანიშნავ ქართველ მეცნიერს და პუბლიცისტს ბატონ ჯუმბერ ჯიშკარიანს. „გავიცანით“ ქართველი კოლეგები პარიზიდან, მიუნხენიდან, სტოკჰოლმიდან, შტუდგარტიდან, რიო-დე-ჟანეიროდან, ფერეიდნიდან, ოქსფორდიდან, კიოლნიდან, ნიქოზიიდან, ბილბაოდან, მოსკოვიდან, ბერლინიდან, ლევილიდან, ანკარიდან, ტოკიოდან, ციურიხიდან – ზურაბ მჭედლიშვილი, დიანა ჭანკოტაძე, გიორგი კაჭარავა, ია მარიამიძე, სოსო ონიკაშვილი, ირმა გოდერძიშვილი, გივი თაქთაქიშვილი, გვანცა ბალანჩივაძე, ლევან ჭითანავა, რუსუდან თეთრაშვილი, ემილ დიხამინჯია, ლია ციცაგი-ვიტეკი, მალხაზ ჟვანია, ქეთევან ჭეფხოძე, გიორგი ბაბუნაშვილი, ნათია ახვლედიანი, გიორგი მელუავა, ნინო გეგეჭკორი-ზეპფი,პაატა ბელთაძე, სოფიო ლაჭყეპიანი, არჩილ ჯავახაძე, ნუნუ გელაძე, დავით მანაგაძე, ეკატერინე გაგოშიძე, უშანგი რიჟინაშვილი, მანანა ოდიშვილი, ბადრი ქუთელია, ქეთევან ხანთაძე, ერეკლე გურამიშვილი და სხვები.

„უმტკიცესი რწმენა, დაუოკებელი სწრაფვა, პატიოსანი შეგნება უსაშველოდ გვჭირდება ახლა, რომ ხერხემალში ლამის გადამტვრეულ ქართულ სხეულს ბოძებად შევუდგეთ, რათა ჩვენს სამშობლოს ათასი გადამთიელის ხელით წართმეული ისტორიული მეხსიერება დავუბრუნოთ“, – წერს ჟურნალი „თანამემამულე“ საიუბილეო ნომერში. ეს სტრიქონები ჭეშმარიტებას ღაღადებენ.

**ლეილა ნოდია**

## წიგნი

# ერთად აკინძული „დაფანტული ფურცლები“

**ახლახან გამოიცა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ცისანა კვინტრაძე-გოძიაშვილის წიგნი „დაფანტული ფურცლები“. წიგნი მოიცავს ავტორის მიერ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ღონისძიებისა და ამა თუ იმ პიროვნებისადმი მიძღვნილ წერილებს. ამ ერთი წიგნით ბევრი საინტერესო ადამიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობას გაეცნობა მკითხველი.**

წიგნის შინაარსი, მისი პროფილიდან გამომდინარე, მრავალფეროვანია. წერილების უმრავლესობა საიუბილეო თარიღებისადმია მიძღვნილი და მეტწილად ამაღლებული განწყობისაა; ბევრი წერილი სევდის მომგვრელია, ბევრიც – გამამხნევებელი, მაგრამ ყველა მათგანს აერთიანებს და კრავს ერთი უპირველესი გრძნობა – დიდი ადამიანური სიყვარული.

დიახ, სიყვარულით, სითბოთი და სიკეთითაა სავსე თითოეული წერილი, ვინც არ უნდა იყოს მისი ადრესატი: მეცნიერი თუ ხელოვანი, საზოგადოდ ცნობილი ადამიანი თუ რიგითი დიასახლისი, ახლობლები, თანაკურსელები, უახლოესი მეგობრები.




ყველასათვის კარგად არის ცნობილი წიგნში მოთხრობილ გამორჩენილ ადამიანთა შემოქმედება, ამასთან, მკითხველს ყოველთვის აინტერესებს ამ ადამიანების ყოფითი ცხოვრება, სწორედ ამ კუთხით წარმოგვიდგინა ავტორმა ისინი და შემოქმედებით საქმიანობასთან ერთად უხვად გაგვაცნო მათი ყოფითი ცხოვრების ამსახველი დეტალები, ზოგჯერ წვრილმანი ეპიზოდებიც კი, და, საერთოდ, თითოეულის ის პიროვნული თვისებები, რომლებიც ბევრისათვის შეიძლება შეუმჩნეველიც კი იყო.

ინტერესით იკითხება წერილები საზოგადოდ ცნობილ ადამიანებზე, მათზე, რომლებიც სხვადასხვა დროს წარმატებით მოღვაწეობდნენ და ბევრი მათგანი დღესაც წარმატებულად საქმიანობს მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის და, საერთოდ, ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის სხვადასხვა სფეროში.

წიგნში ვრცლად არის წარმოდგენილი წერილები ჩვენს სახელოვან პოეტ-პროზაიკოსებზე, ე. წ. „სამოციანელებზე“. როგორც ბატონი თამაზ ბიბილური ბრძანებდა: „ეს იყო მართლაც ერთი სულისკვეთებით გამსჭვალული და ერთი ბედის გამზიარებელი შესანიშნავი თაობა“. ჯანსულ ჩარკვიანი, რევაზ ინანიშვილი, ტარიელ ჭანტურია, ოთარ ჭილაძე, გივი გეგეჭკორი, გურამ კლდიაშვილი, ზაურ ბოლქვაძე, ვახტანგ ჯავახაძე.

მართლაც რომ, გამორჩეულია ამ ადამიანთა ღვაწლი და დამსახურებულია ის საყოველთაო სიყვარული და აღიარება, რომელიც თითოეულმა მათგანმა მოიპოვა. ამ თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი ბატონი ჯანსუღ ჩარკვიანი ერთგან ბრძანებს: „სიძულვილის ნუ გეშინია, ჩემო ძვირფასო, უფრო ძნელია სიყვარულის ტვირთის ტარება“. ამ ტვირთს უანგაროდ ატარებს ქ-ნი ცისანა. ამის ნათელი დასტურია როგორც წიგნში წარმოდგენილი წერილები, ასევე მისი ყოველდღიური საქმიანობა. სად არ ნახავთ მას, ამა თუ იმ ღონისძიების ორგანიზატორული თუ არა, აქტიური შემსრულებელი მაინც არის. იგი მუდამ ცდილობს, რომ მოეფეროს, გაამხნეოს, ანუგეშოს ახლობელი და საყვარელი ადამიანები; ასეთები კი მის გარშემო უთვალავია – ხან ლოგინად ჩავარდნილ მეგობარს ამხნევებს, ხან დამწუხრებულ ოჯახს ანუგეშებს, ან კიდევ რომელიმე ახლობლის ან მეგობრის საფლავს ყვავილებით ამკობს.

ასეთია მისი ცხოვრების წესი.

**ცუცა ანდღულაძე**

## ინფორმაცია

# ხვალ ერთიანი გამოცდები დასრულდება

**საქართველოს ისტორიისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების გამოცდაზე საქართველოს 14 საგამოცდო ცენტრში რეგისტრირებული 1 296 აბიტურიენტიდან 1 249 გამოცხადდა.**

გამოცდა საქართველოს ისტორიასა და საზოგადოებრივ მეცნიერებებში არჩევითია და იგი გუშინ ერთ სესიად ჩატარდა.

გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი ისტორიისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების გამოცდას ოზურგეთის საგამოცდო ცენტრში დაესწრო. დღეს კი ლიტერატურაში მიმდინარე გამოცდას ზუგდიდის საგამოცდო ცენტრში დააკვირდება.

**ინტერპრესნიუსი**



# განცხადება აუქციონის გამოცხადების შესახებ

შპს „გონიოს ჩაის“ საააუქციონო კომისია, შპს „გონიოს ჩაის“ გაკოტრების მმართველის 2008 წლის 7 ივლისის №6 ბრძანებით დამტკიცებული შპს „გონიოს ჩაის“ გაკოტრების მასის რეალიზაციის ფორმისა და წესის შესახებ“ დებულების შესაბამისად, აცხადებს აუქციონს შპს „გონიოს ჩაის“ საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების (8960,22 კვ.მძ, მასზე მიმაგრებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის (29374 კვ.მძ და სხვა ძირითადი საშუალებების და მცირეფასიანი ინვენტარის რეალიზაციაზე (ერთ ლოტადძ.

ლოტის საწყისი საააუქციონო ფასია 1200000 (ერთი მილიონ ორასი ათასიძ ლარი, ბიჯი 50000 (ორმოცდაათი ათასიძ ლარი, ბე – 200000 (ორასი ათასიძ ლარი.

**აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია:**

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

**აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და ვალდებულებები:**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელია ბე და ბილეთის შესაძენი ფასი, რომელიც ფიზიკურ პირთათვის 50 ლარია, ხოლო იურიდიულ პირთათვის 100 ლარი, მონაწილის მიერ გადახდილი უნდა იქნას შემდეგ რეკვიზიტებზე: სს „სახალხო ბანკის“ ხელვაჩაურის ფილიალი, ბანკის კოდი 220101457, ანგარიშის №36020102, საიდენტიფიკაციო №248385750.

მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ობიექტის საბოლოო გასაყიდი ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება ობიექტზე და ბეს შენატანი არ დაუბრუნდება. ბეს შენატანი არ დაუბრუნდება ასევე აუქციონის შედეგების ოქმზე ხელმოწერის უარის მთქმელ გამარჯვებულ მონაწილეს.

**ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ**

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება მიმდინარეობს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, გამოქვეყნებიდან 2008 წლის 25 ივლისის ჩათვლით 10 სთ-დან 14 სთ-მდე (შპს „გონიოს ჩაის“ ადმინიტრაციული შენობა, ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი ახალსოფელი).

აუქციონი გაიმართება 2008 წლის 25 ივლისს 14.00 საათზე. მისამართი: შპს „გონიოს ჩაის“ ადმინისტრაციული შენობა, ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი ახალსოფელი).

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად აუქციონის კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბძ ბეს შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, აუქციონში მონაწილეობის მისაღებად შესაძენი მონაწილის ბილეთის საბანკო ქვითარი;

გძ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი;

დძ ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ეძ იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლს და ქონების შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებას აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.

**გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმები:**

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა, ბიჯის გათვალისწინებითძ.

დამატებითი ინფორმაცია ობიექტის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ საააუქციონო კომისიაში. საკონტაქტო ტელეფონი: 893343771.

**საააუქციონო კომისია**

**◉ უცხოური პრესიდან**

# როგორ „გააჩალიჩა“ ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ „ჟივაგოსთვის“ ნობელის პრემია



**თითქმის 50 წლის შემდეგ, რაც ბორის პასტერნაკს მიენიჭა ნობელის პრემია არაერთი ნაშრომის გამო, რომელთა გვირგვინი გახდა „ექიმი ჟივაგო“, გაირკვა, რომ ბრიტანეთის დაზვერვა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო საიდუმლოდ უწყობდნენ ხელს ამ ჯილდოს, რათა უხერხულ მდგომარეობაში ჩაეყენებინათ კრემლი, რომელმაც ეს რომანი აკრძალა.**

ახალი წიგნი გვიამბობს იმის შესახებ, თუ როგორ მოაწყვეს ამერიკის აგენტებმა „ექიმ ჟივაგოს“ რუსულენოვანი ვერსიის გამოქვეყნების ოპერაცია, რათა შეესრულებინათ ნობელის კომიტეტის მოთხოვნები, რომელთა თანახმადაც ნამუშევარი წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის ენაზე.

„ეჭვიც არ მეპარება, რომ ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ (ცსსძ შეასრულა გადამწყვეტი როლი პასტერნაკის მიერ ნობელის პრემიის მიღებაში, აღნიშნავს წიგნის ავტორი, მოსკოველი მკვლევარი ივან ტოლსტოი.

„ექიმი ჟივაგო“, რომელიც უკვდავყო დევიდ ლინის სამი „ოსკარის“ მიმღებმა ფილმმა, პირველად გამოქვეყნდა 1957 წელს მილანში. ის გვიამბობს ექიმისა და პოეტის იური ჟივაგოს და მთელი მისი ცხოვრების სიყვარულის ლარას ტრაგიკულ ამბავს ბოლშევიკური რევოლუციის ფონზე. სსრ კავშირში რომანი აიკრძალა 1957 წელს.

პასტერნაკმა რუსული ხელნაწერის რამდენიმე ასლი გაუგზავნა თავის მეგობრებს დასავლეთში. ამჯერად ტოლსტოიმ აღმოაჩინა ცსს-ს ყოფილი აგენტის წერილი, რომელიც აღწერს შემდგომ ოპერაციას. ის ამბობს, რომ ცსს-მ ინგლისელების დახმარებით მოიპარა წერილი იმ თვითმფრინავის ბორტიდან, რომელიც აიძულეს დაშვებულიყო მალტაზე.

ვიდრე მგზავრები ორი საათის განმავლობაში ელოდებოდნენ აფრენას, აგენტებმა ამოიღეს ასლები ჩემოდნიდან, გადაიღეს მათი ფოტო და დააბრუნეს ადგილზე. შემდეგ ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ გამოუშვა რუსული გამოცემა ერთდროულად ევროპასა და ამერიკაში.

„მათ არ გამოიყენეს ქაღალდი, რომლის იდენტიფიცირებაც შეიძლებოდა, როგორც დასავლეთში დამზადებულისა. ისინი არჩევდნენ რუსეთში გავრცელებულ სპეციალურ შრიფტებს და ბეჭდავდნენ თავებს სხვადასხვა ადგილას, რათა არ მოხვედრილიყო იმათ ხელში, ვინც საჭირო არ იყო“, – აღნიშნავს ტოლსტოი, რომელსაც იმედი აქვს, რომ მისი წიგნი „ჩარეცხილი რომანი“ გამოქვეყნდება დასავლეთში.

შვედეთის აკადემიის წევრები გაოცებული იყვნენ, როცა მათ გადასცეს რუსული გამოცემის ეგზემპლარები სწორედ დროულად, რათა მოესწროთ პასტერნაკის კანდიდატურის განხილვა 1958 წლის პრემიაზე. ორი დღის შემდეგ, რაც გაიგო თავისი გამარჯვების შესახებ, მწერალმა აკადემიაში გაგზავნა დეპეშა: „უარი უნდა ვთქვა ჩემთვის მონიჭებულ დაუმსახურებელ წარჩინებაზე. გთხოვთ, ნუ მიწყენთ ჩემს ნებაყოფლობით უარს“.

პასტერნაკს სდევნიდა უშიშროების სახელმწიფო კომიტეტი (ე.წ. „კაგებე“ძ, მას ემუქრებოდნენ რუსეთიდან გასახლებით. მისი სიკვდილის შემდეგ 1960 წელს კრემლმა მოაწყო ოლგა ივანეს ასულის – მისი შეყვარებულის, ლარას პროტოტიპად რომ იქცა, დაპატიმრების ინსპირირება.

მის ქალიშვილს ივინსკაიას ბრალი დასდეს საზღვარგარეთ „ექიმ ჟივაგოს“ პუბლიკაციის ჰონორარის „უკანონო“ მითვისებაში. ივინსკაიას მიუსაჯეს რვა წლის გამასწორებელი მუშაობა ციმბირში, მის ქალიშვილს კი – სამი წელი. საერთაშორისო პროტესტებმა აიძულეს, გამოეშვათ ივანოვსკაია ოთხი წლით ადრე.

„მამაჩემს არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონია რუსული გამოცემის გამოჩენასთან, ისევე როგორც არანაირი წარმოდგენა არ ჰქონია ინტერესის შესახებ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მხრიდან“, – თქვა ევგენი პასტერნაკმა, რომელმაც მიიღო ნობელის პრემია მამის ნაცვლად 1989 წელს.

„მამაჩემს არასოდეს უფიქრია, რომ მიიღებდა პრემიას. სამწუხაროდ, ამ წიგნმა ბევრი სიმწარე და წამება მოუტანა მას“.

**მარკ ფრანკეტი**

**„დი სანდეი ტაიმსი“**

**◉ ნეტავი ჩემი იყოს**

## კომფორტის მოყვარულთა საყურადღებოდ!



**სასოფლო უნივერსიტეტის სიახლოვეს, პრესტიჟულ ძოშიგორაზე იყიდება მრავალი სახეობის ხეხილით, ვერცხლისფერი ნაძვებით, ტალავრებით განაშენიანებული ელიტური აგარაკი, 1700 კვმ მიწის ნაკვეთი, 250 კვმ ფართის უცხოვრებელი 2 სახლი (5 საძინებელი ოთახი, 3 სასადილო, 3 სამზარეულო კედლის კარადებით, 3 ბუხარი, 4 სველი წერტილი, 2 კეთილმოწყობილი აბაზანა, 6 აივანი, ყველაფერი ჟალუზებში), კეთილმოწყობილი საუნა, საწყობები, კაპიტალური ავტოფარეხი, ფანჩატური მაგიდა-სკამებით, მუდმივი ელდენი, ნატახტარის წყალი, გამაცხელებლები, სარწყავი სისტემა, კანალიზაცია, სახლამდე მისასვლელი გზა (ტრასიდან 500 მეტრშიძ ახლახან მოასფალტდა. ფასი შეთანხმებით.**

899 93-01-04; 23-37-37 რეზო. 36.50.33 მაია.

**ხსოვნა**

# გივი გელენიძე



**უეცრად გარდაიცვალა გივი გელენიძე, კვების მრეწველობის დარგის ღირსეული და გამორჩეული პიროვნება. მაღალი ინტელექტისა და ერუდიციის პროფესიონალი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ღირსების ორდენოსანი, კეთილშობილებისა და სიკეთის განსახიერება, შესანიშნავი მეოჯახე და მოყვასი, თბილი და ყურადღებიანი მეგობარი. ასეთად დაგვამახსოვრა თავი ყველას. მისი პიროვნული თვისებები, ცოდნა და ერუდიცია გამოვლინდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასისტენტის თანამდებობიდან, შემდგომ საქართველოს კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოო ტექნიკური სამმართველოს უფროსის რანგში, გარკვეული წლები, მისი ცოდნა და გამოცდილება, ცენტრალურ კომიტეტში მუშაობაშიც გამოჩნდა. წლების მანძილზე „საქპურმრეწვის“ გაერთიანების მმართველის მოადგილედ იმუშავა. მისი უშუალო მონაწილეობით საქართველოში ხორციელდებოდა არაერთი ობიექტის კაპიტალური მშენებლობა. შესანიშნავად უძღვებოდა ბატონი გივი საქართველოს პურპროდუქტების სისტემას, რომლის მინისტრის მოადგილე გახლდათ დაარსების დღიდან და ურთულესი წლები გამოიარა სისტემასთან ერთად. სამოქალაქო ომი, აფხაზეთი, პურის ლიბერალიზაცია და არაერთი უცხოელი ექსპერტის დადებითი შეფასება დაიმსახურა. შემდგომ ბატონი გივი სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის მოადგილეა. მისი ცოდნა და გამოცდილება დღესაც რეალიზდებოდა ეკონომიკის სამინისტროში, სადაც იგი მუშაობდა. ასეთ ადამიანებზე იტყვიან, ქვეყნის ერთგული ჯარისკაცია და ერთგულად ემსახურებოდა მას ყველა უბანზეო. ჩვენგან წავიდა საუკეთესო მოქალაქე, მეგობარი, რომლის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება.**

*კოლეგები და მეგობრები*

**ა. ბურჯანაძე, რ. კონცელიძე, ლ. ზაქაიძე, ო. კაციტაძე, ბ. გულუა, ი. ოსიპოვი, თ. ახალკაცი, თ. დოჭვირი, ვ. ჯეჯელავა, თ. ბაზერაშვილი, თ. ხორხომელიძე, ო. ჭავჭანიძე, ს. გოგინავა, ი. კუხიანიძე, მ. დოლიძე, ბ. კვინიხიძე, გ. კამკამიძე, ნ. კახაია, თ. გაბიძაშვილი.**



**მეუღლე ნაზი, შვილები ომარი, ლონდა, ია, დარეჯანი, რძალი ნანა შენგელია, სიძეები თეირან პირმისაშვილი, არკადი კომახიძე, რაული თელია, შვილიშვილები შალვა, ნინო, ზურიკო, პაატა, ვალერი, თენგო, თამუნა, შვილთაშვილები ირმა, გვანცა, ავთო, გიორგი, ნინო, ძმა ჯვებე, რძალი თათუშა, ძმისწულები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**შავგვრემან ლევანის ძე ცომაია**

**დაკრძალვა 17 VII, 15 სთ. აბაშა, სოფ. მარანი.**

---

**თენგიზ მენთეშაშვილი, გურამ გაბუნია, ბორის სარალიძე, ნელი გურგენიძე, ზაურ მესხიშვილი, ბეგლარ მახარაშვილი, ჯემალ კუხალაშვილი, ნიკოლოზ ნეფედოვი, ჯიმი მიქელაძე, დათო სალარიძე, ნათელა ლალიძე, ლია ლომიძე, გურამ დიდბარიძე, ალექსანდრე ჯანელიძე, ზურაბ ლელაშვილი, თემურ თოფურიძე, კოტე ჟღენტი ღრმა მწუხარებას გამოხატავენ ცნობილი მშენებლის და ქველმოქმედის, ღირსეული მამულიშვილის, სიკეთითა და მაღალი ზნეობით გამორჩეული მეგობრის**

**ლერი მირაშვილის**

**გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**სს ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ს/კ ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან, რომ ინსტიტუტის დირექტორს მარინა აბაშიძეს გარდაეცვალა დედა**

**ზინა ხონელიძე**

**და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.**

**◉ ინფორმაცია**

## გაიხსნა ახალი, 12-კილომეტრიანი ავტომაგისტრალი

**ჩქაროსნული ავტომაგისტრალის აღაიანი-იგოეთის 12 კმ-იან მონაკვეთზე პარალელური მიმართულებით მოძრაობა გაიხსნა.**

გახსნის ცერემონიას საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ამ მონაკვეთის მშენებლობა ავსტრიულმა ფირმამ „შტრაბაგ ჰაილიტ ვორნერ კავკასუს როუდ პროჯექთ“-მა განახორციელა. სამუშაოები 12 თვეში დასრულდა, დაიხარჯა 43 მლნ ლარი, რომლის ნაწილიც მსოფლიო ბანკისგან დაფინანსდა.

2009 წლის ბოლომდე დაგეგმილია კიდევ 25 კილომეტრის მშენებლობა, რომელსაც ისრაელის კომპანია „აშტორმ ინტერნეიშენალი“ განახორციელებს. 4-ზოლიანი ავტობანის მშენებლობა 92 მლნ ლარი დაჯდება.



## ოსური მხარე წყალსადენის დაზიანებაში გვადანაშაულებს

**ცხინვალი ქართულ მხარეს კვლავ ედისი-ცხინვალის წყალსადენის განზრახ დაზიანებაში ადანაშაულებს.**

ქალაქის დე ფაქტო მერის რობერტ გულიევის მტკიცებით, წყალსადენის კეხვი-თამარაშენის 9-კილომეტრიან მონაკვეთზე უნებართვო ჭრილებია გაკეთებული.

– ამ მომენტისთვის რეზერვუარებში წყლის დონე 40%-ს შეადგენს. ჯერ ავტოცისტერნებით წყლის მიწოდების აუცილებლობა არ არსებობს, თუმცა, იძულებულები ვართ, საცხოვრებელ უბნებს წყალი გრაფიკით მივაწოდოთ, – განაცხადა გულიევმა და დასძინა, რომ პრობლემის მოსაგვარებლად მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს.

მისივე განცხადებით, მიმდინარეობს შემოვლითი წყალსადენის მშენებლობა, ცხინვალში კი ჭაბურღილებს გაბურღავენ.

**ინტერპრესნიუსი**

**2008 წლის 7 აგვისტოს, 16 საათზე, ტარდება სს „ტრესტ ქუთმშენის“ აქციონერთა კრება.**

**დღის წესრიგი:**

1. სამეთვალყურეო საბჭოს შესახებ;
2. წესდების დამტკიცება;
3. საკუთარი მშენებლობების შესახებ;
4. სხვა საკითხები.

**სამეთვალყურეო საბჭო**

**წუხელ ოპერის თეატრში**

# მისი ვარსკვლავი




მისი ვარსკვლავი გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში გაბრწყინდა – 1982 წელს ჩაიკოვსკისა და „ვერდის ხმების" საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი გახდა, შემდეგ და შემდეგ მისი ვარსკვლავი მეტ ბრწყინვალებას იძენს, მსოფლიოს სახელგანთქმული საოპერო თეატრების სცენებზე დიდი წარმატებით გამოდის, მარია კალასის სახელობის კონკურსის პირველი პრემიაც მოიპოვა, უკვე „მსოფლიო ბანად" მოიხსენიებენ, ანუ ქართულ საოპერო ხელოვნებას სახელ-დიდებით ამკობს.

ჩვენი პაატა... იგი უკვე რამდენიმე წელია საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწევა – მისი ინიციატივით საქართველოში დაარსდა უდედმამო და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ფონდი „ივანანა", ფონდის სამაგალითო საქმიანობას, დრო და დრო, მთელი საქართველო ეცნობა.

და აი, მისმა ვარსკვლავმა უკვე სულ სხვა ბრწყინვალება შეიძინა – ეს მშობელი ხალხის გულის სითბოა, ამაგის დაფასებაა... წუხელ საოპერო თეატრის წინ, რუსთაველზე, პაატა ბურჭულაძის ვარსკვლავი აკიაფდა, ოპერაში კი გაიმართა დიდი კონცერტი მსოფლიოში ცნობილი დირიჟორის იური ტემირკანოვის და სანკტ-პეტერბურგის სიმფონიური ორკესტრის მონაწილეობით. კონცერტიდან შემოსული თანხა მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს მოხმარდება.

**ბრავო, პაატა!**

**ვილენ მარდალეიშვილი**



მურად ალაშვილის ფოტო

**ინფორმაცია**

## თურქი ყალბი პასპორტით შემოდიოდა

**ქართველმა მესაზღვრეებმა „სარფის" საკონტროლო-გამტარ პუნქტზე თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე დააკავეს.**

სასაზღვრო პოლიციის პრესსამსახურის ცნობით, თურქეთის მოქალაქე საქართველოში შემოსვლას სხვის სახელზე გაცემული პასპორტით ცდილობდა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.

**ინტერპრესნიუსი**

**ინფორმაცია**

## თბილისს კიდევ ერთი შადრევანი შეემატა



**დედაქალაქის მერმა და ისანი-სამგორის რაიონის დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ ჩოლოყაშვილის ქუჩაზე დასასვენებელი სკვერი და შადრევანი გახსნეს.**

– პატარ-პატარა სკვერებით სიმყუდროვე და ნორმალური საცხოვრებელი გარემო იქმნება. მერიის პრიორიტეტი სწორედ კეთილმოწყობილი ეზოები და დასასვენებელი ადგილებია. აუცილებელია მოქალაქეებმა მშვიდ გარემოში იცხოვრონ. პრობლემების მოგვარება ეტაპობრივად ხორციელდება. მიმდინარეობს მაგისტრალური გზების შეკეთება და შიდა ეზოების კეთილმოწყობა. ჩვენ მოსახლეობის მოთხოვნებს ვითვალისწინებთ და მათი სურვილისამებრ ვაგვარებთ, – განაცხადა პრეზენტაციაზე თბილისის მერმა გიგი უგულავამ.

ყოფილი 5 დეკემბრის ქუჩაზე მდებარე სკვერი მერიისა და რაიონის გამგეობის ინიციატივით განახლდა. დამონტაჟდა საბავშო ატრაქციონები, დასასვენებელი სკამები და შადრევანი.

## ქუთაისის საავადმყოფოში პატიმარი გარდაიცვალა

**ქუთაისის ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ეროვნულ სამედიცინო ცენტრში პატიმარი ემზარ კ. გარდაიცვალა.**

როგორც სასჯელაღსრულების დეპარტამენტი იუწყება, პატიმარი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ხონის №9 დაწესებულებიდან საავადმყოფოში 7 ივლისს გადაიყვანეს.

მსჯავრდებულს თავის ტვინის სიმსივნე ჰქონდა. საავადმყოფოში ჩატარებული მკურნალობის კურსის მიუხედავად, ემზარ კ. გარდაიცვალა. ექიმების პირველადი დასკვნით, პატიმრის გარდაცვალების მიზეზი თავის ტვინის მოცულობითი პროცესი გახდა.

ემზარ კ. 2004 წლის 6 დეკემბერს ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს. მას 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი.

**ინტერპრესნიუსი**

**დაზუსტება**

## გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას

პატივცემულო რედაქცია, თქვენი გაზეთის ა/წ 15 ივლისის ნომერში დაბეჭდილ ჩემს წერილში **„მხოლოდ ღირსების ხარისხის მიხედვით"**, 100 ღირსეული ქართველის ნუსხაში, ავტორის მიზეზით, დაშვებულია შეცდომა: 46 ნომრად ბერიტაშვილი ივანეს ნაცვლად უნდა ეწეროს **გაწერელია აკაკი**, 57 ნომრად ორბელიანი გრიგოლის ნაცვლად – **დუმბაძე ნოდარი,** ხოლო 63 ნომრად ფალიაშვილი ზაქარიას ნაცვლად – **ასათიანი ლადო** (პირველად დასახელებული პირები გამეორებულია ორჯერ, შესაბამისად: 49, 62 და 67 ნომრებში).

გთხოვთ, ეს შესწორება გამოაქვეყნოთ.

პატივისცემით

**ამირან გაბისონია**

რედაქცია კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში"
98-65-87; 899 32-85-76.

**კადრი**



**ანეკდოტები**



ორი მეზღვაური საუბრობს:

– როგორ გებულობ, თუ რას აკეთებდა შენი ცოლი მაშინ, როცა შორეულ ნაოსნობაში იმყოფებოდი?

– რა უნდა ამის გაგებას. მივუახლოვდები თუ არა სახლის სადარბაზოს, ქალებს, რომლებიც მუდამ იქ სხედან, ასე ვესალმები: „გამარჯობათ, ბოზებო!" ისინი კი მიპასუხებენ: „ეს ჩვენა ვართ ბოზები?! აი, შენი ცოლი!.."

* * *

კარზე ზარი ირეკება:

– თქვენ შეუკვეთეთ ქალები? – ისმის „დომოფონში".

– რას ამბობთ, მოწყალეო ხელმწიფევ! მე შთამომავლობით თავადი ვარ.

– მაპატიეთ, მოწყალეო ხელმწიფევ! თქვენი ცხენები მოგართვით.

* * *

– საყვარელო, რისი გაკეთება შეგიძლია ჩემთვის? – ეკითხება ცოლი ქმარს.

– შენთვის ვარსკვლავს ჩამოვხსნი ციდან, სამყაროს ფეხით შემოვივლი, თუ მთხოვ... მე შენთვის...

– მაშინ ჯერ ნაგავი გადაყარე...

* * *

– შვილო, შენ უკვე დიდი ხარ, – ეუბნება მამა ქალიშვილს. – უნდა დავილაპარაკოთ. მითხარი, როგორ მოხვდა შენი ფოტოები პორნოსაიტზე?

– კი, მამი, დავილაპარაკოთ. მითხარი, როგორ გაიგე ეს?

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის" დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში". 95-11-92
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.